

პრეზიდენტმა სიღნაღში „მოწამლული" წყალი დალია

A4



ალექსიშვილმა ჟურნალისტებს ანგარიში ჩააბარა

A6



ევროპას საქართველო დემოკრატიული სჭირდება

B1

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 24 ივნისი, 2005 წელი. №141 (1001)

ფასი 50 თეთრი

ყურადღება!

**სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ გამოცხადებულ კონკურსში, რომლითაც უნდა შერჩეულიყო ყოველდღიური გაზეთი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ სატენდერო განცხადებების გამოსაქვეყნებლად, გაიმარჯვა გაზეთმა "24 საათმა".**

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის **2005 წლის 11 მაისის N3 ბრძანების** თანახმად, აღნიშნული ცვლილება შევიდა "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების დამტკიცების შესახებ" საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2001 წლის 15 ოქტომბრის №1 ბრძანებაში.

შესაბამისი ხელშეკრულებების გასაფორმებლად და სხვა დეტალების დასაზუსტებლად გთხოვთ, დაუკავშირდეთ გაზეთ "24 საათი"-ს რედაქციას:

ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 45, მე-14 სართული.

ტელ: 202404; 202424; 200024; 8 99 220 949.

ელ-ფოსტა: tender@24hours.ge

საკონტაქტო პირი - ირაკლი ლეჟავა

## ამბები

### თეზისები კერძო დაცვის ინდუსტრიის განვითარებისთვის



საქართველოში კარგა ხანია, რაც კერძო დაცვის სამსახურების ასოციაცია ფუნქციონირებს, რომლის თავმჯდომარე იმერეთში პრეზიდენტის ყოფილი რწმუნებული დავით მუმლაძეა.

A2

## ამინდი

| | 24/06 | 25 /06 | 26 /06 |
|---|---|---|---|
| თბილისი | 28 | 27 | 30 |
| ტყიბული | 25 | 22 | 23 |
| სოხუმი | 23 | 23 | 23 |
| დმანისი | 22 | 20 | 21 |
| გორი | 24 | 22 | 25 |
| ონი | 21 | 20 | 19 |
| ზუგდიდი | 27 | 25 | 23 |
| ახმეტა | 28 | 27 | 30 |
| გაგრა | 22 | 23 | 24 |
| სამტრედია | 27 | 24 | 25 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8126 |
| ევრო | 2.1925 |
| გირვანქა სტერლ. | 3.3015 |
| რუბლი | 0.0633 |



| A | | B | |
|---|---|---|---|
| ამბები | A2 | რევიუ | B2 |
| ამბები | A3 | რევიუ | B3 |
| საზოგადოება | A4 | სპორტი | B4 |
| უცხოეთი | A5 | სპორტი | B5 |
| ეკონომიკა | A6 | ტენდერი | B6 |
| სამართალი | A7 | TV პროგრამა | B7 |



# ოპოზიცია არჩევნებში მონაწილეობაზე უარს ამბობს

გიორგი ასანიშვილი

*ოპოზიცია თბილისის თვითმმართველობის არჩევნებს ბოიკოტს უცხადებს. "ახალი მემარჯვენეების", "კონსერვატორების" და "ლეიბორისტების" პროტესტს არასაპარლამენტო პოლიტიკური ძალებიც უერთდებიან: კობა დავითაშვილის მტკიცებით, დედაქალაქის საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებს პარტია "თავისუფლება", "მრეწველები", "სახალხო ფორუმი" და სხვა. რაც შეეხება "რესპუბლიკელებს", დავით ბერძენიშვილი არჩევნების ბოიკოტზე საუბრისგან თავს იკავებს, თუმცა, დაბეჯითებით აცხადებს, რომ არჩევნების საკითხში მთელი ოპოზიცია ერთიანი იქნება.*

გაგრძელება A3 გვერდზე



ლევან ხერხეულიძის ფოტო

# ევროპა გადაწყვეტილების მიღების პროცესში

თიკო მაქარაშვილი

*დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა გუშინ ბრიუსელში ევროგაერთიანების დეპუტატებს თავისი პროგრამა წარუდგინა. პირველი ივლისიდან ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარე ტონი ბლერი გახდება.*

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა, რომელიც ევროკავშირის საბჭოს მმართველობას პირველი ივლისიდან შეუდგება, ხუთშაბათს ბრიუსელში შეკრებილ ევროპარლამენტის დეპუტატებს თავისი სამოქმედო გეგმა წარუდგინა. ტონი ბლერმა ევროგაერთიანების დეპუტატებს მოუწოდა, "ურთიერთშეურაცხმყოფელი" მიმართვები "ღია და გულითადი" საუბრით შეეცვალათ. "**მიუხედავად ბრიუსელის წინა სამიტზე ევროკავშირის ბიუჯეტის ჩავარდნისა, მე მჯერა ევროკავშირის, როგორც პოლიტიკური პროექტის,**" - განაცხადა ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა.

გაგრძელება A5 გვერდზე



*ევროპას მხოლოდ ცვლილებები გადაარჩენს, - ამ დევიზით იხელმძღვანელებს ტონი ბლერი ევროკავშირის საბჭოს თავმჭდომარეობისას.*

# ავიაკომპანია „ჭორჭიან ეარვეისის" განცხადება

*ფრენის პარამეტრების საბორტო რეგისტრატორის N GA-06-05 ექსპრეს ანალიზის საფუძველზე ავიაკომპანია "ჯორჯიან ეარვეისი" აცხადებს:*

2005 წლის 14 ივნისს რეგულარული რეისის თბილისი-დუბაის შესრულების დროს აფრენიდან 41 წუთზე ეკიპაჟმა დააფიქსირა მარჯვენა ძრავის ბრუნვათა რიცხვის დაცემა, რაც გამოწვეული იყო საწვავის ტუმბოს დაბალი წნევის საფეხურის დაზიანებით. შედეგად, ძრავის უკანა ნაწილიდან გამოიყოფოდა მოთეთრო შეფერილობის გამონაბოლი. ანალოგიურ სიტუაციაში მოქმედების წესი აღწერილია ფრენის საბორტო ინსტრუქციებში, რომელთა შესაბამისად იხელმძღვანელა ეკიპაჟმა კონკრეტულ სიტუაციაშიც.

საბორტო რეგისტრატორის ექსპრეს-ანალიზი ადასტურებს, რომ ფრენის ნორმების დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

**კომისიის დასკვნის საფუძველზე "ჯორჯიან ეარვეისი" აცხადებს, რომ ავიაკომპანიის საჰაერო ხომალდების პარკი სრულად შეესაბამება ფრენის ვარგისობის სტანდარტების საერთაშორისო მოთხოვნებს.**

ავიაკომპანია "ჯორჯიან ეარვეისი" ბოდიშს უხდის მგზავრებს საჰაერო ხომალდზე მომხდარი ფაქტის გამო მიყენებული უსიამოვნებისათვის და მადლობას უხდის გამოჩენილი თავშეკავებისა და თანადგომისათვის.

*ავიაკომპანია*
*"ჯორჯიან ეარვეისის"*
*დირექტორთა საბჭო*

*23 ივნისი, 2005 წელი*

# რა მოხდა სინამდვილეში თბილისი-დუბაის რეისზე

ინტერვიუ ავიაკომპანია "ჭორჭიან ეარვეისის" ტექნიკური მომსახურების ცენტრის დირექტორთან სოსო სირბილაძესთან

**- გაუგებარია, რატომ აკეთებს ავიაკომპანია ოფიციალურ განცხადებას ერთკვირიანი დაგვიანებით თბილისი-დუბაის რეისზე მომხდარი ინციდენტის შესახებ?**

- იმისათვის, რომ მსგავს შემთხვევაში ოფიციალური განცხადება გამოაქვეყნოს, აუცილებელია არსებობდეს საგამოძიებო კომისიის დასკვნა. საჰაერო ადმინისტრაციის თავმჯდომარის მიერ შექმნილმა კომისიამ მოკვლევის მასალების საფუძველზე პირველი დასკვნა გახდა ცნობილი ფრენის პარამეტრების საბორტო რეგისტრატორის ექსპრეს-ანალიზის შედეგი, შესაბამისად ავიაკომპანია ვალდებული იყო, დალოდებოდა ამ დოკუმენტების მიღებას ოფიციალური განცხადების გენერალურმა დირექტორმა არაერთი განცხადება გააკეთა იმის თაობაზე, რომ გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს ბორტზე გაჩნდა ხანძარი, არ შეესაბამებოდა სინამდვილეს.

# აფხაზეთი სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენას სიფრთხილით ეკიდება

ზურაბ აფხაზავა
*სოხუმიდან*

მოსკოვიდან დაბრუნებული ჯგუფი, რომელიც აფხაზეთის გავლით სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის პროექტზე მუშაობდა, მიღწეულ შეთანხმებებს ძალზე მშრალ შეფასებებს აძლევს.

ჯერჯერობით, მხოლოდ იმას ამბობენ, რომ უახლოეს მომავალში პროექტი პრეზიდენტს წარედგინება, შემდეგ კი მის განხილვაში აქტიური მონაწილეობის საშუალება პარლამენტსა და მთლიანად საზოგადოებას მიეცემა.

როგორც ჩანს, პროექტს ფართო საზოგადოებრივი განხილვა არ ასცდება. სავსებით ნათელია, რომ ოპოზიცია, რომელიც ქართულ-აფხაზური ურთიერთობის მიმართ სულ უფრო მეტ რადიკალიზმს იჩენს, ამ პროექტს ხელისუფლებაზე ახალი შეტევისათვის გამოიყენებს. თანაც ოპოზიციას, საერთოდ, ქართულ მხარესთან ერთობლივი ეკონომიკური პროექტების მიმართ უკიდურესად უარყოფითი დამოკიდებულება აქვს. ოპოზიციური ბანაკის წარმომადგენელთა აზრით, კონფლიქტის მხარეების ერთობლივი ეკონომიკური საქმიანობა მხოლოდ საქართველოს მიერ აფხაზეთის სუვერენიტეტის აღიარებისა, ან, სულ მცირე, საბრძოლო მოქმედებების განუახლებლობის შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ გახდება შესაძლებელი. სხვა შემთხვევაში ეს კონტაქტები, შესაძლოა, აფხაზეთის სახელმწიფოებრივ უსაფრთხოებას დაემუქროს.

ოპოზიცია, რომლის რიგებშიც არძინბას ყოფილი მომხრეები ჭარბობენ, ახალ ხელისუფლებას საქართველოს მიმართ ზედმეტ ლიბერალიზმში ადანაშაულებს და შეშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ეს, შესაძლოა, ქვეყნის უსაფრთხოებას დაემუქროს.

გაგრძელება A2 გვერდზე

# უზენაესი სასამართლოს ყველა გადაწყვეტილება უკანონობის მაგალითად ვერ გამოდგება

თამარ კაციტაძე

*საქალაქო სასამართლოების შექმნასთან დაკავშირებით ვიწრო სპეციალიზაციით დანიშნულ მოსამართლეებს რამდენიმე დღის წინ თვით პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა დაულოცა გზა და მართლმსაჯულების სადარაჯოზე მიმავალ თემიდის ატესტირებულ მსახურთ, საპრეზიდენტო დარიგებასთან ერთად, მუშაობის (უფრო სწორად, როგორი გადაწყვეტილებები არ უნდა გამოიტანოს მოსამართლემ) კონკრეტული მაგალითებიც შეახსენა.*

ახალდანიშნულ მოსამართლეებთან შეხვედრისას მიხეილ სააკაშვილმა, საბურთალოზე უკანონოდ მშენებარე ბენზოგასამართ სადგურთან ერთად, დაასახელა უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც, თითქოს, საირმის გორაზე, წითელ ზოლში კიდევ ერთი უკანონო მშენებლობა დაკანონდა. მხოლოდ, თუმცა ამ შემთხვევაში პრეზიდენტს კონკრეტული დამნაშავეები არ დაუსახელებია.

**"ეს არის კანონის უხეში გადაცდომა და ამაზე საზოგადოება მოგვთხოვს პასუხს. ჩვენ უნდა ვცხოვრობდეთ ისეთ ქვეყანაში, სადაც სამართალი პურს ჭამს"**, - განაცხადა სააკაშვილმა მოსამართლეებთან შეხვედრის დროს.

## მოკლედ

### სააკაშვილი ბუშს შეხვდა

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გუშინ, სახელმწიფო კანცელარიაში, აშშ-ს პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის ძმას, ნილ ბუშს შეხვდა. როგორც შეხვედრის დასრულების შემდეგ ნილ ბუშმა ჟურნალისტებს განუცხადა, იგი საქართველოში კერძო ვიზიტით იმყოფება და, ძირითადად, განათლების სფეროთი ინტერესდება. "მე მაქვს კერძო ფირმა, რომელიც განათლების სფეროში საქმიანობს, ამიტომ დაინტერესებული ვარ თქვენს ქვეყანაში მიმდინარე განათლების რეფორმებით," - განაცხადა აშშ-ს პრეზიდენტის ძმამ. მისივე თქმით, საქართველოს პრეზიდენტთან მას კონკრეტულ ბიზნეს-პროექტებზე არ უსაუბრია. "ბიზნესის შესახებ საუბარი მხოლოდ რეკომენდაციებისა და ინფორმაციების გაცვლის დონეზე გვქონდა," - აღნიშნა ბუშმა. ამერიკის პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის ძმა ნილ ბუში თბილისში კერძო ვიზიტით ჩამოვიდა. პრეზიდენტის ძმის მასპინძელი ბიზნესმენთა ფედერაციაა. **ინტერპრესნიუსი**

### კოდორის ხეობის საკითხის განხილვამ პარლამენტში გადაინაცვლა

პარლამენტის იურიდიულ საკითხთა და თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტები და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისია უახლოეს მომავალში კოდორის ხეობაში შექმნილ უმძიმეს მდგომარეობასთან დაკავშირებით ერთობლივ სხდომას გამართავენ. აღნიშნული გადაწყვეტილება პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მას შემდეგ მიიღეს, რაც კოდორის ხეობაში არსებული მდგომარეობის შესახებ განცხადება მესტიის მაჟორიტარმა დეპუტატმა როსტომ ჯაფარიძემ გააკეთა. მისი თქმით, ხეობაში უმძიმესი სოციალური ფონია შექმნილი, ვინაიდან ბატალიონ "მონადირის" გაუქმებამ მოსახლეობა, ფაქტობრივად, დაუცველი დატოვა. **ინტერპრესნიუსი**

### ბაგაფში სამშვიდობო ძალებს ებღაუჭება

"აფხაზეთში რუსეთის სამშვიდობო ძალები ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარებამდე უნდა იმყოფებოდნენ," - განაცხადა სოხუმში რუსი ჟურნალისტებისთვის გამართულ პრესკონფერენციაზე აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა სერგეი ბაგაფშმა. მან სამშვიდობო მისიაში რუსეთის როლს ხაზი გაუსვა და განაცხადა, რომ მართალია, სამშვიდობოებს "დსთ-ს კოლექტიური ძალები" ჰქვია, მაგრამ თეთრმეტი წლის განმავლობაში სამშვიდობო ოპერაციების ტვირთს მხოლოდ რუსეთი ეზიდება. ბაგაფში რუსი სამშვიდობოების სხვა რომელიმე ძალებით ჩანაცვლებას კატეგორიულად ეწინააღმდეგება. **მედიანიუსი**

### ნატო-ში უკვე მზად არიან, სომხეთსაც დაეხმარონ რუსული ბაზების გაყვანაში

თუ სომხეთის მთავრობა მიიღებს გადაწყვეტილებას, გაიყვანოს თავისი ტერიტორიიდან რუსული სამხედრო ბაზები, მაშინ ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მას ამაში დაეხმარება. როგორც სააგენტო "მედიამაქსი" სომხურ გაზეთ "აზგზე" დაყრდნობით იუწყება, ამის შესახებ ბრიუსელში განაცხადა სამხრეთ კავკასიაში ნატო-ს გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა რობერტ სიმონსმა.

მისი თქმით, საქართველოდან რუსული შეიარაღების სომხეთში გატანა არ ეწინააღმდეგება "ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შესახებ" შეთანხმებას. **პრაიმ-ნიუსი**

საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლობის სამეურვეო საბჭო აცხადებს

კონკურსს

საზოგადოებრივი მაუწყებლობის გენერალური დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად

**კანდიდატს მოეთხოვება**:

1. უმაღლესი განათლება (სასურველია საზოგადოებრივ მეცნიერებების, ჟურნალისტიკის ან მენეჯმენტის დარგში.)
2. სულ მცირე ხუთწლიანი სამუშაო გამოცდილება.
3. მართვის გამოცდილება, სასურველია მედიის სფეროში.
4. სასურველია საერთაშორისო ორგანიზაციებთან მუშაობის გამოცდილება.
5. სასურველია უცხო ენების ცოდნა.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:

1. "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლში მითითებული საბუთები:
ა) წერილობითი განცხადება სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის სახელზე.
ბ) ავტობიოგრაფია;
გ) ხელწერილი კანონით დადგენილ მოთხოვნებთან პირის შესაბამისობის შესახებ;
დ) განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის მოწმობა;
ე) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი
ვ) შრომის წიგნაკი ან სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი ცნობები;
თ) სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა;
ი) სამედიცინო დასკვნა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ;
2. საზოგადოებრივი მაუწყებლობის განვითარების ხედვა (სულ მცირე 500 სიტყვამდე).
3. ორი დახასიათება/რეკომენდაცია სამუშაო ადგილებიდან ან პარტნიორი ორგანიზაციებიდან.

საბუთების მიღება იწარმოებს 2005 წლის 24 ივნისიდან 16 ივლისის 18 საათამდე, შემდეგ მისამართზე: კოსტავას ქ. 68, საკონტაქტო პირი ეკა კოპაძე. განცხადების, ბიოგრაფიის და კონცეფციის ელექტრონული ვერსია უნდა გაეგზავნოს სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარეს შემდეგ მისამართზე:levan@crrc.ge

**შ.პ.ს."აჭარის ენერგოკომპანია" , ფილიალების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით, აცხადებს აუდიტორული ფირმების შესარჩევ კონკურსს: კომპანიას ესაჭიროება ფილიალების სალიკვიდაციო ბალანსების შედგენა(კომპილაცია).**

dato.gogichaishvili@aec.ge

**საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მის დაქვემდებარებაში მყოფი სტრუქტურული ქვედანაყოფების თანამშრომელთა მხრიდან თქვენი უფლების შელახვის ან კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა შემთხვევაში დაგვიკავშირდით სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცხელ ხაზზე:**

**98-57-81**

# თეზისები კერძო დაცვის ინდუსტრიის განვითარებისთვის

თამარ ასათიანი

*გუშინ პარლამენტის იურიდიული კომიტეტის მიერ ორგანიზებულ სემინარზე, რომელიც საქართველოში კერძო დეტექტიური და დაცვითი საქმიანობის პრობლემებს ეხებოდა, მონაწილეობა მიიღეს კერძო დაცვის სამსახურების, შინაგან საქმეთა და პროკურატურის წარმომადგენლებმა და თავად კომიტეტის წევრებმა. როგორც გუშინ გაირკვა, იმის მიუხედავად, რომ ბიზნესის ამ სახეობამ საქართველოში უკვე საკმაოდ მოიკიდა ფეხი, არ არსებობს შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა, რომელიც ამ სტრუქტურების საქმიანობას არეგულირებს.*



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*დავით მუმლაძე კერძო დაცვის სამსახურის განვითარებას ქვეყნის დემოკრატიულ წინსვლას უკავშირებს.*

საქართველოში კარგა ხანია, რაც კერძო დაცვის სამსახურების ასოციაცია ფუნქციონირებს, რომლის თავმჯდომარე იმერეთში პრეზიდენტის ყოფილი რწმუნებული დავით მუმლაძეა.

გუშინ სწორედ მან გააცნო დამსწრე საზოგადოებას ის თეზისები, რომელიც კერძო დაცვის განვითარებისთვის არის აუცილებელი. მისი თქმით, სახელმწიფოს ფუნქციებში არის ისეთი სფეროები, რომელთა მართვაც სახელმწიფოს ექსკლუზიურ გამგებლობას განეკუთვნება, მაგრამ მათშიც საზოგადოების მონაწილეობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ერთ-ერთ ასეთ სფეროს წარმოადგენს საზოგადოებრივი წესრიგი, რომლის დაცვაზეც პასუხისმგებლობა, ძირითადად, პოლიციურ სტრუქტურებს აკისრია, თუმცა არაპოლიციურ სტრუქტურებთან თანამშრომლობა პოლიციის საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტული სფეროა.

სწორედ ამიტომაც, დავით მუმლაძეს მიაჩნია, რომ არაპოლიციური სტრუქტურებიდან საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში მონაწილეობის თვალსაზრისით, გადამწყვეტი მნიშვნელობა კერძო დაცვის სტრუქტურებს განეკუთვნება.

როგორც დავით მუმლაძე აცხადებს, კერძო დაცვის ინდუსტრია, ერთი მხრივ, სახელმწიფოს განვითარების დონეზე მიუთითებს, მეორე მხრივ კი, მისი ფუნქციონირება, ბიზნესის სხვა სფეროებისაგან განსხვავებით, აუცილებელ სპეციალურ საკანონმდებლო რეგულირებას მოითხოვს.

თეზისები კი, რომელსაც კანონმდებლობა უნდა ეფუძნებოდეს, ასოციაციის ხედვით ასე გამოიყურება:

პირველი: ბიზნესის რეგულირების საკითხში სახელმწიფო, ძირითადად, საგადასახადო კოდექსითა და სამეწარმეო კანონმდებლობით შემოიფარგლება. ერთ-ერთ გამონაკლისს წარმოადგენს კერძო დაცვის ინდუსტრიის სფერო, რადგან იგი, ერთი მხრივ, ეხება საჯარო ინტერესს - საზოგადოებრივ წესრიგს, მაგრამ, მეორე მხრივ, ადამიანის კონსტიტუციურ უფლებებს ითვალისწინებს.

მეორე: როგორც წესი, უპირველეს ყოვლისა, მიიღება კანონი კერძო დაცვის საქმიანობის თაობაზე. საკანონმდებლო რეგულირება გულისხმობს ლიცენზირებას დაცვითი საქმიანობის სფეროში.

მესამე: საკანონმდებლო რეგულაციის შემდგომ ეტაპს განეკუთვნება ამ სფეროს უფლებამოსილებათა განსაზღვრა, კერძო ორგანიზაციების თანამშრომლობა მის მომხმარებელთან, პოლიციასთან, ხალხთან. პოლიციურ სტრუქტურებთან უფლებამოსილებათა ნათლად გამიჯვნა ქმნის ყოველგვარი გაუგებრობის, პასუხისმგებლობათა გადაბრალების თავიდან აცილების შესაძლებლობას.

მეოთხე: ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველყოფა, როგორც კერძო დაცვითი საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტი. საზოგადოებრივი წესრიგი, რომელიც საჯარო ინტერესების სფეროა, არ შეიძლება დაცულ იქნას პიროვნების კოსტიტუციური უფლებების ხელყოფის ხარჯზე.

მეხუთე: ჩამოსაყალიბებელია საკანონმდებლო რეგულირების დონეზე დაცვის სამსახურების სფეროში თანამშრომელთა სამუშაოდ აყვანის ძირითადი კრიტერიუმები.

მეექვსე: აუცილებელია სასწავლო ცენტრების შექმნა, რომლის საქმიანობის ძირითადი კრიტერიუმები სახელმწიფომ საკანონმდებლო აქტით უნდა დაადგინოს.

დავით მუმლაძეს მიაჩნია, რომ ამ სფეროს საკანონმდებლო რეგულირებისა და განვითარების სტიმულირებით, სახელმწიფო ხელს შეუწყობს სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას, მის აქტიურ მონაწილეობას სახელმწიფოს მართვაში, ასევე - განახლებულ, დინამიურ საქმიანობას საუკეთესო პრაქტიკითა და სტანდარტებით; სტაბილური, კარგად განვრთნილი, ღირსეული დაცვის სამსახურის შექმნას, რომლის წევრებს კარიერის გაგრძელების პერსპექტივა აქვთ; ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მაღალი სტანდარტების შექმნას.

მისივე თქმით, დაცვის სამსახურების ასოციაციები მიზნად ისახავს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, ყოფილი პოლიციელებისა და სპეცსამსახურების თანამშრომელთა ამ სფეროში დასაქმებას, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას, საბიუჯეტო შემოსავლების ზრდას, საქმიანობის გამჭვირვალობას და ბიზნესის ლეგალურობის უზრუნველყოფას.

დაბოლოს: როგორც ასოციაციის წევრებს მიაჩნიათ, საქართველოში დაცვის ინდუსტრიის განვითარება ხელს შეუწყობს საქართველოს ინტეგრაციას ევროპასთან ამ ასოციაციის ევროპულ სქტრუქტურებში გაწევრიანებით, ამიერკავკასიაში საქართველოს, როგორც ცენტრალური ქვეყნის, ფუნქციის გაღრმავებას.

როგორც გუშინ გაირკვა, შესაბამისი კანონპროექტი სულ მალე იქნება მზად და იგი განსახილველად პარლამენტს გადაეგზავნება.

# აფხაზეთი სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენას სიფრთხილით ეკიდება

პირველი გვერდიდან

ისინი, ვისაც ოპოზიციონერები ლიბერალებად მიიჩნევენ, საქართველოსთან ეკონომიკურ ურთიერთობებს სხვანაირად უყურებენ. მათი ხედვით აუცილებელია, საქართველოსთან საზღვარზე არსებული მდგომარეობა სამართლებრივ ველში მოექცეს და, ფაქტობრივად, არსებული სიტუაცია დაკანონდეს. ანუ, ეკონომიკური ურთიერთობა ამა თუ იმ ფორმით არსებობს და უმჯობესია მისი დაკანონება. სხვა შემთხვევაში, საზღვარზე კრიმინალური აქტივობის ზრდა გაგრძელდება. ეკონომიკურ ურთიერთობაზე მხოლოდ კრიმინალთა ვიწრო ჯგუფს მიუწვდება ხელი, სახელმწიფო კი აქედან ვერაფერს ხეირობს. მთავრობის გადაწყვეტილება გალში საბაჟო ტერმინალის გახსნის შესახებ, სწორედ რეალური სავაჭრო ბრუნვის დაკანონების მცდელობად აღიქმება.

ამავე დროს, საზოგადოების ხელისუფლებისადმი ლოიალურ ნაწილს რკინიგზის აღდგენის საკითხთან დაკავშირებით სხვა კითხვები აწუხებს. კვლავაც მკაცრი კრიტიკის ობიექტად რჩება იდეა რკინიგზის გახსნისა და დევნილთა დაბრუნების საკითხების ერთმანეთთან დაკავშირების თაობაზე. მრავალი ანალიტიკოსის შეფასებით, ტრანსპორტისა და ხალხის დაბრუნების პრობლემები ერთმანეთს არანაირად არ უკავშირდება. მათი აზრით, ქართული მხარის მცდელობა, ისინი ერთ კვანძში შეკრას, ჩვეულებრივი შანტაჟია. ის კი, რომ აფხაზურმა მხარემ საუბარი ამგვარ რაკურსში დაუშვა, მათი აზრით, მიუღებელია. გარდა ამისა, მათი აზრით, აფხაზური მხარისთვის მიმოსვლის აღდგენა დიდ აუცილებლობას არ წარმოადგენს. გზის ადლერი-ოჩამჩირის მონაკვეთი შეუფერხებლად მუშაობს და ეს, ჯერჯერობით, საკმარისია. ამიტომ, როგორც ახლა ბევრი ამბობს, **"შეგვეძლო ისე მოვქცეულიყავით, როგორც ქართული მხარე, და მიმოსვლის აღდგენის პირობად აფხაზეთსა და თურქეთს შორის საზღვაო მიმოსვლის საკითხის გადაწყვეტა დაგვეყენებინა."**

გალის რაიონში დევნილთა დაბრუნების საკითხი ბევრს სხვა მიზეზის გამოც აღელვებს. აფხაზური მხარის შეფასებით, რეგიონში ომამდელი მოსახლეობის 70-დან 90 პროცენტამდე დაბრუნდა, ანუ - ყველა, ვისაც ამის სურვილი ჰქონდა. მათ კი, ვისაც ეს არ გაუკეთებია, დაბრუნების საშუალება ყოველთვის აქვს. ამიტომ უმჯობესია, გალის რაიონში ხალხის ეკონომიკური და სოციალური ადაპტაციის და არა დაბრუნების საკითხების განხილვა. ამასთან, რიგი ანალიტიკოსების აზრით, შესაძლებელია, გალის რაიონში დევნილთა დაბრუნების საკითხს ქართული მხარე განგებ აყენებს, რათა დევნილთა აფხაზეთის სხვა რეგიონებში დაბრუნება დაიწყოს. იმ პირობებში კი, როდესაც აფხაზეთში ამ ხალხის ცხოვრებისათვის ეკონომიკური პირობები არ არსებობს და მრავალი ეთნიკური წინააღმდეგობა მოუგვარებელია, ამას არაპროგნოზირებადი შედეგების გამოწვევა შეუძლია, მიაჩნიათ ექსპერტებს.

თუ აფხაზეთზე გამავალი სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის პროექტის განხორციელება დაიწყო, მთელი ამ ეტაპის განმავლობაში აფხაზეთში ცხარე დებატები გაგრძელდება იმის თაობაზე, ღირს თუ არა ამ გზაზე მოძრაობის გახსნა.

# არასამთავრობოების პროტესტი

არასამთავრობო ორგანიზაციები "თბილისის შესახებ კანონსა" და "საარჩევნო კოდექსში" შესატან ცვლილებებს აპროტესტებენ. გუშინ "საქართველოს ახლგაზრდა იუსრისტთა ასოციაციამ" და "სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ" ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს. არასამთავრობოების განცხადებით, მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებები დემოკრატიულ სტანდარტებს და საქართველოს მოქალაქეთა ნებას არ შეესაბამება.

მათი თქმით, საქართველოს ხელისუფლებას თვითმმართველობის არჩევნების საკითხისადმი ორიოდე წლის წინანდელი პოზიციისგან რადიკალურად განსხვავებული მიდგომა აქვს, რადგან დღეისათვის მათთვის მიუღებელია თბილისის მერის პირდაპირი წესით არჩევა, რასაც ოპოზიციაში ყოფნისას კატეგორიულად მოითხოვდნენ.

რაც შეეხება დედაქალაქის საკრებულოს დაკომპლექტების წესს, არასამთავრობოების შეფასებით, წარმოდგენილი პროექტი საკრებულოში ერთგვაროვანი პოლიტიკური სპექტრის არჩევის საშიშროებას ქმნის."ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" და "სამართლიანი არჩევნები" პარლამენტის დეპუტატებს მოუწოდებენ, მაქსიმალური ყურადღება გამოიჩინონ აღნიშნული ცვლილებების განხილვისას, რათა ოპოზიციური პოლიტიკური ძალებისა და სამოქალაქო საზოგადოების ინტერესები მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული. **ინტერპრესნიუსი**

# თბილისში ომის განუახლებლობის შესახებ იმსჯელებენ

საქართველოში გაერო-ს გენერალური მდივნის სპეცწარმომადგენლის თბილისის ოფისში 5 ივლისს ქართული და აფხაზური მხარეების წარმომადგენლები აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში ომის განუახლებლობისა და უსაფრთხოების საერთაშორისო გარანტიების საკითხებთან დაკავშირებულ პრობლემებზე იმსჯელებენ.

თბილისში დაგეგმილ ქართულ-აფხაზურ შეხვედრაზე ქართული მხარიდან მონაწილეობას მიიღებენ კონფლიქტების მოგვარების საკითხებში სახელმწიფო მინისტრი გიორგი ხაინდრავა, აფხაზური მხარიდან - აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა. სოხუმის ხელისუფლების საგარეო უწყების ხელმძღვანელის სერგეი შამბას განცხადებით, აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში ომის განუახლებლობისა და უსაფრთხოების საერთაშორისო გარანტიების საკითხებზე მხარეებს შორის კონსულტაციები 2002 წლიდან მიმდინარეობს. მისივე თქმით, აფხაზეთის კონფლიქტის ზონასა და რეგიონში უსაფრთხოების საერთაშორისო გარანტიებთან დაკავშირებულ საკითხებზე თბილისში მორიგი შეხვედრის გამართვა ჟენევაში, მიმდინარე წლის აპრილში, გაერო-ს ინიციატივით დაპირისპირებულ მხარეთა და მეგობარი ქვეყნების წარმომადგენელთა შეხვედრაზე გადაწყდა. შამბას თქმით, აფხაზური მხარე ამ შეხვედრაზე აფხაზეთის საზღვაო აკვატორიის უსაფრთხოების საერთაშორისო გარანტიებისა და აფხაზეთის საზღვაო წყლების ქართული გემებისგან დაცვის საკითხების განხილვასაც მოითხოვს. **ინტერპრესნიუსი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი პარასკევს სამდღიანი სამუშაო ვიზიტით მონაკოში მიემგზავრება. პრეზიდენტი მონაწილეობას მიიღებს და სიტყვით გამოვა მონტე-კარლოში ხუთშაბათს გახსნილ "კრანს მონტანას ფორუმის" პლენარულ სესიაში "დემოკრატია, მსოფლიო ინტეგრაცია და ეკონომიკური განვითარება შორეულ აღმოსავლეთ ევროპაში" ფორუმი, რომელშიც 120 ქვეყნისა და საერთაშორისო ორგანიზაციის 1 200 მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელე და ხელმძღვანელი მიიღებს მონაწილეობას, მონაკოს პრინც ალბერტ II–ის მხარდაჭერით ტარდება და მას დამფუძნებელი, ჟან-პოლ კარტერონი გახსნის. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ლეიბორისტული პარტია" პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს სასამართლოში უჩივის. საქმე ეხება პრეზიდენტის იმ ბრძანებულებას, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტების 22-დან 6-მდე, ასევე პროფესორ-მასწავლებლების 60 პროცენტით შემცირებას ითვალისწინებს. პრეზიდენტის ბრძანებულების გაუქმების მოთხოვნით, გუშინ პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ნესტან კირთაძემ თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში სარჩელი შეიტანა. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს სასაზღვრო უწყებას, 26 ივნისს, გერმანიის საზღვრის დაცვის ფედერალური სამსახურის დელეგაცია ეწვევა. ვიზიტის მიზანს საქართველოსა და გერმანიის სასაზღვრო უწყებებს შორის არსებული ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავება და სამომავლო გეგმების განხილვა წარმოადგენს. წინასწარი ინფორმაციით, დაგეგმილია შეხვედრები საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელებთან. ვიზიტის დროს, გერმანიის დელეგაცია ფოთისა და ბათუმის სანაპირო დაცვის სამსახურის ბაზებს მოინახულებს. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი გიორგი ბარამიძე ნორვეგიის სამეფოს საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივანს კიმ ტრაავიკსა და საქართველოში ნორვეგიის სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს შტეინარ გილს შეხვდა. შეხვედრაზე მხარეებმა ნორვეგია-საქართველოს შორის ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავებაზე, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე, თურქეთსა და სხვა მეზობელ ქვეყნებთან რეგიონული თანამშრომლობის შესახებ ისაუბრეს. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზთა ყოფილი პრეზიდენტი ვლადისლავ არძინბა ალცჰაიმერის სინდრომის სამკურნალოდ სოხუმიდან მოსკოვში გადაიყვანეს. მოსკოვიდან არძინბა, შესაძლოა, ისრაელში გადააფრინონ. იქ მას ოპერაცია გაუკეთდება. აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის წარმომადგენლები სეპარატისტების ყოფილი პრეზიდენტის, ვლადისლავ არძინბას შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას ჯერჯერობით არ ადასტურებენ. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ეროვნულ-დემოკრატიული პარტია" თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის დაკომპლექტების წესის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მიერ წარმოდგენილ კანონპროექტს აპროტესტებს და არჩევნების მიმართ საყოველთაო ბოიკოტის გამოცხადებას გეგმავს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზეთის აულიარებელი რესპუბლიკის ხელისუფლება თბილისში ვიზიტით მყოფი, ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს სპეციალისტებისათვის პრობლემების შექმნას არ აპირებს. მაგატეს წარმომადგენლებმა სოხუმის ფიზიკა-ტექნიკური ინსტიტუტის რადიაქტიური ნარჩენების საცავებში არსებული რადიაქტიური ნივთიერებები უნდა დაათვალიერონ. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ნატო-ს გენერალურმა მდივანმა იაპ დე ჰოოპ სხეფერმა რუსულ გაზეთ "არგუმენტი ი ფაქტი"-სთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ საქართველო და უკრაინა ნატო-ს წევრობისთვის ჯერ მზად არ არიან. "ნატო-ს კარი ყველასთვის ღიაა. თუმცა, ვერ ვიტყვი, საქართველო და უკრაინა ჩვენთან შემოერთებას როდის შეძლებენ. ერთმნიშვნელოვნად უნდა ითქვას, რომ არც ერთი მათგანი ნატო-ს წევრობისთვის მზად არ არის. ჩვენ, რა თქმა უნდა, განვაგრძობთ მათთან პარტნიორობას და ერთმანეთისკენ ნაბიჯებს გადავდგამთ, მაგრამ ეს არც ისე სწრაფად მოხდება, როგორც საქართველოსა და უკრაინას წარმოუდგენიათ," - აცხადებს ინტერვიუში ნატო-ს გენერალური მდივანი. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**სტრასბურგი.** ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ მიიღო დადგენილება, რომელიც რუსეთის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას შეეხება. "როცა რუსეთი მეზობელ და რეგიონის სხვა ქვეყნებს სპეციალური გავლენის ზონებად იხილავს, კონსტრუქციული როლი უნდა ითამაშოს მოუგვარებელი პრობლემების გადაწყვეტის პროცესში. რუსეთმა უნდა შეწყვიტოს ისეთი საქმიანობა, როგორიცაა აფხაზეთისა და "სამხრეთ ოსეთის" თვითგამოცხადებული რესპუბლიკების მოსახლეობისთვის რუსული პასპორტების გაცემა. ეს პირდაპირ ან ირიბად ლახავს საქართველოს სუვერენიტეტს და არღვევს მის ტერიტორიულ მთლიანობას," - ნათქვამია დადგენილებაში. **მედიანიუსი**

## სამაგალითო დასჯა

მაია მოსიაშვილი

გუშინ დილით გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანიის ხელმძღვანელი დონ უაითი რუსთავში იმისთვის ჩავიდა, რომ სამაგალითოდ დაესაჯა მის სისტემაში მომუშავე ორი თანამდებობის პირი - ქვემო ქართლისა და რუსთავის მთავარი დისპეტჩერები. ზურა ჯაფარიძეს და ნოდარ ძნელაშვილს სამსახური დაუდევრობისათვის დაატოვებინეს. საქმე ისაა, რომ გუშინ დილიდან ელექტროენერგია გაითიშა მთელ რუსთავში. დენი არც სასიცოცხლო ობიექტებს მიეწოდებოდა. გათიშვის შესახებ წინასწარ ინფორმაციას მხოლოდ დისპეტჩერები ფლობდნენ, რომელიც მათ სადისტრიბუციოს ადგილობრივ ხელმძღვანელობას თავის დროზე არ მიაწოდეს. შესაბამისად, რუსთავში საგანგებო სიტუაცია შეიქმნა - უშუქობას სრულიად მოუმზადებელი შეხვდნენ საავადმყოფოები და სხვა სასიცოცხლო ობიექტები; სამუშაო პროცესები ჩაიშალა თითქმის ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციაში.

როგორც სადისტრიბუციო ენერგოკომპანიაში აცხადებენ, 220 კვიანი ქვესადგურის "დიდი რუსთავის" სარემონტოდ გათიშვა წინასწარ იყო დაგეგმილი, თუმცა ზუსტი დროის შესახებ ხელმძღვანელობისა და მოსახლეობისათვის დისპეტჩერებს უნდა ეცნობებინათ.

მომხდარმა ამბავმა რუსთავში ბევრი გაკვირვებული დატოვა. "რელასის" წარმომადგენლები აცხადებენ, რომ რუსთავის მთავარი დისპეტჩერი ძნელაშვილი, ფაქტობრივად, ერთადერთი ადამიანი იყო, რომელმაც ძირფესვიანად იცოდა რუსთავის ენერგოსისტემა და მისი სხვა ადამიანით ჩანაცვლება გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიაში საკმაოდ გაუჭირდებათ.

## ქუთაისში გზების სრულ რეაბილიტაციას 133 მილიონი სჭირდება

მაია მეცხვარიშვილი
*ქუთაისიდან*

ქუთაისში გზების რეაბილიტაციაზე, ადგილობრივი ხელისუფლებისა და მუნიციპალური განვითარების ფონდის გარდა, საგზაო დეპარტამენტიც იზრუნებს. პრეზიდენტისგან შესაბამისი დავალება საგზაო დეპარტამენტის უფროსის სახელზე უკვე გაიცა. დალაქიშვილის უწყება წელს ქუთაისის ორ ქუჩაზე, ახალგაზრდობისა და ჭავჭავაძის პროსპექტებზე, ორმოულ და გადაკვრით სამუშაოებს განახორციელებს.

**"ჭავჭავაძის პროსპექტი უკვე გადავიდა საგზაო დეპარტამენტის ბალანსზე, რაც იმას ნიშნავს, რომ ამიერიდან ეს ქუჩა ყოველთვის მოვლილი იქნება. მომავალ წელს ეს უწყება ამ ქუჩაზე გზის მთლიან გადაკვრას გეგმავს,"** - აცხადებს იმერეთში პრეზიდენტის რწმუნებულის მოვალეობის შემსრულებელი ზურაბ ქაჯაია "24 საათთან" საუბარში.

ჭავჭავაძის პროსპექტი აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი დამაკავშირებელი მაგისტრალია. დატვირთული სატრანზიტო ფუნქციიდან გამომდინარე, აღნიშნულ ქუჩაზე სარემონტო სამუშაოების განხორციელება წლიდან წლამდე გადაუდებელი აუცილებლობითაა გამოწვეული. აქედან გამომდინარე, ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან პერიოდულად ისმება ქუთაისზე ამვლელი სატრანზიტო გზის გაყვანის საკითხი. საკითხმა აქტუალობა ამ ხნის მანძილზე მხოლოდ ერთხელ, ზურაბ ჟვანიას პრემიერობის დროს შეიძინა, როცა რეალურად დაიწყო ქუთაისზე ამვლელი გზის გაყვანის თაობაზე საქმიანი საუბარი.

ქუთაისში სხვა ცენტრალური მაგისტრალების გარემონტებას მუნიციპალური განვითარების ფონდი ახორციელებს და ამისთვის წელს 8 მილიონს ხარჯავს. აღნიშნული ფონდის მიერ გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებული ერთ-ერთი ფირმა "თბილისის მე-2 ტრესტი" ქუთაისში მუშაობას გუშინ შეუდგა. ეს ფირმა აქ 1 მილიონ 600 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოებს განახორცილებს.

მუნიციპალური განვითარების ფონდის გარდა, ქუთაისში გზების სარემონტო სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტიდანაც ფინანსდება 5 მილიონი ლარით. ქუთაისის მერიის მიერ ჩატარებულ ტენდერში გამარჯვებულმა ფირმებმა რამდენიმე ქუჩაზე სარემონტო სამუშაოები უკვე დაასრულეს.

მუნიციპალური განვითარების ფონდისა და ქუთაისის ბიუჯეტის ერთობლივი დაფინანსებით, წელს ქუთაისში გზების შესაკეთებლად 13 მილიონი ლარი დაიხარჯება.

## ფოტორეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან

„მწვანე ტალღა" თავისუფალი აზრის რადიო FM 107.4
მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ელჩი „მწვანე ტალღის" მსმენელთან
ყოველ ხუთშაბათს გადაცემა „ამბადასორი"

### მისი აღმატებულება გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი საქართველოში ჰაიდი ტალიავინი



წამყვანები: გაგა ჯიბრონიძე, რატი ზარსყვანიშვილი

რატი ზარსყვანიშვილი: თქვენ დაიბადეთ და გაიზარდეთ შვეიცარიის ქალაქ ბაზელში. გაუწიეთ მსმენელებს გიდობა და გააცანით თქვენი მშობლიური ქალაქი?

ჰაიდი ტალიავინი: ბაზელი ევროპული გაგებით საკმაოდ ძველი ქალაქია. ჯერ კიდევ რომაელებმა ააგეს მდინარე რეინზე ხიდი რომელიც შემინდელ ევროპას ჩრდილოეთის მიწებთან აკავშირებდა. მე-14-15 საუკუნეებიდან უკვე იწყება ბაზელის აღმასვლა. ქალაქი იზიდავდა შემინდელი ევროპის მოაზროვნე ხალხს. რადგანაც ბაზელში ამ დროისთვის დაარსდა სტამბა. ამის გამო ერაზმ როტერდამელი დასახლდა ბაზელში და გაატარა თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი. ბაზელის უნივერსიტეტი თითქმის 600 წლისაა.



გაგა ჯიბრონიძე: თქვენი მამა იტალიელი იყო. რამდენად გეხმარებათ სამხრეთული ტემპერამენტი ქართველებთან ურთიერთობისას?

ჰაიდი ტალიავინი: გაზრდილი ვარ გერმანულენოვან კანტონში და შესაბამისი აღზრდა მაქვს მიღებული. მიუხედავად ამისა, როგორც დიპლომატს მართლაც მეხმარება მამისგან მიღებული სამხრეთული ტემპერამენტი რაც პირველ რიგში ადამიანებთან კონტაქტის ადვილად დამყარების ნიჭს გულისხმობს.

# ოპოზიცია არჩევნებში მონაწილეობაზე უარს ამბობს

პირველი გვერდიდან

ძნელი სათქმელია, დღევანდელი ხელისუფლების ოპონენტების ეს ნაბიჯი როგორ იმოქმედებს ქვეყანაში პოლიტიკური მოვლენების შემდგომ განვითარებაზე, მაგრამ ის კი ცხადია, რომ ოპოზიციის კონსოლიდაციას ნამდვილად შეუწყობს ხელს. საპარლამენტო უმრავლესობას დღეს ეს ნაკლებად აშინებს, რადგან მიაჩნია, რომ საკმაოდ ძლიერი სახელისუფლებო და ელექტორალური რესურსი აქვს. ამიტომაც, სახელისუფლებო ფრაქციამ გუშინ ყოველგვარი ყოყმანის გარეშე, პირველი მოსმენით (129 ხმით), მხარი დაუჭირა გიგა ბოკერიას საკანონმდებლო ინიციატივას, რომელიც თბილისის მერის არაპირდაპირი გზით (საკრებულოს შემადგენლობიდან) არჩევას და დედაქალაქის საკრებულოს არჩევნების შერეული (მაჟორიტარული და პროპორციული) წესით ჩატარებას ითვალისწინებს.

გიგა ბოკერია ხაზს უსვამს, რომ თბილისის მერის არაპირდაპირი გზით არჩევა დემოკრატიული მოდელია და იგი პირველი ნაბიჯი გახდება ქვეყნის დეცენტრალიზაციის გზაზე. მისი თქმით, დედაქალაქის მერის პირდაპირი არჩევნები ინსტიტუციონალურ კონფლიქტს გამოიწვევს და ქვეყანას დიდი საშიშროების წინაშე დააყენებს.

**"წყალგამყოფია ის, მერი ინიშნება თუ აირჩევა და არა ის, პირდაპირი გზით აირჩევა თუ არაპირდაპირით,"** - აცხადებს საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი, რომელიც "შანტაჟს" უწოდებს ოპოზიციის მცდელობას, სახელისუფლებო ფრაქციის საკანონმდებლო ინიციატივა ქვეყანაში დიქტატურის დამყარებად მონათლოს.

ის, რაც აღაფრთოვანებს უმრავლესობას, ოპოზიციის უკმაყოფილებას იწვევს. კობა დავითაშვილს თავისი ახლო პოლიტიკური წარსული უკვე სანანებლადაც კი გახდომია.

**"ამისთვის ვიბრძოდით?"** - დანანებით დასძენს "კონსერვატორების" ლიდერი, რომელიც ღრმად არის დარწმუნებული, რომ ქართველი ხალხის და თბილისელი ამომრჩევლის ნება მერის პირდაპირი გზით არჩევნებია. დავითაშვილი ოპოზიციური ძალების წარმომადგენლებს მოუწოდებს, **"ნუ იქცევიან კუბოზე დადებულ გვირგვინად და ერთად იბრძოლონ დიქტატურის დაკანონების წინააღმდეგ."**

გიგა ბოკერიას საკანონმდებლო ინიციატივას "მემარჯვენე ოპოზიციამ" გუშინ ალტერნატიული კანონპროექტი "შეაგება". მამუკა კაციტაძის მიერ შემუშავებული დოკუმენტი ითვალისწინებდა თბილისის რაიონული დაყოფის გაუქმებას, დედაქალაქის დაყოფას რამდენიმე ათეულ უბნად, რომელიც თვითმმართველობას განახორციელებს, მოსახლეობის მიერ მერის პირდაპირ არჩევას, ქალაქის პრემიერის ინსტიტუტის გაუქმებას და ა.შ.

ამ დოკუმენტმა საპარლამენტო უმრავლესობის მხარდაჭერა, ცხადია, ვერ მოიპოვა: ალტერნატიულ კანონპროექტს 28 დეპუტატმა დაუჭირა მხარი, 54-მა კი წინააღმდეგ მისცა ხმა (ეს მაშინ, როდესაც რეგისტრაცია 169 პარლამენტარს ჰქონდა გავლილი. სხდომათა დარბაზში მყოფი კანონმდებლების უმრავლესობამ, როგორც ხედავთ, არც მწვადი დაწვა, არც შამფური - კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო).

**"რომ იძახით, ნაბიჯ-ნაბიჯ მივდივართ დემოკრატიისკენო, აქამდე თუ ხტუნვა-ხტუნვით დადიოდით, ახლა რა დაგემართათ?"** - "შეკითხვით მიმართა" მამუკა კაციტაძემ დარბაზში "გაუჩინარებულ" კოლეგებს.

**"ხტუნვა-ხტუნვა ვარდების რევოლუცია იყო,"** - "განუმარტა" ოპოზიციის წარმომადგენელს ვიცე-სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა.

მას შემდეგ, რაც პარლამენტმა თბილისის მერის პირდაპირი გზით არჩევის დაკანონებაზე უარი თქვა, დავით ბერძენიშვილმა დღევანდელი ხელისუფლების მხარდამჭერებს არცთუ სასიამოვნო მომავალი უწინასწარმეტყველა. **"თქვენ პოლიტიკურ ნანგრევებში მოყვებით,"** - ჰპირდება "რესპუბლიკელი" დეპუტატი გიგა ბოკერიას კანონპროექტის მომხრეებს...

ბოლო ორი დღის განმავლობაში, რაც პარლამენტში "თბილისის შესახებ" კანონში ცვლილებების შეტანის საკითხი იხილებოდა, პარლამენტარებმა არაერთხელ შეამკეს ერთმანეთი სხვადასხვა "ეპითეტებით".

"უსინდისოები", "უზნეოები", "მატყუარები", "დემაგოგები", "მშიშრები", "ლაჩრები", - ეს სიტყვები გუშინ და გუშინწინ განუწყვეტლივ ისმოდა პარლამენტის კედლებში. დღეს კი კანონმდებლები პოლიტიკური ბრძოლის ველს, ალბათ, საკმაო ხნით გასცილდებიან: რიგგარეშე სხდომები და საგაზაფხულო სესია ერთდროულად მთავრდება.

საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA

ახალი დაბალი ტარიფები

თქვენ სარგებლობთ საერთაშორისო საუბრებით და:
- გსურთ არ გქონდეთ დავალიანება ტელეფონზე;
- გათიშული გაქვთ 8-იანი;
- ან უბრალოდ გინდათ მნიშვნელოვნად დაზოგოთ ფული...

„საქართველოს ტელეკომი" გთავაზობთ ტელეკომბარათით მომსახურებას:
ყველაზე დაბალი ტარიფი საერთაშორისო საუბრებზე (24სთ-ის განმავლობაში):

აშშ
რუსეთი
ევროპა (ფიქსირებულ ტელეფონზე)

დროის წამობრივი აღრიცხვა
მხოლოდ 30თ.

ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები
8-10

ბარათები შეიძინეთ „საქართველოს ტელეკომის" საკომუნიკაციო ცენტრებსა და ანგარიშსწორების პუნქტებში

რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge

## რა მოხდა სინამდვილეში თბილისი-დუბაის რეისზე

პირველი გვერდიდან

**- რა აჩვენა შავი ყუთის გაშიფვრამ და სად ჩატარდა მისი ექსპერტიზა?**

-შავი ყუთის მონაცემების გაშიფვრა მოხდა ავიაკომპანია "უკრაინის საერთაშორისო ავიახაზების" კონტროლისა და ხარისხის გარანტიის განყოფილების მიერ. ამ კომპანიას მიღებული აქვს მსგავსი სამუშაოების ჩასატარებლად აუცილებელი ევროპის ავიაციის უსაფრთხოების სააგენტოს სერტიფიკატი. გუშინ ჩვენ კიევიდან მივიღეთ დასკვნა, რომლითაც დასტურდება, რომ ეკიპაჟმა დადგენილი სტანდარტების სრული დაცვით იმოქმედა და ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება მიიღო. რაც შეეხება საქართველოს ავიაციის დეპარტამენტის მიერ შექმნილი კომისიის დასკვნას, ტექნიკური ექსპერტიზის საფუძველზე დადგინდა, რომ საჰაერო ხომალდი ტექნიკური თვალსაზრისით სრულიად გამართულია და ფრენის ნებართვაც გასცეს. გუშინ ამ ხომალდით თბილისი-ვენის რეისი შესრულდა.

**-რა მოხდა სინამდვილეში 14 ივნისს თბილისი-დუბაის რეისზე?**

- აფრენიდან 41-ე წუთზე შემცირდა მარჯვენა ძრავის ბრუნვათა რიცხვი, ეს ეკიპაჟმა ძრავის მაკონტროლებელ ხელსაწყოებზე დააფიქსირა. როგორც გაირკვა, დაზიანდა დაბალი წნევის საფეხური ძრავის საწვავის ტუმბოში.

**- რამდენად საშიში იყო დაზიანება და ფიქსირდება თუ არა ანალოგები საავიაციო პრაქტიკაში?**

- ბოინგის ფრენის საბორტო ინსტრუქციებში მსგავსი შემთხვევებისას ეკიპაჟის მოქმედების კონკრეტული რეკომენდაციაა მოცემული. ეს იმას ნიშნავს, რომ სხვადასხვა მიზეზით მსგავსი შემთხვევები ხდება და ეს გათვალისწინებულია მწარმოებლის მიერ.

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ტუმბოს დაზიანება არ წარმოადგენს საშიშროებას ფრენის უსაფრთხოდ დასრულებისათვის. მე მესმის მგზავრების შეშფოთება და შიში და კიდევ ერთხელ ავიაკომპანიის სახელით მინდა, ბოდიში მოვუხადო მათ მომხდარის გამო გამოწვეული უსიამოვნებისათვის, მაგრამ მინდა განვაცხადო, რომ ეს იყო არასტანდარტული სიტუაცია და არამც და არამც ავარიული და ამას ადასტურებს ყველა კომისიის დასკვნა.

***ძრავების მწარმოებელი კომპანიის CFMI-ის მიერ ამ ტიპის ძრავების ექსპლუატაცია დაიწყო 1988 წელს. დღემდე გამოშვებულია 4498 ძრავი, რომელთა საერთო ნაფრენი საათების რაოდენობამ სტატისტიკის მიხედვით შეადგინა 143 000 000 საათი. უკვე 21 წელია, ამ ძრავებით აღჭურვილია როგორც ბოინგის, ისე ეარბასის საჰაერო ხომალდები. 21 წლის განმავლობაში ფრენის დროს საწვავის ტუმბოს დაზიანების 22 შემთხვევაა დაფიქსირებული. მათგან 11 შემთხვევაში მოხდა ძრავის გამორთვა. კომპანიის ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით ასეთი შემთხვევა 10 მილიონ ფრენაზე ერთხელ დაფიქსირდა.***

**- როგორც ცნობილია, საჰაერო ხომალდი, რომელსაც პრობლემები შეექმნა, სულ ორი თვის შეძენილია, რამდენად საიმედოდ იყო შესწავლილი მისი ტექნიკური გამართულობა?**

-ეს საჰაერო ხომალდი 2005 წლის 17 აპრილს ავიაკომპანიამ ლიზინგით მიიღო უდიდესი სალიზინგო ამერიკული კომპანიისაგან CIT-AERO SPACE. ხომალდს ჯერ რესურსის ერთი მესამედიც არ გაუვლია. რაც შეეხება მის ტექნიკურ გამართულობას, ხომალდს გაზაფხულზე ჩაუტარდა ე.წ. დიჩეკი, ანუ ყველაზე დეტალური და კომპლექსური შემოწმება ტექნიკური მომსახურების ფორმებიდან. ეს ნიშნავს, რომ თვითმფრინავი სრულიად უსაფრთხოა.

**- რატომ ვერ მოხერხდა ამ შემთხვევის თავიდან აცილება, იყო თუ არა დაშვებული შეცდომები ტექნიკური კონტროლის თვალსაზრისით?**

- მსგავსი დაზიანების აღმოჩენა ტექნიკური ექსპლუატაციის დროს, ანუ თვითმფრინავის მიწაზე დათვალიერებისას შეუძლებელია. ყველა ანალოგიურ შემთხვევაში დაზიანება ფრენისას ანუ გაშვებული ძრავის დროს ფიქსირდება.

**- შეიტანთ თუ არა სარჩელს ძრავის მწარმოებელ კომპანიაზე?**

- ამჟამად მოკვლევის მხოლოდ ერთი ეტაპი დასრულდა, იმის ანალიზი კი, თუ რატომ დაზიანდა საწვავის ტუმბო, კვლავ გრძელდება. როდესაც ყველა დასკვნა იქნება, ავიაკომპანია გადაწყვეტს, ვისთან გვექნება პრეტენზია.

**- ბატონო სოსო, მგზავრების მონათხრობით მოხდა ხანძარი, რასაც ადასტურებს შავი ბოლი, რომელიც ძრავიდან გამოდიოდა?**

- ასევე კატეგორიულად ვაცხადებ, რომ ხანძარი არ ყოფილა, ეს დაადასტურა დამოუკიდებელმა ექსპერტიზამ. ღამით, მთვარის შუქზე შეუძლებელია გამონაბოლქვის ზუსტი ფერის დადგენა, ეს სპეციალისტებსაც კი არ შეუძლიათ.

**- მაშინ რა იყო ეს ბოლი?**

- ეს იყო საწვავის და ჰაერის ნაზავი.

**- მომხდარი ინციდენტის შემდეგ რა არის იმის გარანტია, რომ "ჯორჯიან ეარვეისის" თვითმფრინავებით ფრენა უსაფრთხოა მგზავრებისათვის?**

- მაშინ დეტალურად აგიხსნით ტექნიკური კონტროლის მთელ ციკლს: საჰაერო ხომალდის ტექნიკური მომსახურება ტარდება მწარმოებლის მიერ გამოცემული ტექნიკური მომსახურების პროგრამის თანახმად, რაც ითვალისწინებს საჰაერო ხომალდის შემოწმებას ყოველი გაფრენის წინ და დაფრენის შემდეგ. მათ უტარდებათ ოპერატიული და პერიოდული მომსახურების ტექნიკური ფორმები. ოპერატიული მომსახურების ფორმების დიდ ნაწილს ვატარებთ თბილისის აეროპორტში ჩვენი ტექნიკური პერსონალის მეშვეობით, არსებული სერტიფიკატის ფარგლებში, რომელიც გაცემულია ევროპის საავიაციო უსაფრთხოების სააგენტოს მიერ. ხოლო პერიოდული პროფილაქტიკური ფორმები, როგორიცაა სი ჩეკი ტარდება ყოველ 18 თვეში. გასულ წლებში ჩატარდა კომპანიების - ლუფთჰანზა, ჰაპაკ ლოიდი, ატს-ლაშამი, ჩეხეთისა და ლიტვის ავიახაზების მიერ. თავად ევროპული სააგენტო მუდმივად ახორციელებს კონტროლს საერთაშორისო სტანდარტებთან ავიაკომპანიის ტექნიკური ორგანიზაციის მომსახურების შესაბამისობაზე. უმკაცრესი პირობებია, რომელთა დაკმაყოფილებაც სავალდებულოა. სხვათა შორის, მთელს სამხრეთ კავკასიაში "ჯორჯიან ეარვეისი" ერთადერთია, რომელსაც ამ სააგენტოს მიერ გაცემული სერტიფიკატი აქვს. რომ წარმოიდგინოთ, კონტროლის როგორ რთულ და დეტალურ მექანიზმს ითვალისწინებს სერტიფიცირება, მაგალითისათვის გეტყვით, რომ სააგენტო 6 თვეში ერთხელ იმასაც კი ამოწმებს, როგორი ტენიანობის და ტემპერატურული რეჟიმის პირობებში ინახება ჩვენს საწყობებში სათადარიგო მასალები. როგორ საოფისე პირობებში მუშაობს პერსონალი, როგორი გათბობა და განათებაა ოფისში, როგორი დასვენების პირობები აქვთ.

***ბოლოს მინდა, გითხრათ: უსაფრთხო ფრენის გარანტიას "ჯორჯიან ეარვეისის" მგზავრებს ავიაკომპანიის ხელმძღვანელობის, ტექნიკური პერსონალის და, რაც მთავარია, ჩვენი მფრინავების სახელით ვაძლევ. ფრენების უსაფრთხოება ყოველთვის იყო და კვლავაც რჩება "ჯორჯიან ეარვეისის" უმთავრეს პრიორიტეტად.***

*24 საათი*

**"საერთაშორისო იურიდიული ოფისი გაპი" აფუძნებს ფილიალს ქ. ბათუმში და აცხადებს კონკურსს ფილიალის მენეჯერისა და ადვოკატის თანამდებობებზე.**

**პირობები:**

1. უმაღლესი იურიდიული განათლება;
2. ადვოკატის სერტიფიკატი;
3. ავტობიოგრაფია (CV);
4. ასაკი 27 წლამდე;
5. დახასიათება უმაღლესი სასწავლებლიდან ან ბოლო სამუშაო ადგილიდან;
6. ერთ-ერთი უცხო ენის ცოდნა.

**საბუთების შემოტანის ვადაა 2005 წლის 15 ივნისამდე**

# საკრებულოს 296 ათასი ლარი კონკურსისთვის არ ემეტება

*თბილისის მერიაში მოსამსახურეთა 800 ვაკანსიაზე კონკურსის გამოცხადება ივნისის ბოლოს იყო დაგეგმილი, მაგრამ, საკრებულოს წყალობით, კონკურსის გამოცხადების ვადა ჭიანურდება. საქმე ის არის, რომ მერია კონკურსის ჩასატარებლად ქალაქის ბიუჯეტიდან 296 ათასი ლარის გამოყოფას ითხოვს. საკრებულო კი ბიუჯეტში ამ ცვლილების შეტანას კარგა ხანია, აჭიანურებს. გუშინდელ სხდომაზე აღნიშნული საკითხის მორიგი განხილვა მიმდინარეობდა.*

ნანა ქადაგიშვილი

ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების პროექტის განხილვას (რომელიც კონკურსის ჩასატარებლად საჭირო 296 ათასი ლარის გამოყოფას ითვალისწინებს) საკრებულომ უკვე რამდენიმე სხდომა მოანდომა, მაგრამ უშედეგოდ. ოპოზიციური ფრაქციების წარმომადგენლებსა და უმრავლესობის ნაწილს კონკურსისთვის 296 ათასი ლარის დახარჯვა არ ემეტება. **“რატომ უნდა მოხმარდეს ტენდერს 300 ათასი ლარი, როცა ამდენი გაჭირვებული ადამიანი გვყავს,”** – გაჭირვებული მოქალაქეების უცვეთი თემით მორიგად სარგებლობს ოპოზიცია. ბოლო სხდომაზე კი ფრაქცია “ლეიბორისტების” წარმომადგენელმა პაატა ჯიბლაძემ კოლეგების გაკვირვებაც სცადა და მათ კონკურსის ხარჯთაღიცხვა გააცნო. **“კონკურსისთვის გათვალისწინებული 296 ათასი ლარიდან 225 800 ლარი სატენდერო კომისიის წევრების ხელფასებს უნდა მოხმარდეს, 25 ათასი – დარბაზების დაქირავებას. რატომ უნდა გადავუხადოთ კომისიის წევრებს ამხელა ხელფასი, ან იმისთანა რა დარბაზები უნდა იქირაონ, 25 ათასი რომ სჭირდება. ჯერ კიდევ სად ხართ, 6 ათასი ლარი გაუთვალისწინებელი ხარჯებისთვის არის განკუთვნილი. რა ხარჯებია ასეთი, წინასწარ რომ ვერ გაითვალისწინეს,”** – აღშფოთებულია ჯიბლაძე.

მერიისა და საკრებულოს აპარატის უფროსი გივი ორდენიძე კი განმარტავს, რომ 296 ათასი ლარი 800 ვაკანსიაზე, ანუ, მინიმუმ, 8 000 კონკურსანტისთვის ტენდერის ჩასატარებლად ზედმეტი ნამდვილად არ არის. **“ამ თანხის 80 პროცენტი მართლაც კომისიისა და აპარატის წევრების ხელფასებზე დაიხარჯება. 5-5 კაციანი 8 კომისიის წევრებად პროფესიონალები უნდა მოვიწვიოთ. თითოეულს თვეში 1000 ლარი უნდა გადავუხადოთ. არც ერთი კარგი სპეციალისტი 3 თვის განმავლობაში, ნაკლები ანაზღაურების გულისთვის, საკუთარ საქმიანობას არ მოსწყდება. ამის გარდა, უნდა შეიქმნას 30-კაციანი აპარატი, რომელიც ტექნიკურ სამუშაოს შეასრულებს. რაც შეეხება 6 ათას ლარს, გაუთვალისწინებელი ხარჯები ნებისმიერ ხარჯთაღრიცხვას ახლავს თან. ამ თანხას საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების გარეშე ვერავინ დახარჯავს,”** – აცხადებს ორდენიძე.

ასე რომ, აღნიშნული საკითხის განხილვა აჟიოტაჟის გარეშე არც დღევანდელ სხდომაზე ჩაივლის. სხვათა შორის, ქალაქის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების პროექტის განხილვა, უმეტესად, გაწევ-გამოწევის ფონზე მიმდინარეობს. თუმცა, როცა საბიუჯეტო ცვლილება დეპუტატების ხელფასების ან ყოველდღიური ხარჯების ზრდას ეხება, მათი დიდი უმრავლესობა თანხმობის დასტურად ხელის აწევას ერთმანეთს ასწრებს ხოლმე.

# ფინანსური პოლიცია ექსპერტიზასთან "საერთო ენას" ვერ პოულობს

მაია მეცხვარიშვილი
*ქუთაისიდან*

23 ივნისს ქუთაისის საოლქო სასამართლოს მოსამართლემ რეზო სულწაძემ ფინანსური პოლიციის შუამდგომლობა ნაწილობრივ დააკმაყოფილა. მოსამართლის გადაწყვეტილებით, 23 მარტს განხორციელებული სპეცოპერაციის შედეგად დაკავებულ მერიის ყოფილ მაღალჩინოსნებს წინასწარი სამთვიანი პატიმრობის ვადა ერთი თვით გაუგრძელდათ. ქუთაისის საფინანსო სამმართველოს ყოფილი უფროსი ლევან გოგელაშვილი, ინფრასტრუქტურის სამსახურის ყოფილი ხელმძღვანელი გოგიტა ხურციძე და შპს "ტენზორის" კომერციული დირექტორი ავთანდილ ობოლაძე საბიუჯეტო თანხების მითვისება-გაფლანგვის გამო დააკავეს.

მოსამართლე ზემოთ აღნიშნული გადაწყვეტილების გამოსატანად ხუთი საათის განმავლობაში ემზადებოდა. კულუარებში საუბრობდნენ, რომ ამ ხნის მანძილზე სულწაძე საკუთარ კაბინეტში იყო ჩაკეტილი და შესაბამის სატელეფონო მითითებას ელოდებოდა. სხდომის დარბაზში შეკრებილი საზოგადოება კი დაკავებულთა დარბაზიდან გათავისუფლებას ვარაუდობდა, რადგან წინა დღით გამართულ პროცესზე ექსპერტიზამ ბრალდების მხარის შუამდგომლობას, ფაქტობრივად, მოტივაცია გამოაცალა. შუამდგომლობის საფუძვლად ბრალმდებელი, საფინანსო პოლიციის გამომძიებელი ნოდარ ნემსიწვერიძე მიუთითებდა იმას, რომ მიღებული არ ჰქონდა ექსპერტიზის დასკვნა და დრო სჭირდებოდა ამ დასკვნის მხარეებისთვის გადასაცემად.


*მოსამართლემ ადვოკატის არგუმენტები არ გაითვალისწინა და პატიმრობის ვადა ერთი თვით გააგრძელა.*

**"ამ დროს შუამდგომლობა დაყენებულია 14 ივნისს, 9 დღის წინ. ექსპერტმა მიუთითა, რომ როდესაც საექსპერტო ბიურომ წარმოადგინა დასკვნა, საგამოძიებო ვადის გაჭიანურების მიზნით, ფინანსურმა პოლიციამ ეს დასკვნა არ ჩაიბარა. ჩემი კოლეგებიც დაადასტურებენ, რომ იყო ზეწოლა ექსპერტებზე საფინანსო პოლიციის მხრიდან",** - აცხადებს გერმანე ხურციძის ადვოკატი მიხეილ ნემსაძე "24 საათთან" საუბარში.

ბოლო დროს აშკარად შეინიშნება, რომ ფინანსური პოლიცია ექსპერტიზასთან "საერთო ენას" ვერ პოულობს. ამ რამდენიმე თვის წინ ფინანსური პოლიციის მიერ აღძრული სისხლის სამართლის საქმეები შპს "საქართველოს გზების", "არმაზისა" და ინდ. მეწარმე "ჯანხოთელის" წინააღმდეგ სწორედ იმის გამო დაკონსერვდა, რომ ექსპერტიზამ ამ ფირმებს მიღებული თანხების შესაბამისი სამუშაოების შესრულება დაუდასტურა. 22 ივნისის სხდომაზე ქუთაისის საექსპერტო ბიუროს წარმომადგენელმა იგივე დაუდასტურა ფირმა "ტენზორსაც".

**"დანიშნული იქნა კომპლექსური ექსპერტიზა, ნამდვილად შეასრულა თუ არა შპს “ტენზორმა" ის საქმიანობა, რაც მას დაუკვეთეს. ტექნიკურმა ექსპერტიზამ დაადასტურა ის ფაქტი, რომ ტენზორის საქმიანობა რეალურად აისახა მის მიერ მოცემულ ფორმა N2-ში, ანგარიშ-ფაქტურებში და, შესაბამისად, რაც მას დაუკვეთა ადგილობრივმა თვითმმართველობამ, ყველაფერი იქნა შესრულებული. უფრო მეტიც, ადგილობრივი თვითმმართველობის შენობაში ამ ფირმას უფრო მეტი ღირებულების სამუშაო აქვს შესრულებული, ვიდრე თანხა აქვს მიღებული, ანუ შესრულებულია 117 ათასი ლარის სამუშაო და ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტიდან მიღებულია 104 ათასი ლარი, რაც იმაზე მეტყველებს, რომ არანაირ მითვისებასა და გაფლანგვას ადგილი არ ჰქონია",** - აცხადებს ავთანდილ ობოლაძის ადვოკატი დიმიტრი ჩაფიჩაძე "24 საათთან" საუბარში.

**"ექსპერტიზამ აჩვენა, რომ დაკავებულთა ქმედებაში არანაირი დანაშაული არ გამოვლენილა. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს ადამიანები არიან უკანონო პატიმრები და პატიმრობის ვადა არ უნდა გაგრძელდეს",** - აცხადებს დიმიტრი ჩაფიჩაძე.

როგორც ჩანს, ექსპერტიზის დასკვნა სარწმუნო მხოლოდ მოსამართლისთვის არ აღმოჩნდა. თუმცა, დაკავებულების ადვოკატები მოსამართლის გადაწყვეტილებას სისხლის სამართლის სააპელაციო პალატაში 24 საათის განმავლობაში გაასაჩივრებენ.

# ბოლნისი სასმელი წყლის გარეშე

მაია მოსიაშვილი

უკვე მესამე დღეა, ბოლნისი სასმელი წყლის გარეშეა დარჩენილი. სასმელი წყლის ცენტრალური მილის 70 მეტრიანი მონაკვეთი მთიდან ჩამოწოლილმა მეწყერმა მთლიანად გაანადგურა. სპეციალისტები აცხადებენ, რომ მის აღდგენას კიდევ სამი დღე სჭირდება. დაბა ბოლნისს, დაბა კაზრეთს და რაიონული ცენტრის გარშემო არსებულ ქართულ სოფლებს სასმელი წყლის მოპოვების სხვა ალტერნატივა არ გააჩნიათ და მას ავტოცისტერნებით იღებენ.

ბოლნისის რაიონის გამგებელი გიორგი არევაძე საზღვარგარეთ იმყოფება, მისი მოადგილე კი აცხადებს, რომ უწყლოდ დარჩენილი მოსახლეობისთვის და ქალაქის სასიცოცხლო ობიექტებისათვის 5 ავტოცისტერნა მუშაობს, რაც, რა თქმა უნდა, საკმარისი არ არის.

ბოლნისის წყლის გარეშე დარჩენას ხელისუფლებაში აჟიოტაჟი არ მოჰყოლია და არც რეზერვისტები დაურაზმავთ. ადგილობრივ ხელისუფლებაში აცხადებენ, რომ საგანგაშო არაფერია და უწყლოდ არავინ დარჩება.

**შესწორება**

23 ივნისის ნომერში გამოქვეყნებულ შპს “საქართველოს საინფორმაციო სააგენტო საქინფორმის” განცხადებაში გაიპარა უზუსტობა. კონკურსის თარიღი 24 აგვისტოს ნაცვლად უნდა იყოს 25 ივლისი.

# პრეზიდენტმა სიღნაღში „მოწამლული" წყალი დალია

ზვიად რუაძე
*კახეთიდან*

*ბოლო ერთი თვის განმავლობაში კახეთის რეგიონს ქვეყნის პირველი პირი უკვე მესამედ ეწვია. ბოლო სტუმრობა კი კახელებისთვის დასამახსოვრებელი აღმოჩნდა. გუშინ მიხეილ სააკაშვილი მოულოდნელად ეწვია სიღნაღს. ძველი ქალაქის ქუჩები ფეხით შემოიარა, რაიონის ცენტრში განთავსებულ სუპერმარკეტს ესტუმრა, ახალი პროკურატურის შენობაც მოინახულა და ბოლოს “მოწამლული" წყალიც დალია.*

საგარეჯოს მკვიდრი, 70 წლის ვალიკო სუხიაშვილი პრეზიდენტის ჩამოსვლას კახეთში მოუთმენლად ელოდა. **“ერთი მინდა, ვკითხო პრეზიდენტს, როდემდე უნდა ვიყოთ უპატრონოდ? აგერ რთველი ახლოვდება და ამაზე ჯერ არავინ ფიქრობს. იქნებ პირადად მაინც მივიტანო მთელი სოფლის პრობლემა მასთან,"** – ასეთი იმედი ჰქონდა ვალიკო სუხიაშვილს, მაგრამ მისი იმედი არ გამართლდა. პრეზიდენტის სტუმრობა სოფელ ყანდაურაში ნახევარ საათს გაგრძელდა, მან სოფლის საშუალო სკოლის ეზოში განლაგებული, სახელოვანი ძიუდოისტის ანზორ კიკნაძის სახელობის სპორტული დარბაზის წითელი ლენტი გაჭრა. დარბაზის მშენებლობაში თავისი წვლილი ბრიტანულმა ნავთობკომპანიამ და ამავე რაიონის ხელმძღვანელობამ შეიტანეს.


ზვიად რუაძის ფოტო
*პრეზიდენტის კახეთში მოგზაურობის ერთ-ერთი მთავარი მიზანი საჭიდაო დარბაზების გახსნა იყო.*

ასეთივე ღონისძიებას დაესწრო მიხეილ სააკაშვილი სოფელ პატარძეულში, სადაც გივი ონიაშვილის სახელობის საჭიდაო დარბაზი გაიხსნა. როგორც პრეზიდენტმა განაცხადა, ასეთის სახის დარბაზები საქართველოში კიდევ სამოცდაათი აშენდება. **“უნდა ითქვას, რომ რეგიონები გამოცოცხლდა, რაც ძალიან მიხარია. იმედი მაქვს, რომ ამიერიდან ახალგაზრდები ბირჟებზე კი არა, ამ სპორტულ დარბაზებში იქნებიან. საერთოდ კი, მინდა აღვნიშნო, რომ საქართველოში უკვე ჩამოყალიბდა ხალხის კატეგორია, ვინც ისწავლა საქმის კეთება. უნდა ითქვას, რომ ყველაფერი დალაგდა თავის ადგილას. მთავარია, ამიერიდან ხალხმა სწორედ გააკეთოს არჩევანი ასეთი ადამიანების კატეგორიებს შორის,"** - განაცხადა ქვეყნის პრეზიდენტმა.

პატარძეულის ახალგაზრდობა ქვეყნის პირველ პირს სანახაობებით დახვდა. ცეკვა-სიმღერასთან ერთად, ბავშვები მიხეილ სააკაშვილს თავიანთ სპორტულ შესაძლებლობებს უჩვენებდნენ.

ამის შემდეგ კი პრეზიდენტმა უეცარი გადაწყვეტილება მიიღო და საგარეჯოდან სიღნაღის რაიონში გაემგზავრა. მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტის სტუმრობა ქიზიყელებისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა, ძველი ქალაქის ცენტრი და სკვერები უამრავი ადამიანით გაივსო. მიხეილ სააკაშვილმა თავდაპირველად სიღნაღის ძველი, იერშეცვლილი ქუჩები დაათვალიერა. ცენტრში განთავსებულ სუპერმარკეტში შეიარა და განახლებული რაიონული პროკურატურის შენობაც მოინახულა. იმ დროს კი, როდესაც მიხეილ სააკაშვილი ქუჩის ფანტანზე წყლის დასალევად გაეშურა, მოსახლეობამ წყლის დალევა არ ურჩია, რადგან, როგორც სიღნაღელები ამბობენ, რაიონში სასმელი წყალი დაბინძურებული და მოწამლულია. მიუხედავად გაფრთხილებისა, მიხეილ სააკაშვილი წყალს დაეწაფა და ქიზიყელები დაამშვიდა. საქართველოს პრეზიდენტმა ბოლოს ასეთი კომენტარი გააკეთა: **“ამ ბოლო დროს, სიღნაღი და ქიზიყი უყურადღებოდ დამრჩა. მაგრამ მე ეს ისტორიული ქალაქი და აქაური ხალხი ისე მიყვარს, რომ თანდათანობით ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ მდგომარეობა შეიცვალოს - შეკეთდეს სახლები, გაკეთდეს გზები, მოიხსნას წყლის პრობლემა. მე ვარწმუნებ ჩემს საყვარელ ქიზიყელ ხალხს, რომ ამის შემდეგ მეტ ყურადღებას მივაქცევ,"** - ასე დაემშვიდობა პრეზიდენტი სიღნაღელებს.

## ყურადღება!

საქართველოს პრეზიდენტთან არსებული განვითარების და რეფორმების ფონდი ანახლებს წარმატებულ პროექტს: -"სასწავლო და სამეცნიერო გრანტების პროგრამა ახალგაზრდა იურისტებისთვის".

ამა წლის 15 ივნისს საქართველოს პრეზიდენტმა მიულოცა საკონკურსო წესით შერჩეულ 14 წარმატებულ კანდიდატს ევროპის და აშშ-ის საუკეთესო უნივერსიტეტებში სამაგისტრო პროგრამებზე სასწავლებლად სრული დაფინანსების მოპოვება.

პრეზიდენტის ინიციატივით, ვაცხადებთ კონკურსის მეორე რაუნდს იურიდიული და საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტების კურსდამთავრებულთათვის. (კონკურსის მეორე რაუნდში ვერ მიიღებენ მონაწილეობას პირველ რაუნდში მონაწილე კანდიდატები).

განვითარებისა და რეფორმების ფონდი დააფინანსებს ახალგაზრდა იურისტებს, რომლებიც 2005-2006 აკადემიური წლის განმავლობაში გააგრძელებენ სწავლას ან სამეცნიერო მუშაობას ევროპის ან აშშ-ის უნივერსიტეტებში. დაფინანსება მოიცავს სასწავლო და სამეცნიერო სტიპენდიას და/ან სწავლასთან და სამეცნიერო მუშაობასთან დაკავშირებულ სხვა ხარჯებს (მათ შორის - მგზავრობის და საცხოვრებელ ხარჯებს). შერჩევა განხორციელდება კონკურსის საფუძველზე.

ზემოაღნიშნული ინფორმაცია (ასევე განაცხადის ფორმა) განთავსებულია შემდეგ ვებ-გვერდებზე:
www.drf.org.ge
საბუთების მიღების ბოლო ვადაა 2005 წლის 20 ივლისი,.

შემდგომი ინფორმაციისათვის და განაცხადის ფორმებისათვის მიმართეთ შემდეგ მისამართზე:

**განვითარებისა და რეფორმების ფონდი**
**ჭანტურიას ქ. N12, თბილისი 0108 საქართველო**
**ტელ.: 996723/995923/997582(ფაქსი)**
**ელ-ფოსტა: isulava@drf.org.ge**

## ადმინისტრაციის ასისტენტი

კომპანია "ბი-პი"-ს მილსადენების პროექტების მიზნებისათვის და "ბი-პი"-ს უშუალო ხელმძღვანელობით, შპს "IRA” კონკურსზე იწვევს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირებს ადმინისტრაციის ასისტენტის თანამდებობის დასაკავებლად. ადმინისტრაციის ასისტენტი წარმოადგენს საქართველოში "ბი-პი"-ს მილსადენების მშენებლობის პროექტის კონტრაქტორ მესამე მხარეს, რომელიც იმუშავებს "ბი-პი"-ს ხელმძღვანელობის ქვეშ.

**სამუშაოს აღწერა:**
ადმინისტრაციის ასისტენტის ძირითადი მოვალეობაა ზოგადი დამხმარე ადმინისტრაციული სამუშაოს შესრულება.

**მოვალეობები და პასუხისმგებლობები:**
ადმინისტრაციის ასისტენტის მოვალეობებს და პასუხისმგებლობას შეადგენს (არ შემოიფარგლება რა ამით):
დეპარტამენტის მთლიანი დოკუმენტაციის აღრიცხვა;
- დაარქივების სისტემების და მონაცემთა ბაზის შექმნა, მასზე მუშაობა და მართვა;
შიდა დამკვეთებისაგან მიღებული ყველა დაკვეთის აღრიცხვა და თითოეული ოპერაციის გაკონტროლება, ხელმძღვანელისთვის მოხსენების მიზნით;
- შეხვედრების ოქმების ჩაწერა;
მიღებული მომსახურების ანგარიშ-ფაქტურების და თანმხლები დოკუმენტაციის შემოწმება და შენახვა;
- დოკუმენტაციის მომზადების და დაარქივების პასუხისმგებლობა;
საჭიროების შემთხვევაში, წერილობითი და ზეპირი თარგმანის შესრულება და გარე რესურსების მიერ გაწეული მთარგმნელობითი მომსახურების კოორდინირება;
- მგზავრობის და დაბინავების ორგანიზებაში დახმარება, სათანადო დეპარტამენტისათვის შესაბამისი მოთხოვნის გაგზავნის მეშვეობით;
ხელმძღვანელის / განყოფილების შეხვედრების და მიღებების დაგეგმვა;
- საჭიროებისამებრ სხვა მოვალეობების შესრულება.

**სამუშაო გამოცდილება და განათლება:**
კანდიდატს მოეთხოვება ცოდნისა და კვალიფიკაციის შემდეგი დონე:

ადმინისტრაციულ სფეროში მუშაობის 3-წლიანი გამოცდილება, ინგლისური ენის ფლობის და ზემოთ აღწერილი ფუნქციების შესრულების სათანადო უნარი;
- უმაღლესი განათლების დიპლომი, ენების გაძლიერებული კურსით;
ქართული ენის ფლობა მშობლიური ენის დონეზე, ინგლისურის და რუსულის - თავისუფლად;
- შემდეგი კომპიუტერული პროგრამების სრულყოფილად ფლობა: MS Word, Excel, PowerPoint, Exchange

**განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია**
თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ, მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების საბოლოო ვადაა 2005 წლის 28 ივნისი, სამშაბათი.
კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

**ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც იმას არ გულისხმობს, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.**

**კადრების განყოფილება**
"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია"
BP Georgia

# ლონდონი „დიდი რვიანის" ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებს მასპინძლობს

*დიდი რვიანის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები გუშინ ლონდონში შეიკრიბნენ. შეხვედრაზე მათ მოამზადეს დიდი რვიანის ქვეყნებისა და სახელმწიფოების მეთაურების მომავალ სამიტზე განსახილველი საკითხები, რომელიც 6-8 ივლისს შოტლანდიაში გაიმართება. ორ უმთავრეს საკითხად განიხილეს მშვიდობის დამყარების პროცესი ახლო აღმოსავლეთსა და ავღანეთში.*



*დიდი რვიანის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები გუშინ ლონდონში შეიკრიბნენ.*

ლონდონში დიდი რვიანის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა შედგა. სამიტზე განხილვის მთავარი თემა ახლო აღმოსავლეთსა და ავღანეთში მშვიდობის დამყარების პროცესი იყო. ამასთან დაკავშირებით, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლერმა შეხვედრაზე მიიწვია ავღანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი აბდულა აბდულა, მსოფლიო ბანკის ექსპრეზიდენტი ვულფერსონი, რომელიც ღაზას სექტორიდან ისრაელის გასვლის საკითხს კურირებს.

სამიტზე რუსმა დიპლომატმა სერგეი ლავროვმა განაცხადა, რომ ღაზას სექტორიდან ისრაელის გასვლის გეგმა უნდა შეესაბამებოდეს ოთხეულის (რუსეთის, აშშ-ს, ევროკავშირისა და გაეროს) მიერ შემუშავებულ პროექტს, რომელიც "საგზაო რუკის" სახელით არის ცნობილი. "**პირველ რიგში უნდა მოგვარდეს ადგილობრივი კონფლიქტები ახლო აღმოსავლეთში, ავღანეთში, ერაყში, საუდის არაბეთში, ბალკანეთსა და კოსოვოში,**" - აღნიშნა სერგეი ლავროვმა.

ბუნებრივია, შეკრებაში მონაწილეობას იღებდა აშშ-ს სახელმწიფო მდივანი. კონდოლიზა რაისმა "დიდი რვიანის" ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებს გააცნო ისრაელში, პალესტინაში, იორდანიაში, ეგვიპტესა და საუდის არაბეთში თავისი მოგზაურობის შედეგები.

სამიტის მასპინძელმა, დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ირანში მიმდინარე მოვლენებზე ისაუბრა. ტონი ბლერი აფრიკის კონტინენტზე სიღარიბისა და დედამიწის გლობალური დათბობის პრობლემებს პრიორიტეტულად მიიჩნევს და თვლის, რომ ეს საკითხები აუცილებლად უნდა იქნეს მოგვარებული შოტლანდიის სამიტზე. აშშ კი ეჭვის თვალით უყურებს კლიმატური ცვლილებების თეორიას და აუცილებლობად არ მიაჩნია ამ საკითხის განხილვა 6-8 ივლისის სამიტზე.

რაც შეეხება აფრიკის კონტინენტს, ოფიციალურმა ვაშინგტონმა ცივად მიიღო ბრიტანეთის წინადადება. ტონი ბლერმა "დიდი რვიანის" წევრებს შესთავაზა, აფრიკის ღარიბესი ქვეყნების დახმარებისათვის გამოეყოთ თანხები. რუსეთი, რომელმაც უკვე გააუქმა აფრიკის ქვეყნების ვალები რაც 16 მლრდ დოლარს შეადგენს, მხარს უჭერს დიდი ბრიტანეთის პოლიტიკას. "**ჩვენმა ქვეყანამ მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია აფრიკის განვითარების გზაზე მდგარ ქვეყნებს, ახლა აშშ-მ და დიდმა ბრიტანეთმა უნდა გააუქმოს აფრიკელთა დავალიანება,**" - განაცხადა რუსმა დიპლომატმა.

დიდი რვიანის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა შეხვედრაზე ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლისა და მასობრივი განადგურების იარაღის წარმოების საკითხიც განიხილეს.

*24 საათი*

# მოლდოვა ოსტატურად იშორებს თავიდან პოროშენკო-იუშენკოს გეგმას

ვლადიმირ სოკორი
ჯეიმსთაუნის ფონდი

დნესტრისპირეთის კონფლიქტის მოგვარების უკრაინული გეგმა, რომელიც ფორმალურად ვიქტორ იუშენკოს სახელს ატარებს, როგორც ჩანს, მოლდოვას პარლამენტში დიდ მოწონებას ვერ იმსახურებს. უკრაინის პრეზიდენტის მიმართ დიდი პატივისცემის გამო, იმის გამოც, რომ ოფიციალურ კიშინიოვს კარგი ურთიერთობების დამყარება სურს მეზობელ უკრაინასთან, მოლდოვას პარლამენტმა დიდი თავშეკავებით გააკრიტიკა გარკვეული ხარვეზები დემოკრატიული და უსაფრთხოების საკითხებში და ორაზროვანი მითითებაც გააკეთა გეგმის პირობების შეცვლასთან დაკავშირებით.

სინამდვილეში, აღნიშნული გეგმა უკრაინის ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის პეტრო პოროშენკოსა და კუჩმასდროინდელი აპარატის მიერაა მომზადებული და შემდეგ საკითხებს ითვალისწინებს: 2005 წლის ოქტომბერ-დეკემბერში დანიშნული არჩევნების გზით მოსული დნესტრიპირეთის უზენაესი საბჭოს (ახალი, პრო-კიევური ორიენტაციის ლიდერების ხელმძღვანელობით, - როგორც კიევი იმედოვნებს) ლეგიტიმურად გამოცხადებას; მოლდოვასა და დნესტრისპირეთისთვის თანაბარი სტატუსის მინიჭებას, რომლებიც რუსეთის, უკრაინასა და ეუთო-სთან ერთად გააფორმებენ "ხელშეკრულებას კონფლიქტის მოგვარების შესახებ"; ასევე, იგივე ტრიო (რუსეთი, უკრაინა, ეუთო) იქნება მოლდოვას შიდა კონსტიტუციური მოწყობის "გარანტი", – მექანიზმი, რომელიც თამაშგარე მდომარეობაში ტოვებს დასავლეთსა და რუმინეთს. პოროშენკოს გეგმა ჯერ კიდევ 1997 წელს ევგენი პრიმაკოვის მიერ მომზადებულ მოსკოვის გეგმას ეფუძნება – ამ უკანასკნელში აღნიშნული რუსეთის პროტექტორატი მოლდოვაში, ახალ ვარიანტში რუსეთ-უკრაინის კონდონიუმითაა ჩანაცვლებული. გარდა ამისა, პოროშენკოს გეგმაში არაფერია ნათქვამი დნესტპრისპირეთიდან რუსეთის ჯარების გაყვანის შესახებ.

10 ივნისს მოლდოვას პარლამენტმა "იუშენკოს გეგმის" საპასუხოდ, სამი რეზოლუცია მიიღო. მოლდოვა უკრაინის პრეზიდენტის ინიციატივას მიესალმა და არაერთხელ დააფასა კიევის მისწრაფება, აქტიური როლი შეასრულოს კონფლიქტის მოგვარების საკითში, თუმცა, ამავე დროს, გეგმის შინაარსის უცვლელად დატოვებაზე "შემპარავი" პროტესტი გამოხატა. ეს სამი დოკუმენტი გეგმაში "გამორჩენილ" საკითხებს ეხება. მოლდოვას პარლამენტი მოითხოვს, ისინი, როგორც აუცილებელი პირობები, უკრაინის აღნიშნულ გეგმას დაერთოს. მათ შორისაა, დნესტრისპირეთის დემილიტარიზაცია და დემოკრატიზაცია. ასევე საზღვრისპირა რაიონებში კონტრაბანდით ვაჭრობისთვის წერტილის დასმა.

ამგვარად, პარლამენტი დემილიტარიზაციასთან დაკავშირებით შემდეგ "აუცილებელ პირობებს" აყენებს: 1. 2005 წლის დასასრულისთვის რუსეთმა თავისი ჯარები გაიყვანოს და არსენალი გაიტანოს ტერიტორიიდან. ეს არ ეხება "სამშვიდობო ნაწილებს". 2. 2006 წლის დასასრულისთვის რუსმა "სამშვიდობოებმაც" უნდა დატოვონ მოლდოვა. მათ საერთაშორისო, ეუთო-ს მიერ მანდატით მოქმედი სამხედრო და სამოქალაქო დამკვირვებლების მისია ჩაენაცვლება. 3. ამ მისიამ თვალყური უნდა ადევნოს ტერიტორიაზე დარჩენილ რუსეთის არსენალს, დნესტრიპირეთის სამხედრო ფორმირებების დემობილიზაციას. დემობილიზებული პერსონალისთვის ამოქმედდება სპეციალური დასაქმების პროგრამა, რომელიც (მოლდოვას მოთხოვნით) ნატო-ს "პარტნიორობა მშვიდობისათვის" პროგრამის ფინანსური და ტექნიკური დახმარების საშუალებით განხორციელდება. მაშინ, როცა კიშინიოვი დნესტრისპირეთში მყოფ რუსულ სამხედრო ნაწილებს (როგორც რუსეთის ოფიციალურ საჯარისო ფორმირებას, ასევე დნესტრისპირეთის სამხედრო ნაწილების შემადგენლობაში) რეგიონში სტაბილურობის საფრთხედ მოიხსენიებს, კიევი კვლავაც ხმაამოუღებლად ეგუება უკრაინის საზღვარზე რუსი სამხედროების ყოფნას.

მოლდოვის პარლამენტი დნესტრისპირეთში დემოკრატიული არჩევნების ჩასატარებლად შემდეგ წინაპირობებს ასახელებს: 1. პოლიტიკური პოლიციისა და "სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს" (მოსკოვის მიერ მართული გასამხედროებული ინსტიტუტი) დაშლას. 2. მოლდოვას პოლიტიკური პარტიების საქმიანობისა და მოლდოვური და საერთაშორისო პრესის თავისუფლების უზრუნველყოფას დნესტრისპირეთში. 3. საერთაშორისო დონეზე მხარდაჭერილი სამოქალაქო საზოგადოების განვითარების მრავალმხრივი პროგრამის ამოქმედებას. 4. არჩევნებში მხოლოდ მოლდოვას მოქალაქეობის მქონე პირების მონაწილეობას (დნესპრისპირეთის ძალაუფლებაში მყოფი პირების უმეტესობა რუსეთის, მათი მცირე ნაწილი კი – უკრაინის მოქალაქეა). "თუ ეს პირობები არ შესრულდება, მაშინ დნესტრისპირეთში მოლდოვას მოქალაქეების უფლებების დაცვა და იქ წარმომადგენლობითი ორგანოს შექმნა შეუძლებელი გახდება".

პარლამენტი კიევის გეგმაში კიდევ ორ პუნქტს არ უჭერს მხარს, პუნქტებს, რომლებიც "მოლდოვას სუვერენიტეტს შეუქმნიან საფრთხეს". ერთი საკითხი ეხება "შემრიგებელი კომიტეტის", როგორც კონსტიტუციური და სამართლებრივი მსაჯულის შექმნას კიშინიოვსა და ტირასპოლს შორის პოსტკონფლიქტურ პერიოდში. კომიტეტის წევრები რუსეთი, უკრაინა და ეუთო იქნებიან. ეს კი ხელახლა გაერთიანებულ მოლდოვას რუსეთ-უკრაინის გავლენის ქვეშ მოაქცევს, დასავლეთი კი ამ დროს თამაშგარე მდგომარეობაში რჩება. მეორე საკითხი, - პარლამენტი წინააღმდეგია "დნესტრისპირეთმა მონაწილეობა მიიღოს მოლდოვას საგარეო პოლიტიკის ისეთი საკითხების გადაწყვეტაში, რომლებიც დნესტრისპირეთის ინტერესებში შედის". პრიმაკოვის 1997 წლის გეგმის პოროშენკოს 2005 წლის გეგმით ჩანაცვლება, ტირასპოლს ვეტოს დადების უფლებას მისცემს ნებისმიერ საკითხზე, რომელსაც ტირასპოლი – ან მოსკოვი, იქნებ კიევიც - როგორც მსაჯული - ჩათვლის დნესტრისპირეთის ინტერესებში ჩარევად.

დაბოლოს, მოლდოვას პარლამენტი უკრაინას დნესტრისპირეთის სექტორში ორმხრივი კონტროლის დაწესებისკენ მოუწოდებს კონტრაბანდის შემოდინების ასალაგმავად. გამოდის, რომ დღესაც უკრაინის ხელისუფლების გავლენიანი პირები (როგორც ეს კუჩმას დროს ხდებოდა) დნესტრისპირელ კოლეგებს არალეგალური სავაჭრო ოპერაციების ნებას აძლევენ.

პრეზიდენტ ვლადიმირ ვორონინის მრჩეველთა გუნდი, პარლამენტის თავმჯდომარე მარიან ლუპუ და ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის ლიდერი იური როშკა ერთობლივად მუშაობენ ამ საკითხების გადაწყვეტაზე. ეს დოკუმენტები გამოხატავენ ნომინალურად კომუნისტური საპარლამენტო უმრავლესობისა და პროდასავლური სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფების პოლიტიკურ კონსენსუსს. ოფიციალური კიშინიოვი მოხერხებულად არიდებს თავს კიევთან პოლემიკის გამართვას, არც "იუშენკოს" გეგმის განხორციელებაზე აცხადებს პირდაპირ უარს. ამის ნაცვლად, ამჯობინებს თქვას: "დიახ, მაგრამ...", სადაც, "მაგრამ" - ნათქვამი დასტურის აშკარა გაბათილებაა.

კიშინიოვს კვლავაც იმედი აქვს, რომ დნესტრისპირეთში კონტრაბანდასთან ბრძოლაში იუშენკოსა და უკრაინის პარლამენტისგან მხარდაჭერას მიიღებს.

# ტერორი კავკასიაში: ჩეჩნიანები და არაჩეჩნიანები

**გთავაზობთ "24საათი"-ს პარტნიორი გაზეთის Чеченское общество-ს სარედაქციო კომენტარს**

ტიმურ ალიევი

ბესლანელი ტერორისტის ნურპაშა კულიევის სასამართლო პროცესმა ვლადიკავკაზში საზოგადოება ორად გაყო – ერთი ნაწილი მის სიკვდილით დასჯას მოითხოვდა, მეორე კი - წინააღმდეგი იყო. პერსპექტივაში, რუსეთში სიკვდილით დასჯაზე გამოცხადებული მორატორიუმის საერთო გაუქმებაც კი იყო მოსალოდნელი. შეგახსენებთ, რუსეთმა მორატორიუმი ევროსაბჭოში შესასვლელად მიიღო, თუმცა დღემდე არ მოუხდენია ამ დოკუმენტის რატიფიცირება.

ისინი, ვინც სიკვდილით დასჯას ემხრობიან, გაცილებით მეტნი არიან. "ლევადა"-ს ცენტრის მონაცემებით, მათი რაოდენობა რუსეთის მოსახლეობის 84 პროცენტს შეადგენს. ისინი ამბობენ: "ევროსაბჭო ეშმაკსაც წაუღია – მთავარია, ტერორისტი დაიხვრიტოს."

ასეთი ერთსულოვნების მიზეზი არ შეიძლება მხოლოდ უკვე ყბადაღებული ტერორიზმთან ბრძოლა იყოს. რუსული საზოგადოება კვლავაც "ეროვნებათაშორისად" განიხილავს კონფლიქტს ჩეჩნეთში, ისევე, როგორც - მის გარშემო მიმდინარე მოვლენებს. ამ თვალსაზრისით, კულაევი, უდავოდ, "სხვაა" – მტერია, რომელსაც საომარი მდგომარეობის კანონებით უნდა მოექცე. თუმცა, ამავდროულად, ასეთივე მიდგომით, მტრებად ჩაითვლებიან ჩეჩნეთის ის მშვიდობიანი მოქალაქენი, რომლებიც 2002 წელს, ხელმძღვანელობის ბრძანებით, სპეცრაზმელებმა ულმანის მეთაურობით დახვრიტეს. სხვათა შორის, ამაზე მეტყველებს გასულ თვეში როსტოვის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ მისთვის გამოტანილი გამამართლებელი განაჩენი. მიუხედავად იმისა, რომ სიტუაცია ორივე შემთხვევაში ბევრ ანალოგიას შეიცავს – იქაც და აქაც შეარაღებული ხალხი ზემდგომთა მითითებით ხოცავდა მშვიდობიან მცხოვრებლებს - მიდგომები სრულიად პოლარულია.

ასეთი დაყოფა კიდევ უფრო შესამჩნევია ჩრდილოეთ კავკასიაში, სადაც ხალხი ამ ყველაფერთან ერთად ცხოვრობს. ერთ მხარეს ტერაქტებისგან დაზარალებული ოსეთი და დაღესტანია, ხოლო მეორე მხარეს – ჩეჩნეთი და, ნაწილობრივ, ინგუშეთი. და თუ, მაგალითად, ოსებისთვის ტერორისტი კულაევია, ჩეჩნებისთვის ასეთად, პირველ ყოვლისა, სპეცრაზმელი ულმანი გვევლინება.

ამიტომ, კულაევის დასჯით და ულმანის გამართლებით რუსეთის სახელმწიფო, ფაქტობრივად, ხელს ჰკრავს ბევრ ჩეჩენს. ბევრი არ მოისურვებს ისეთ ქვეყანაში ცხოვრებას, რომელიც პატივს არ სცემს საკუთარ თავს. მეორე მხრივ, ამით სახელმწიფო იგივე ოსებს თანაუგრძნობს - საზოგადოების ისეთსავე წევრებს, როგორიც ჩეჩნები არიან.

ჯერჯერობით გაურკვეველია, წინააღმდეგობის დასაძლევად რა უნდა გაკეთდეს. ემოციურ მცხოვრებთაგან განსხვავებით, სახელმწიფო, თავისი არსით, რაციონალურია. თუმცა, რუსული რაციონალიზმი ძალიან არაერთგვაროვანია. მაგალითად, ზოგიერთი პოლიტიკოსი სიკვდილით დასჯის აღდგენას მომავალი ტერაქტებისგან თავის დაცვის პანაცეად მიიჩნევს. თუმცა, ყველასთვის ცნობილია, რომ ძალადობით ძალადობას ვერ შეაჩერებ. ელემენტარულია: როგორ უნდა შეაჩერო სიკვიდილის შიშით თვითმკვლელი-ტერორისტი?

ტერმინი "რაციონალობა", საერთოდ, მიუღებელია რუსული საზოგადოების მმართველი პროცესების გასაგებად. ჩვენი სახელმწიფო, ევროპისგან განსხვავებით, არა ფასეულობებით, არამედ ინტერესებით ცხოვრობს; და თუ რაიმე შინაგანი ინტერესი მოითხოვს სიკვდილით დასჯის აღდგენას, ასეთი რამ მოხდება კიდეც, რადგან ევროპელებისთვის საბაზისო "სიცოცხლის უფლება" რუსეთისთვის საკმაოდ არჩევითია. მაგრამ, ასეთ საზოგადოებას ჰუმანურს უკვე ვეღარ უწოდებ. ადამიანის უფლებები - მხოლოდ გამორჩეულთათვის, უკვე აღარ არის ადამიანის უფლებები.

# ევროპა გადაწყვეტილების მიღების პროცესში

პირველი გვერდიდან

ტონი ბლერი თვლის, რომ "ევროპის სოციალური მოდელი" უნდა შეიცვალოს, რადგან მან ვერ გაამართლა. ევროკავშირის "მოდერნიზაციისთვის" ეკონომიკური რეფორმის გატარებაა საჭირო, რათა გაერთიანებამ თავისი ადგილი დაიკაოს საყოველთაო გლობალიზაციის პროცესში და ქმედუნარიანობა შეინარჩუნოს. "**ევროკავშირი მარტო საერთო ბაზარი არ არის,**" – აღნიშნა ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა. თავისი განცხადებით მან გააკრიტიკა ევროპული საბჭოს მოქმედი თავმჯდომარის ჟან კლოდ იუნკერის პოლიტიკა.

ტონი ბლერმა უარყო, რომ ბრიუსელის სამიტზე ევროკავშირის ბიუჯეტის ჩავარდნის მთავარი მიზეზი დიდი ბრიტანეთი იყო. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ იგი "ბრიტანეთის პირველი ხელისუფალია", რომელიც თანახმაა, საერთო ბიუჯეტის შენატანების შეღავათი დიდი ბრიტანეთისთვის (იგი თანხობრივად 4,6 მლრდ ევროს აღწევს და 1984 წელს არის შემოღებული) ხელახლა იქნეს განხილული. ბრიტანელმა პრემიერ-მინისტრმა ევროკავშირის საბჭოს მოქმედი თავმჯდომარის ჟან კლოდ იუნკერის მიერ წაყენებული ბრალდებაც უარყო. "**ბრიუსელის სამიტზე სოფლის მეურნეობის პოლიტიკის შეცვლა არ მოითხოვია**, - ხაზი გაუსვა ტონი ბლერმა, - **უბრალოდ აღვნიშნე, რომ ევროკავშირის ახალი ბიუჯეტიდან არ შეიძლება, სოფლის მეურნეობისთვის გამოყოფილ იქნეს 40 პროცენტი, რაც 10 წლის წინ იყო შემოღებული.**"

რაც შეეხება ევროკავშირის გაფართოებას, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა მოუწოდა ევროპელებს, ამ საკითხს "მუქარად" ნუ აღიქვამენ. "**ევროკავშირი ბოლომდე შეასრულებს თავის ვალდებულებებს, რაც თურქეთის ევროკავშირში ინტეგრირების მოლაპარაკებების დაწყების თაობაზე აიღო,**" - განმარტა ტონი ბლერმა.

"**მიუხედავად იმისა, რომ მრავალ საკითხში აზრთა სხვადასხვაობა არსებობს ევროკავშირის წევრი-ქვეყნების მოსახლეობას შორის, თითოეული მათგანი ეთანხმება იმ აზრს, რომ დღეს ევროკავშირი თავისი მომავლის გარკვევას ცდილობს,**" - განაცხადა ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა. მისი აზრით, გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს. მთავარია, სწორი გზა მოიძებნოს კრიზისის დასაძლევად. "**დროა, შევწყვიტოთ იმ ადამიანების ევროკავშირის მოღალატეებად მიჩნევა, რომელნიც გაერთიანების პოლიტიკის შეცვლას უჭერენ მხარს**, - აღნიშნა ტონი ბლერმა, - **რადგან დღეს ევროპას მხოლოდ ცვლილებები გადაარჩენს.**"


# განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო, მის: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №16, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს ღია ტენდერს დევნილთა ორგანიზებულად ჩასახლების ადგილებში შენობა-ნაგებობების სამშენებლო სარემონტო სამუშაოების შესყიდვის მიზნით.

2. შესყიდვა განხორციელდება სამ ლოტად საქართველოს სხვადასხვა რეგიონში:

I ლოტი - სამეგრელოს რეგიონში მდებარე ობიექტები;

II ლოტი - საქართველოს სხვა რეგიონებში მდებარე ობიექტები;

III ლოტი - თბილისში მდებარე ობიექტები.

დეტალური ინფორმაცია შესასრული სამუშაოების შესახებ მითითებული იქნება სატენდერო დოკუმენტაციაში.

3. ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ სათანადო ლიცენზიის მქონე ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

4. ზემოაღნიშნული სამუშაოები უნდა განხორციელდეს სატენდერო კომისიის მიერ შერჩეულ ობიექტებზე ლოტებით განსაზღვრულ რეგიონებში.

5. სამუშაოების შესრულების მაქსიმალური ვადაა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 2005 წლის 31 დეკემბრამდე.

6. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 11 ივლისიდან 14 ივლისის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო, მის: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №16, მე-3 სართული.

7. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

7.1. იურიდიული პირებისათვის:

ა) ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება ტენდერში მონაწილე პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია, მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;

ბ) ... მონაწილე პირის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ ტენდერში მონაწილე პირის ხელმძღვანელი ან ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

7.2. ფიზიკური პირებისათვის:

ა) ცნობა სასამართლოდან, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედუნარიანობა;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

გ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ იგი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

7.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:

ა) ცნობა საგადასახადო ორგანოდან, რომ ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ გააჩნიათ;

ბ) სახელმწიფო ლიცენზია სამშენებლო სამუშაოების განხორციელების თაობაზე;

გ) ინფორმაცია ბოლო 5 წლის მანძილზე ანალოგიური სამუშაოების შესრულების შესახებ, რომლის საერთო მოცულობაც არ უნდა იყოს 2 000 000 (ორი მილიონი) ლარზე ნაკლები;

დ) ინფორმაცია მონაწილის ბალანსზე რიცხული მანქანა-დანადგარებისა და ტექნიკის შესახებ.

8. ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასების კრიტერიუმს წარმოადგენს მათი შესაბამისობა მოთხოვნილ დოკუმენტაციებთან. ტენდერში მონაწილე ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი მი- ... მაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

9. საკვალიფიკაციო შერჩევის შედეგად დამტკიცებულ პრეტენდენტებს ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მითითებულ შესაბამის ანგარიშზე გადახდის შემდეგ შეეძლებათ 20 ივლისიდან 25 ივლისის 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო, მის: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №16.

10. მე-7 პუნქტში მითითებული საკვალიფიკაციო მონაცემები ეხება ასევე იმ შესაძლო სუბ-კონტრაქტორებს, რომლებიც მიმწოდებელთან ერთად ჩართულნი იქნებიან სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულების პროცესში.

11. სამუშაოების შესრულებაში მონაწილე საინჟინრო-ტექნიკური პერსონალისა და მუშა-მოსამსახურეების არანაკლებ 70% უნდა იყვნენ საქართველოს მოქალაქეები.

12. ტენდერის შედეგად შესაძლებელია ერთი ან რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა. დასაშვებია სატენდერო წინადადებების როგორც ცალკეულ, ასევე სამივე ლოტზე წარმოდგენა.

13. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება.

14. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ სატენდერო კომისიის აპარატში, მისამართზე: საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო, ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №16, მე-3 სართული, ოთახი 303. პასუხისმგებელი პირი ირმა სანიკიძე. ტელ: 384792; მობ: (893)243699.

**საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების**

## მოკლედ

### ახალი აეროპორტის მშენებლობა მომავალი კვირიდან დაიწყება

ახალი აეროპორტის მშენებლობა, რომელიც თბილისის საერთაშორისო აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსდება, მომავალი კვირიდან დაიწყება. როგორც თბილისის საერთაშორისო აეროპორტის გენერალურმა დირექტორმა ნიკოლოზ მანჯგალაძემ სააგენტო "ჯი-ეიჩ-ენ"-ს განუცხადა, მოსამზადებელი სამუშაოები უკვე დაწყებულია. ამჟამად მიმდინარეობს ტექნიკა-მოწყობილობებისა და მასალების შემოტანა,

სამშენებლო სამუშაოები კი აქტიურად მომავალი კვირიდან დაიწყება.

სამშენებლო სამუშაოებს ცნობილი თურქული კომპანია "ერენ პორტი" განახორციელებს, რომელიც კონსორციუმში შემავალმა კომპანია "ჯი-ტი-ეს"-მა დაიქირავა.

კონსორციუმში შემავალი კიდევ ერთი კომპანია "ჩელები" ახალი აეროპორტის ოპერირებას განახორციელებს, "ეი ენდ ჯეი" კი დააფინანსებს. ახალი აეროპორტის მშენებლობაზე 62 მილიონი დოლარი დაიხარჯება. ის ოპერატორ კომპანიას მართვაში 10,5 წლით გადაეცემა.

ახალი აეროპორტის მშენებლობა მომავალი წლის გაზაფხულზე დასრულდება. მანჯგალაძის განცხადებით, მისი პრეზენტაცია 2005 წლის 26 მაისისათვის იგეგმება. ახალი აეროვაგზალი პიკზე საათში 2000 ათასი მგზავრის გატარებას უზრუნველყოფს.

როგორც მანჯგალაძემ აღნიშნა, მოთხოვნის გაზრდის შემთხვევაში, არსებული პროექტის მიხედვით, შესაძლებელი იქნება აეროვაგზლის გაფართოება და დამატებითი გასასვლელების გაკეთება.

აღსანიშნავია ისიც, რომ ხელშეკრულების თანახმად, მშენებლობაზე დასაქმებულთა შორის 75 პროცენტი საქართველოს მოქალაქე იქნება. **ჯი-ეიჩ-ენი**

### საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის შეხვედრა შვეიცარიაში

საქართველოს ეროვნული ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ინფორმაციით, საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტი გიორგი ღლონტი მონაწილეობას მიიღებს საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის (BIS – Bank for International Settlements) ყოველწლიურ შეხვედრაში, რომელსაც მიმდინარე წლის 25-27 ივნისს ბაზელი (შვეიცარია) უმასპინძლებს. ამჯერად, საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის მორიგი შეხვედრა აღნიშნული ორგანიზაციის 75-ე წლისთავს ემთხვევა, რის გამოც, საქმიანი ნაწილის გარდა, გათვალისწინებულია BIS-ის დაარსების სადღესასწაულო თარიღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების გამართვა (გამოფენა, პრეზენტაცია).

25-27 ივნისის შეხვედრაში მონაწილეობას BIS-ის წევრი ქვეყნების ცენტრალური ბანკების მმართველები და სხვა მაღალი რანგის სტუმრები მიიღებენ. ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის გიორგი ღლონტის განცხადებით, შეხვედრის მონაწილენი მოისმენენ საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის წლიურ ანგარიშს. ამასთან, გამოცდილების ურთიერთშორის გაზიარებისა და თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, მათ ორმხრივი შეხვედრების გამართვის შესაძლებლობა ექნებათ.

საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკი (BIS) 1930 წელს დაფუძნდა. მისი სათავო ოფისი ბაზელში (შვეიცარია) მდებარეობს. ეს ინსტიტუტი ფინანსური და მონეტარული სტაბილურობის მისაღწევად ცენტრალურ ბანკებსა და სხვა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან თანამშრომლობს და მხოლოდ მათ ემსახურება. **24 საათი**

### ფინანსთა მინისტრმა აქციზური მარკების აღრიცხვა-რეალიზაციის წესი დაამტკიცა

საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ვალერი ჩეჩელაშვილმა აქციზური მარკების აღრიცხვის რეალიზაციისა და კონტროლის წესი დაამტკიცა.

"საგადასახადო კოდექსის" მესამე მუხლის საფუძველზე, მომზადდა "საქართველოში აქციზური მარკების აღრიცხვის, რეალიზაციისა და კონტროლის წესის შესახებ" დებულება, რომელიც აქციზური მარკების რეალიზაციის, მათი დაბრუნების წესებსა და აქციზური მარკების აღრიცხვა-კონტროლის მექანიზმს ითვალისწინებს.

დებულების მიხედვით, მეწარმე სუბიექტები, რომლებიც აქციზურ საქონელს აწარმოებენ, ან მის იმპორტს ახორციელებენ, ვალდებულნი არიან, აქციზის გადამხდელთა ინსპექციაში აქციზური მარკების გამოყენების შესახებ ანგარიში წარადგინონ. ანგარიშის წარდგენის ვადად საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვი განისაზღვრა.

დებულების მიხედვით, შესაძლებელია გამოუყენებელი აქციზური მარკების დაბრუნება, რის შემდეგ, მეწარმეებს მარკების მისაღებად გადახდილი თანხები ან უკან დაუბრუნდებათ, ან სხვა გადასახადებში გაექვითებათ. დაზიანებული მარკები უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება. **ინტერპრესნიუსი**

### ნინო ბურჯანაძეს ჩინეთიდან 20 მლნ იუანი მოაქვს

ჩინეთის ხელისუფლება საქართველოს 20 მილიონ იუანს საჩუქრად გამოუყოფს. აღნიშნული გადაწყვეტილება ჩინეთის ხელისუფლებამ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის ოფიციალური ვიზიტის მიმდინარეობისას მიიღო.

ჩინეთის ხელისუფლების მიერ 20 მლნ. იუანის გამოყოფის თაობაზე განცხადება ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა ყრილობის მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარემ უ ბანგომ და სახელმწიფო საბჭოს წევრმა ტან ციზუანმა პარლამენტის თავმჯდომარესთან შეხვედრის შემდეგ გააკეთეს.

ვიზიტის მსვლელობისას ხელი მოეწერა ხელშეკრულებას ორმაგი დაბეგვრის შესახებ, რაც ორ ქვეყანას შორის ვაჭრობის განვითარებას შეუწყობს ხელს.

ბურჯანაძემ ჩინურ მხარეს საქართველოში ინვესტიციების ჩადება შესთავაზა. პარლამენტის თავმჯდომარე საპარლამენტო დელეგაციასთან ერთად თბილისში დღეს დაბრუნდება. **ინტერპრესნიუსი**

### "თბილგაზმა" ზამთრის სეზონისთვის მზადება დაიწყო

კომპანია "თბილგაზმა" ზამთრის სეზონისთვის მზადება დაიწყო. დღეიდან დედაქალაქის ყველა უბანში პროფილაქტიკური სამუშაოები ჩატარდება.

როგორც "ინტერპრესნიუსს" კომპანია "თბილგაზში" განუცხადეს, პროფილაქტიკური სამუშაოები თბილისის ყველა უბანში ერთდროულად განხორციელდება.

"თუ კორპუსის გაზმომარაგებაში ტექნიკური პრობლემები არ არსებობს, ბუნებრივი აირის მიწოდება იმავე დღეს განახლდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, მომხმარებელი ბუნებრივ აირს სამ დღეში მიიღებს," - განმარტავენ "თბილგაზში".

კომპანიაში აცხადებენ, რომ პროფილაქტიკური სამუშაოების დასრულების შემდეგ გაზმომარაგება მხოლოდ იმ კორპუსებში აღდგება, რომლის მცხოვრებლებსაც გასული ზამთრის სეზონზე მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასურის დავალიანება არ გააჩნიათ.

"თბილგაზი" მომხმარებელს სთავაზობს, დავალიანების რესტრუქტურიზაციის მიზნით, კომპანიის რაიონულ ბიზნეს-ცენტრებს მიაკითხონ. **ინტერპრესნიუსი**

### ბათუმის ცენტრალური უნივერმაღი სავაჭრო-გასართობ ცენტრად გადაკეთდება

როგორც აჭარის ავტონომიის მთავრობის აპარატიდან გვაცნობეს, ამის შესახებ უნივერმაღის ახალმა მფლობელმა ანზორ ქოქოლაძემ მთავრობის მეთაურთან ლევან ვარშალომიძესთან შეხვედრაზე განაცხადა.

მფლობელმა ობიექტი აუქციონზე 1 130 000 ლარად შეიძინა. ქოქოლაძის თქმით, სავაჭრო-გასართობ ცენტრში საფირმო მაღაზიები და კვების ობიექტები განთავსდება. **პრაიმ-ნიუსი**

### თბილისის ბირჟაზე ამერიკული ხორბლით ვაჭრობა დასრულდა

თბილისის ნავთობპროდუქტებისა და ხორბლის ბირჟაზე ამერიკული ხორბლით ვაჭრობა დასრულდა. როგორც კომპანია შპს "აგროსისტემების" საინფორმაციო განყოფილების უფროსმა ქეთევან კუბლაშვილმა სააგენტო "ჯი-ეიჩ-ენ"-ს განუცხადა, ბირჟაზე რეალიზებული 1 ტონა ხორბლის საშუალო ფასმა, დღგ-ს გარეშე, 170 დოლარი შეადგინა.

აღნიშნული ხორბალი ამერიკის შეერთებული შტატების ჰუმანიტარული დახმარება იყო, რომელიც "სურსათი პროგრესისათვის" პროგრამის ფარგლებში გამოიყო. შესაბამისად, ხორბალი დღგ-თი არ დაბეგრილა.

50 ათასი ტონა ამერიკული ხორბალი საქართველოში 2004 წლის აგვისტოში შემოვიდა. ხორბლის ტრანსპორტირებას, შენახვასა და ბირჟაზე სარეალიზაციოდ გატანას კომპანია "აგროსისტემები" უზრუნველყოფდა.

აღსანიშნავია, რომ აშშ ხორბლით საქართველოს 1996 წლიდან ეხმარება. ეს რიგით მეცხრე დახმარება იყო. მათ შორის ორი დახმარება გრძელვადიან კრედიტს წარმოადგენდა, ხოლო დანარჩენი ჰუმანიტარულ ხასიათს ატარებდა.

ამერიკული ხორბლის ბოლო პარტია - 315 ტონა ბირჟაზე გასულ სამშაბათს გაიყიდა. მთლიანად რეალიზებული ხორბლიდან ამონაგებმა თანხამ 8

# ალექსიშვილმა ჟურნალისტებს ანგარიში ჩააბარა

## 2005 წელს პრივატიზაციიდან საქართველოს ბიუჯეტში 218 მილიონი ლარი შევიდა

თამარ ივანიძე

*პრემიერ-მინისტრის შეპირებისამებრ, გუშინ, ეკონომიკური განვითარების მინისტრმა ჟურნალისტებს განხორციელებული პრივატიზაციის შედეგების შესახებ ანგარიში ჩააბარა. მისი ინფორმაციით, 2005 წლის პირველი ხუთი თვის განმავლობაში პრივატიზაციიდან საქართველოს ბიუჯეტში 218 მილიონი ლარი შევიდა. ამ პერიოდში პრივატიზებულია 35 ობიექტი.*



ეკონომიკური განვითარების მინისტრის ალექსი ალექსიშვილის განცხადებით, საქართველოში პრივატიზაციის პროცესი წარმატებით მიმდინარეობს. 2004 წლის მანძილზე სხვადასხვა ობიექტის პრივატიზაციიდან ბიუჯეტში მხოლოდ 71 მლნ ლარი შემოვიდა, 2003 წელს - 23 მლნ ლარი, 2002 წელს - 8 მლნ ლარი, 2001 წელს - 5 მლნ ლარი და 2000 წელს - 12 მლნ ლარი.

ბოლო პერიოდში პრივატიზაცია აუქციონების გზით განხორციელდა, ძირითადად, წვრილი ობიექტების გაყიდვით და პირდაპირი გაყიდვის წესით კონკურსების ჩატარებით. აუქციონზე გაიყიდა 30 ობიექტი. თანხამ, რომელიც ბიუჯეტში შევიდა წვრილი ობიექტების პრივატიზაციიდან, 36-37 მლნ ლარი შეადგინა.

სამი ობიექტი კონკურსის საფუძველზე გაიყიდა და ორი, ყველაზე მსხვილი ობიექტი, პირდაპირი გაყიდვის გზით - "საქტელეკომი" (5 მლნ დოლარი) და "ქართული საოკეანო სანაოსნო კომპანია" (93 მლნ დოლარი).

მინისტრის თქმით, საქართველოს სხვადასხვა ობიექტების პრივატიზაცია გრძელდება. **"ამჟამად პრივატიზაციის პროცესშია ისეთი მსხვილი ობიექტები, როგორიცაა რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, რუსთავის ქიმიური ქარხანა სს "აზოტი", სს "მადნეული", ბათუმის ნავთობ-ბაზა და ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა. გარდა ამისა, წლის მეორე ნახევარში "ელექტროკავშირის" პრივატიზაცია იგეგმება,"** - განაცხადა ალექსიშვილმა.

გუშინვე ცნობილი გახდა, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრი ალექსი ალექსიშვილი არ გამორიცხავს, რომ ქვეყნის მთავრობამ, "ჭიათურმანგანუმის" პრივატიზებაზე უარის გამო, შესაძლოა, "ევრაზჰოლდინგის" წინააღმდეგ დამატებითი სანქციების გატარება მოითხოვოს.

**"მას შემდეგ, რაც დავადგენთ, გარიგების ჩაშლით რა ოდენობის ზარალი განიცადა საქართველომ, შესაძლებლობა მოგვეცემა, დეტალურად შევისწავლოთ აღნიშნული საკითხი,"** - აცხადებს მინისტრი და დასძენს, რომ "ევრაზჰოლდინგის" მიმართ საქართველოს შეიძლება ფინანსური პრეტენზიები გაუჩნდეს.

მინისტრის თქმით, ქართული მხარე ყველა პოტენციურ ინვესტორთან, რომლებმაც საწარმო "ჭიათურმანგანუმისა" და "ვარციხეჰესების კასკადის" პრივატიზებით დაინტერესება გამოთქვეს, კონსულტაციებსა და მოლაპარაკებებს გააგრძელებს. ეს კომპანიები არიან ავსტრიული Deca Metal-ი, ჩეხური "მორავია" და ქართული "ფეროშენადნობი".

# "ბაზელი"-ს წარმომადგენელი მთავრობასთან გარიგების ჩაშლას უარყოფს

## კრწანისის მიწების საფასურიდან მხოლოდ 2 მილიონია გადახდილი

*"ევრაზჰოლდინგის" მიერ "ჭიათურმანგანუმზე" უარის თქმის პარალელურად, საქართველოს სამთავრობო წრეებში გავრცელდა ინფორმაცია იმის თაობაზეც, რომ აღარც "კრწანისის" მიწებთან დაკავშირებით დადებულ გარიგებას უწერია შესრულება. მართალია, ოფიციალურად ამ ინფორმაციას არავინ ადასტურებს, თუმცა ფაქტია, რომ შპს "ბაზელი", რომელმაც კრწანისის სამთავრობო რეზიდენცია სახელმწიფოსგან გასული წლის ბოლოს შეისყიდა, ხელშეკრულებაში გათვალისწინებული თანხების დაფარვის გრაფიკს ვერ ასრულებს.*

ხელშეკრულების თანახმად, შპს "ბაზელს" კრწანისის რეზიდენციის საფასურად 15 მილიონი დოლარი 30 ოქტომბრამდე უნდა დაეფარა, თუმცა, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, თანხების გადახდის გრაფიკი ვერ სრულდება და, ჯერჯერობით, მხოლოდ 2 მილიონი დოლარია გადახდილი.

თუმცა, თავად "ბაზელის" აღმასრულებელი მენეჯერი ირწმუნება, რომ ეს "დროებითი შეფერხებაა". ყოველ შემთხვევაში, სააგენტო "ჯი-ეიჩ-ენ"-ისთვის გაკეთებულ კომენტარში შალვა ქოჩლაძე აცხადებს, რომ თანხის გადაუხდელობის გამო კომპანიას პრობლემები არ შეექმნება და, შესაძლოა, დარჩენილი თანხა ერთიანად დაფაროს.

**"ფულის გადახდა ჩვენს ინტერესებშიც შედის, რათა სახელმწიფოს მხრიდან კრწანისის რეზიდენციის ქონებაზე დადებული ყადაღა მოიხსნას,"** - განაცხადა მან.

ქოჩლაძე უარყოფს ინფორმაციას, რომ ინვესტორები კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში თანხის დაბანდებით ჯერჯერობით არ დაინტერესებულან.

როგორც მან აღნიშნა, საქართველოში უკვე იმყოფებოდნენ ინვესტორების წარმომადგენლები შვეიცარიიდან, აშშ-დან, ისრაელიდან, ბალტიისპირეთიდან. განსაკუთრებული ინტერესი გამოხატა ებრაულმა კონსორციუმმა, რომელიც ამ პროექტში 12 მილიონი დოლარის ინვესტირებას გეგმავს.

მისივე განცხადებით, ამ ეტაპზე გენერალური გეგმის შედგენაზე მუშაობენ, რომელიც კრწანისის რეზიდენციის კუთვნილი 44 ათასი კვადრატული მეტრი ტერიტორიის პროექტირებას ითვალისწინებს.

გენერალური გეგმა, შპს "ბაზელის" დაკვეთით, აშშ-ში მზადდება და კომპანიას ის, სავარაუდოდ, 2 თვეში ექნება. პროექტი 44 ჰექტარ ტერიტორიაზე მინი-ქალაქის გაშენებას ითვალისწინებს, რომელსაც ქოჩლაძის განცხადებით, 7-8 წელი დასჭირდება. ამ პერიოდის განმავლობაში პროექტში ათეულობით მილიონი დოლარის ინვესტიცია ჩაიდება.

შპს "ბაზელი" დეველოპერული კომპანიაა და მისი საქმიანობა ინვესტორთა მოზიდვას გულისხმობს.

*24 საათი*

# საქართველოს ფინანსთა მინისტრი ბაქოში მოლაპარაკებებს მართავს

აზერბაიჯანის მიმართ არსებული საგარეო ვალის რესტრუქტურიზაციის საკითხის გასარკვევად ფინანსთა მინისტრი ვალერი ჩეჩელაშვილი ბაქოში იმყოფება. ფინანსთა მინისტრი დღეს შეხვედრებს აზერბაიჯანის ფინანსთა მინისტრთან და პრემიერ-მინისტრთან მართავს.

ჩეჩელაშვილი შეეცდება, აზერბაიჯანის მიმართ არსებული ვალის რესტრუქტურიზაციის საკითხი გადაწყვიტოს. მხარეებმა ვალის რესტრუქტურიზაციის შესახებ მოლაპარაკება რამდენიმე თვის წინ დაიწყეს. საქართველოს ვალი აზერბაიჯანის მიმართ 16 მილიონი დოლარია. პარალელურად კი, საქართველოს პარლამენტის რიგგარეშე სხდომამ "აზერბაიჯანის მიმართ საქართველოს ვალის რესტრუქტურირების შეთანხმება" განიხილა.

როგორც გუშინ სხდომაზე ფინანსთა მინისტრის მოადგილემ გიორგი გოდაბრელიძემ განაცხადა, შეთანხმებას რატიფიკაცია პარლამენტმა უნდა გაუკეთოს.

**"შეთანხმების პირობები სრულად შეესაბამება 2001 წლის 6 მარტს პარიზის კლუბში საგარეო ვალის რესტრუქტურიზების შესახებ მიღწეული შეთანხმების პირობებს. კერძოდ, 2021 წლამდე გადავადებას დაექვემდებარა აზერბაიჯანის მიმართ საქართველოს ვალის 2001-2002 წლებში გადასახდელი ძირითადი თანხა 3,24 მილიონი დოლარის ოდენობით. საპროცენტო განაკვეთი ვალის მთელ თანხაზე წლიური 4-დან 3-პროცენტამდე შემცირდა,"** - განაცხადა გოდაბრელიძემ.

პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი შეთანხმების რატიფიკაციას მხარს უჭერს. შეთანხმება ხელმოწერილია ბაქოში, 2003 წლის 7 ოქტომბერს.

*24 საათი*

# ფინანსთა სამინისტრომ ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარს ვალი გადაუვადა

*ფინანსთა სამინისტრო მზადაა, ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარს (სესბ) წინა წლებში დაგროვილი საგადასახადო დავალიანების გასტუმრება 15 წლით გადაუვადოს. ფინანსთა სამინისტროში მიაჩნიათ, რომ დავალიანების რესტრუქტურიზაცია ენერგოსექტორის განვითარებას შეუწყობს ხელს და დარგში სტაბილურ ფინანსურ გარემოს შექმნის.*

დიანა ჩაჩუა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შექმნილმა, ვადაგადაცილებული და სასესხო დავალიანებების რესტრუქტურიზაციის მიზანშეწონილობის საკითხების შემსწავლელმა კომისიამ საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის ძველი, ბიუჯეტისადმი არსებული 33 მილიონლარიანი დავალიანების 15 წლით რესტრუქტურიზაციის გადაწყვეტილება მიიღო. კერძოდ, არსებული დავალიანების 5 წლით გაყინვა და 10 წლით გადავადება მოხდა.

კომისიის სხდომაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ვალერი ჩეჩელაშვილმა აღნიშნა, რომ სესბ-ისთვის დღგ-ს დავალიანების რესტრუქტურიზება ელექტრობაზრის მიერ მიმდინარე საბიუჯეტო დავალიანების პირნათლად და დროულად გადახდამ განაპირობა. მისივე განცხადებით, სესბ-ის ძველი საგადასახადო დავალიანების რესტრუქტურიზება მთლიანად ენერგოსექტორის განვითარებასა და დარგისათვის სტაბილური ფინანსური გარემოს შექმნას შეუწყობს ხელს.

კომისიის გადაწყვეტილება წინადადების სახით საქართველოს მთავრობას გადაეგზავნა, რომელმაც სესბ-ის ძველი საგადასახადო დავალიანების რესტრუქტურიზაციის შესახებ საბოლოო განკარგულება უნდა გამოსცეს.

ვადაგადაცილებული დღგ-ს დავალიანების გამო ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტმა სესბ-ის ანგარიში ერთი თვის წინ დააყადაღა. როგორც გუშინ სესბ-ში აცხადებდნენ, ამის გამო, ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის ფინანსური მდგომარეობა დამძიმდა და კომპანია ელექტროენერგიის გენერაციის ობიექტებისადმი ბაზრისთვის მიწოდებული ელექტროენერგიის საფასურის სრულად გადახდას ვეღარ ახერხებდა.

# რეგიონებში კვლავ ბნელა

*სტიქიით დაზარალებულ რეგიონებში ენერგოკრიზისია. წყალდიდობამ სერიოზულად დააზიანა ელექტროგადამცემი ხაზები, რის გამოც ელექტროენერგიით მომარაგება შეფერხებულია.*

დიანა ჩაჩუა

სტიქიით დაზარალებულ მცხეთა-მთიანეთში კვლავ რთული ვითარებაა. როგორც მხარის რწმუნებულის მოადგილემ შადიმან შამანაძემ განაცხადა, მძიმე მდგომარეობაა ფშავ-ხევსურეთში, სადაც მაღალი ძაბვის გადამცემი სამი ბოძია წაქცეული.

**"მათ აღსადგენად გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია თანხის ჩარიცხვას ელოდება. მართალია, მათი აღდგენა დაგეგმილი აქვთ, მაგრამ კონკრეტულ ვადებს ვერ ასახელებენ,"** - აცხადებს იგი.

შამანაძის თქმით, ყაზბეგის ელდენიმე სოფლის გამოკლებით, ელექტროენერგია აღუდგა დუშეთსაც. ამ რაიონის გარკვეული უბნები დავალიანების გამო უნდა გათიშულიყო, მაგრამ მხარის ადმინისტრაციამ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას ეს უბნები არ გამოართვევინა. თუმცა, დუშეთის რაიონის გამგებლის გოდერძი ბერბერაშვილის თქმით, რაიონის ზოგიერთი სოფელი, დავალიანების გამო, ორი კვირაა მაინც გამორთულია.

მცხეთა-მთიანეთის ელექტროენერგიით მომარაგების საკითხთან დაკავშირებით გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის მცხეთა-მთიანეთის ფილიალის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა გიორგი რევაზიშვილმა განაცხადა, რომ ელექბეგში კი აღდგენითი სამუშაოები უკვე დასრულებულია.

რაც შეეხება ფშავ-ხევსურეთში წაქცეულ სამ, 110-კილოვოლტიან გადამცემ ბოძს, რევაზიშვილის განმარტებით, მათ აღსადგენად სამუშაოები ეტაპობრივად მიმდინარეობს. **"ამ სამუშაოებს უგზოობა სერიოზულად აფერხებს. ამ ბოძებამდე მისასვლელი გზების აღდგენაში კომპანიას შესაბამისი სამსახურების დახმარება სჭირდება,"** – აღნიშნა რევაზიშვილმა.

დღეისათვის, სტიქიის შედეგად 1 500 აბონენტი რჩება ელექტროენერგიის გარეშე.

ენერგოდეფიციტია სამეგრელოს რაიონშიც. ორი დღის წინ ზუგდიდსა და მთლიანად რაიონს ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყდა, რის გამოც მოსახლეობამ გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანიის შენობასთან საპროტესტო აქცია გადნენ, თუმცა კომპანიის ხელმძღვანელი გოჩა ქობალია შენობიდან გაიპარა. აქციის მონაწილეთა თქმით, ენერგოკომპანიას მოსახლეობის ისევ ე.წ. საერთო ელექტრომომარაგებაზე გადაყვანა სურს, რომელსაც ცალკე ფიდერი ემსახურება.

**"მთელი რაიონი გამრიცხველიანებულია, თითოეულ ტრანსფორმატორთან - საერთო, ხოლო ოჯახებში ინდივიდუალური მრიცხველი გვიდგას. ამ სისტემის მოსაწესრიგებლად თითქმის 200 ლარი დავხარჯეთ, ახლა კი უნდათ, ისევ ძველებურ სისტემაზე გადაგვიყვანონ,"** - აცხადებენ ადგილობრივი მაცხოვრებლები.

აქციის შემდეგ, ელექტროენერგია მხოლოდ ზუგდიდის ცენტრალურ ნაწილს მიაწოდეს. რაიონის სოფლებსა და ქალაქის შემოგარენში ამ დრომდე არ არის დენი, შეფერხებულია წყალმომარაგებაც, პარალირგია არ მიეწოდება რუსთავს, რის გამოც ყველა სასიცოცხლო ობიექტი პარალიზებული იყო. გუშინ, ქალაქის ხელმძღვანელობა და გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის ადგილობრივი ადმინისტრაცია ელექტროენერგიის შეწყვეტის მიზეზების შესახებ ინფორმაციას არ ფლობდა.

რუსთავში ელექტროენერგიის შეწყვეტა გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის გენერალური დირექტორის დინ უაითის ქალაქში ჩასვლას დაემთხვა. თანამდებობიდან უკვე გათავისუფლებულია სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის რუსთავის ფილიალის მთავარი დისპეტჩერი ნოდარ ძნელაშვილი და ქვემო ქართლის ფილიალის მთავარი დისპეტჩერი ზურაბ ფარიძე. დინ უაითის განმარტებით, რუსთავს ელექტროენერგია გუშინ მართლაც უნდა გათიშვოდა, თუ

# ვინ არის სასტიკ კრიმინალად გამოცხადებული „მარეკა"

*თბილისის საოლქო სასამართლომ განზრახ მკვლელობისა და სხვა მძიმე დანაშაულებებში ბრალდებული მარეკ დუდაევის საქმის განხილვა დაიწყო.*

ნოდარ, იგივე მარეკ დუდაევს ბრალი 16 ეპიზოდში ედება. მკვლელობების, ყაჩაღობისა და ადამიანის გატაცებისთვის ძებნილი მარეკ დუდაევი ქართველმა სამართალდამცველებმა შარშან, 11 მარტს მცხეთის რაიონის სოფელ ქვეშში ჩატარებული სპეცოპერაციისას, თერთმეტწლიანი ძებნის შემდეგ დააკავეს. ოპერაციის დროს დუდაევი მძიმედ დაიჭრა და მას გორის საავადმყოფოში რთული ოპერაცია ჩაუტარეს. დუდაევს ოპერაციის შედეგად ამოუღეს ერთი ფილტვი, ხოლო გულის არეში ტყვიის გულა აქვს გაჩერებული.

ნოდარ დუდაევი ცხინვალის სიფელ ზემო არცევის მკვიდრია. როგორც სამართალდამცველები აცხადებენ, მან დაჯგუფება თავდაპირველად სამაჩაბლოს ომის შემდეგ შექმნა და ქართული მოსახლეობის ძირითადად, ქართველი გვარდიელებისა და ომის სხვა მონაწილეების წინააღმდეგ "პარტიზანულ" თავდასხმებს აწყობდა და შურისძიების მიზნით, განსაკუთრებული სისასტიკით უსწორდებოდა მათ. ერთ-ერთი ბრალდებით, სწორედ მის მიერაა მოკლული გორელი გია თენაძე, რომელიც მარეკამ სოფლის სასაფლაოზე მისი მეგობრის საფლავზე, შურისძიების მოტივით, მოკლა. სამართალდამცველთა ინფორმაციით, ყველა მეომარი მან იგივე მეთოდით გამოასალმა სიცოცხლეს. მარეკასა და მის ჯგუფს ბრალდება შარშან გაზაფხულზე თამარაშენში მომხდარი მკვლელობა – მათ სიცოცხლეს გამოასალმეს სიმონ მინდიაშვილი და მისი სამი ვაჟიშვილი.



*დუდაევს ოპერაციის შედეგად ამოუღეს ერთი ფილტვი, ხოლო გულის არეში ტყვიის გულა აქვს გაჩერებული.*

სამართალდამცველთა ინფორმაციით, მოგვიანებით, მარეკას ჯგუფმა რეკეტიორობა დაიწყო. არსებული დაუზუსტებელი ინფორმაციით, ისინი დაბანაკებული იყვნენ ღრომის ხეობაში და აკონტროლებდნენ როკის გვირაბს და ერგნეთში მიმავალი ტვირთიდან სოლიდურ წილს იღებდნენ; აკონტროლებდნენ ერგნეთის ბაზრობასაც; იარაღისა და ნარკოტიკის კონტრაბანდით იყვნენ დაკავებული და ვაჭრობდნენ გატაცებული მანქანებით. წლების მანძილზე თბილისი-სენაკის ავტომაგისტრალიდან მანქანების გატაცებას სწორედ ეს ჯგუფი აწარმოებდა.

მარეკ დუდაევის მიმართ საქმე პირველად 1993 წელს აღიძრა, დაპატიმრების სანქციაც გაიცა და ძებნაც გამოცხადდა. იგი სამი წლის წინ ჩრდილოეთ ოსეთის სამართალდამცველებმა დააკავეს, მართალია, შეტყობინება ქართველ სამართალდამცველებს გამოუგზავნეს, მაგრამ ქართველი ძალოვანების მოთხოვნა, მისი გადმოცემის შესახებ არ დაკმაყოფილდა, მისი ექსტრადიცია არ მოახდინეს და გაათავისუფლეს.

მარეკ დუდაევი, რომლის ჯანმრთელობის მდგომარეობაც უმძიმესია, ამჟამად, მეშვიდე საპყრობილეში იმყოფება, სადაც მას რამდენჯერმე განუვითარდა კლინიკური სიკვდილი, თუმცა ციხის ადმინისტრაციამ იგი ციხის საავადმყოფოში მაინც არ გადაიყვანა. მხოლოდ ერთ-ერთი შეტევისას, მცირე ხნით გადაიყვანეს ციხის საავადმყოფოში, მაგრამ მალევე უკან, მეშვიდე საპყრობილეში ისე დააბრუნეს რომ მისი მკურნალი ექიმისთვისაც არაფერი უცნობებიათ. მარეკ დუდაევის წინააღმდეგ მეშვიდე საპყრობილეში განხორციელებული სისასტიკის შესახებ თავის დროზე საუბრობდნენ არასამთავრობო ორგანიზაციები და მართლმსაჯულების ყოფილი ომბუდსმენი, ჟურნალისტი ვახო კომახიძეც, რომელიც მარეკ დუდაევის შესახებ დოკუმენტურ ფილმს ამზადებს. ამ ფილმს მაყურებელი ტელეკომპანია "202"-ის ეთერში შაბათს იხილავს.

**"მას მართლაც სასტიკად მოეპყრნენ, იყო შემთხვევა, როცა ის საავადმყოფოდან საპყრობილეში ფაქტობრივად, მომაკვდავი დააბრუნეს, ისე, რომ არაფერი უკითხავთ მისი მკურნალი ექიმისთვის. რაშიც არ უნდა ედებოდეს ბრალი მარეკ დუდაევს, მანამდე, სანამ სასამართლო არ დაადასტურებს მის უდანაშაულობას, არავის აქვს უფლება ის დამნაშავედ გამოაცხადოს. არადა, საქართველოს ხელისუფლებამ ის უსასტიკეს კრიმინალად მონათლა და როცა ამის თაობაზე განცხადებას აკეთებს თავად პრეზიდენტი, შანსი იმისა, რომ სასამართლო სამართლიან გადაწყვეტილებას გამოიტანს, თითქმის არ არსებობს. ჩემ მიერ მოკვლეულ დოკუმენტურ მასალებში მარეკ დუდაევის ბიოგრაფიის იმ დეტალებს გაეცნობით, რომელიც ადასტურებს, რომ ის კრიმინალი არ არის,"** – ჩვენთან საუბრისას განაცხადა ვახო კომახიძემ.

გუშინ დაწყებულ პროცესზე პროკურორმა მალხაზ გურულმა განაცხადა, რომ დუდაევის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმე 16 ეპიზოდს მოიცავს. მისივე თქმით, დუდაევს ბრალი ედება სამი ადამიანის განზრახ მკვლელობაში, ყაჩაღობაში, იარაღის უკანონო ტარებაში და სხვა მძიმე დანაშაულებებში.

თავად მარეკ დუდაევი არც ერთ ბრალდებას არ აღიარებს და თავს უდანაშაულოდ მიიჩნევს.

*24 საათი*

## უზენაესი სასამართლოს ყველა გადაწყვეტილება უკანონობის მაგალითად ვერ გამოდგება

პირველი გვერდიდან

გაზეთი "24 საათი" დაინტერესდა აღნიშნული გადაწყვეტილებით და საჯარო ინფორმაციის შესახებ არსებული კანონმდებლობის წყალობით, მისი მოპოვებაც შეძლო.

როგორც გაირკვა, საქმის მოკლე ისტორია ასეთია - საირმის გორაზე მცხოვრებმა სამმა ადამიანმა: ნატროშვილმა, კვეტენაძემ და სამადბეგიშვილმა, ორი წლის წინ, ჯერ კიდევ შევარდნაძის მმართველობის პერიოდში, განცხადებით მიმართეს სასამართლოს და თავიანთი მეზობლებისთვის – კილაძისთვის და ჩაჩანიძისთვის სახლის მშენებლობის ნებართვის გაუქმება და აქედან გამომდინარე, თბილისის არქიტექტურული და პერსპექტიული განვითარების სამსახურების და თბილისის "არქმშენინსპექციის" მიერ გაცემული დოკუმენტების უკანონოდ ცნობა მოითხოვეს.

აღნიშნულმა დავამ ქართული მართლმსაჯულების ყველა ინსტაცია მოიარა და საბოლოოდ უზენაეს სასამართლომდეც მიაღწია, რომლის 2005 წლის 6 მაისის გადაწყვეტილებით, მომჩივნებს საჩჩელის დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვათ.

როგორც უმაღლესი მართლმსაჯულების წარმომადგენლებმა გაარკვიეს, სადავო ტერიტორიაზე საოლქო სასამართლომ გასულ წელსაც, ანუ პოსტრევოლუციურ პერიოდშიც დანიშნა ორი ექსპერტიზა – საინჟინრო ტექნოლოგიური და არქიტექტორულ-სამშენებლო. ორივე ექსპერტიზის დასკვნით, საირმის გორის დასახელებულ ნაკვეთზე ბინის მშენებლობა კანონის ყველა ნორმაში ჯდებოდა. მეტიც, მეორე ინსტანციის სასამართლო დავის დროსვე გახდა ცნობილი, რომ სადავო ტერიტორია საირმის გორის წითელ ზოლში არ მდებარეობდა, რაც მომჩივანთა მთავარი არგუმენტი იყო (სხვათა შორის, მომჩივანი მეზობლებიც აღნიშნულ ტერიტორიაზე ცხოვრობენ). მიუხედავად აღნიშნული დასკვნებისა, საოლქო სასამართლომ უკმაყოფილო მეზობლების სურვილი დააკმაყოფილა და ახალმოსახლეებს მშენებლობა აუკრძალა. უზენაესმა სასამართლომ კი მიიჩნია, რომ კილაძისთვის და ჩაჩანიძისთვის მშენებლობის აკრძალვა უკანონობა იქნებოდა და საბოლოო გადაწყვეტილებით მშენებლობა კანონიერად მიიჩნია. აღსანიშნავია ისიც, რომ სხვა უკანონო მშენებლობებისგან განსხვავებით, ამ ტერიტორიაზე დღევანდელი მერიის ხელმძღვანელობას პრეტენზია არ გააჩნია. ეს მაშინ, როცა მშენებლობის ნებართვაზე ხელი ჯერ კიდევ მერიის რევოლუციამდელ ჩინოვნიკებს აქვთ მოწერილი და დღეს იმ დროინდელი დოკუმენტების "რევიზია" მიმდინარეობს.

გამოდის, რომ პრეზიდენტი შეცდომაში შეიყვანეს და მან ახალდანიშნულ მოსამართლეებს სამაგალითო უკანონო გადაწყვეტილების სახით სასამართლოს სრულიად კანონიერი ვერდიქტი წარუდგინა.

## მოკლედ

### სამხედრო ნაწილში კიდევ ერთი ჯარისკაცი დაიღუპა

ორხევის სამხედრო ნაწილში 21 წლის ჯარისკაცი შოთა კევლიშვილი დაიღუპა. წინასწარი ინფორმაციით, იგი ცეცხლსასროლი იარაღით არის მოკლული.

როგორც კევლიშვილის მშობლები აცხადებენ, მათ შვილს ნაწილის ოფიცერთან, გვარად ჯიჯეიშვილთან გართულებული ურთიერთობა ჰქონდა. სამხედრო ნაწილში კი ამ ფაქტს არ ადასტურებენ. შეგახსენებთ, რომ ერთ თვეში ეს ფაქტი სამხედრო ნაწილში ჯარისკაცის დაღუპვის უკვე მესამე შემთხვევაა. **ჯი-ეიჩ-ენ**

### შეტაკება გორში

ოთხშაბათს გორში, გვიან ღამით მომხდარი შეიარაღებული დაპირისპირებისას სამი ადამიანი დაიჭრა. შეტაკება გორში ე.წ. კომბინატის დასახლებაში მოხდა. ინციდენტის დროს ერთ-ერთი პოლიციელი დავით მჭედლიძე დაიჭრა.

როგორც თვითმხილველები აცხადებენ - ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან ცეცხლი ახალგაზრდებმა გახსნეს. საცხოვრებელი კორპუსის წინ სროლა დაახლოებით 15-20 წუთის განმავლობაში მიმდინარეობდა.

ინციდენტთან დაკავშირებით, საპატრულო პოლიციელებს კომენტარი არ გაუკეთებიათ. გავრცელებული ინფორმაციით, დანაშაულში ეჭვმიტანილები არიან გორის მაცხოვრებლები, კრიმინალურ სამყაროში "შვიდთვიად" ცნობილი ზვიად ადუაშვილი და გოგიტა კასრაძე. ამჟამად, მათ დასაკავებლად მიმდინარეობს ოპერატიულ – სამძებრო ღონისძიებები. ინციდენტის გამოწვევის მიზეზები ამ დროისათვის უცნობია. მიმდინარეობს გამოძიება. **ინტერპრესნიუსი**

### ყაჩაღური დაჯგუფების ერთ-ერთი წევრი დააკავეს

კრიმინალური დეპარტამენტის სამძებრო სამმართველოს, გურიის სამხარეოშს მთავარი სამმართველოსა და მცხეთა-მთიანეთის საპატრულო პოლიციის სამმართველოს სახაზო განყოფილების თანამშრომლებმა "ნატახტრის" საგუშაგოსთან დააკავეს გურიისა და სხვადასხვა რეგიონში მოქმედი შეიარაღებული ორგანიზებული ყაჩაღური დაჯგუფების ერთ-ერთი წევრი, სამტრედიის რაიონის სოფელ ეწერში მცხოვრები, 24 წლის ავთანდილ ნიკურაძე, რომელიც იმყოფებოდა ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ და პირადი ჩხრეკისას აღმოაჩნდა 0,035 გრამი ჰეროინი. გატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად დადგინდა, რომ ნიკურაძე დაჯგუფების სხვა წევრებთან ერთად მონაწილეობდა გურიის რეგიონში მომხდარ ყაჩაღურ თავდასხმებში, კერძოდ: 26 მაისს ქობულეთი-სამტრედიის მაგისტრალზე, დაბა შეკვეთილის მონაკვეთზე თბილისში, გლდანის პირველი მიკრორაიონის მე-15 კორპუსში მცხოვრებ მურთაზ ჩალაძეზე განხორციელებულ თავდასხმაში; 27 მაისს ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჩოხათში ლეილა გურგენიძის ოჯახზე განხორციელებულ ყაჩაღურ თავმდასხმაში; 30 მაისს ოზურგეთის რაიონის სოფელ შრომაში მცხოვრებ ავთანდილ და ელგუჯა კუკასიანების ოჯახზე განხორციელებულ ყაჩაღურ თავდასხმაში.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, რომელსაც კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის სამძებრო სამმართველო.

ამჟამად სამართალდამცავები ჯგუფების სხვა წევრების დადგენა-დაკავებაზე მუშაობენ. **მედიანიუსი**

### გურჯაანში რაიონული გაზეთის რედაქტორს სცემეს

გურჯაანში ადგილობრივი რაიონული გაზეთის, "იმედის" მთავარი რედაქტორს გელა მთივლიშვილი სცემეს.

დაზარალებულის განცხადებით, უცნობი პირი თავს მაშინ დაესხა, როცა ის სამსახურიდან სახლში ბრუნდებოდა. თავდამსხმელმა მას თავში ბლაგვი საგნით რამდენიმე დარტყმა მიაყენა. დაზარალებულის თქმით, უცნობი მას ორი წუთის განმავლობაში სცემდა, რის შემდეგაც შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

დაშავებული დაუყოვნებლივ საავადმყოფოში გადაიყვანეს. მას დაჟეჟილობები და ჰემატომა აღენიშნება. მთივლიშვილი მომხდარს ბოლო დროს გაზეთში გამოქვეყნებულ მასალებს უკავშირებს, რომელთა კრიტიკის ობიექტი სამართალდამცველები არიან. მომხდარს გურჯაანის რაიონული პოლიციის საგამოძიებო ჯგუფი იძიებს. დაშავებული მკურნალობას სახლში განაგრძობს.

როგორც გურჯაანის რაიონის გამგებელი აკაკი სიხარულიძე აცხადებს, იმას, თუ რის გამო სცემეს მთივლიშვილს - როგორც მოქალაქეს თუ როგორც ჟურნალისტს - გამოძიება დაადგენს. თუმცა, რადგანაც მთივლიშვილი ჟურნალისტურ საქმიანობას ეწევა, საჭიროა, მთელმა ქართულმა ჟურნალისტურმა საზოგადოებამ სოლიდარობა გამოუცხადოს მას. ასევე, საჭიროა, ასეთ დროს ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციასაც გავუგზავნოთ მიმართვა.

"მოქალაქის უფლების შელახვა დასაგმობია", - ამბობს სიხარულიძე და რაიონში ჟურნალისტის ფიზიკური ანგარიშსწორების მსგავს შემთხვევას ვერ იხსენებს. **მედიანიუსი**

### გიორგი ღონღაძის მკვლელობაში ეჭვმიტანილი ისრაელში აღმოაჩინეს

უკრაინელი ჟურნალისტის გიორგი ღონღაძის მკვლელობის საქმეში მთავარი ეჭვმიტანილი, მილიციის გენერალი ალექსეი პუკაჩი ისრაელში ადგილობრივმა სპეცსამსახურებმა აღმოაჩინეს.

როგორც კიევის გაზეთი Сегодня იუწყება, ჯერჯერობით პუკაჩი არ დაუკავებიათ, მას მხოლოდ უთვალთვალებენ.

პუკაჩის ისრაელში ყოფნის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე უკრაინის უშიშროების სამსახურის რამდენიმე თანამშრომელი ამ ქვეყანაში გაემგზავრა. მოგვიანებით იქ შსს-ს თანამშრომელთა ჯგუფიც წავიდა.

იმ შემთხვევაში, თუ საჭირო გახდება პუკაჩის ექსტრადიცია, უკრაინის კანონმდებლობით, ეჭვმიტანილის გადმოცემის მოთხოვნა მხოლოდ გენპროკურატურას შეუძლია. თუმცა არც შინაგან საქმეთა და არც უშიშროების სამინისტროების წარმომადგენლებს გენერალური პროკურატურისთვის ისრაელში თავიანთი გამგზავრების შესახებ არ უცნობებიათ.

როგორც გაზეთი იუწყება, ექსტრადიციის პროცედურა საკმაოდ რთულია, განსაკუთრებით მაშინ, თუ პუკაჩმა ისრაელის მოქალაქეობა მიიღო.

პუკაჩი უკრაინის გენპროკურატურამ 20003 წლის 22 ოქტომბერს ერთხელ


**United Nations Development Programme**
**UNDP Georgia**

**22 June 2005**

**გაერო-ს განვითარების პროგრამის მმართველობის/ საინფორმაციო -საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების პროექტების ფარგლებში ცხადდება ვაკანსია** დისტაციურად მომუშავე **თარჯიმნის** თანამდებობაზე. კონტრაქტი დაიდება ერთთვიანი გამოსაცდელი ვადით, შემდგომი გაგრძელების შესაძლებლობით.

თარჯიმანი იმუშავებს გაერო-ს განვითარების პროგრამის ეროვნულ კონსულტანტთა ჯგუფთან და თარგმნის პროექტებთან დაკავშირებულ ლიტერატურას ქართულიდან ინგლისურად და პირიქით. იგი იმუშავებს დისტანციურად და თარგმნილ მასალას ჩააბარებს ელექტრონული სახით წინასწარ განსაზღვრული ვადების ზუსტი დაცვით. თარჯიმანს აგრეთვე დაევალება შეხვედრების ზეპირი თარგმანი. იგი ვალდებულია დროულად გამოცხადდეს შეხვედრებზე წინასწარი შეტყობინების საფუძველზე.

შერჩეული კანდიდატები გაივლიან წერით ტესტს და გასაუბრებას გაერო-ს განვითარების პროგრამის მიერ შექმნილ კომისიასთან.

კვალიფიკაცია და მოთხოვნილებები:

შესაბამის სფეროში მუშაობის გამოცდილება;
- ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი - უნივერსიტეტის დამთავრების დიპლომი;
მოკლე ვადებში მუშაობის უნარი;
- მსგავს სფეროებში მიღწეული წარმატებები;
ზეპირი და წერითი ქართულისა და ინგლისურის საფუძვლიანი ცოდნა;
- კომპიუტერული განათლება და პრაქტიკული გამოცდილება (**MS Windows/Office**)

პროფესიული გამოცდილება:

თარჯიმნად მუშაობის გამოცდილება;
- მხედველობაში მიიღება საერთაშორისო დონორ ორგანიზაცებში მუშაობის გამოცდილება;

პიროვნული თვისებები:

დამოუკიდებლად მუშაობის უნარი და სურვილი;
- თვითდისციპლინა;
პიროვნული ურთიერთობების დამყარების უნარი;
- პასუხისმგებლობის მაღალი დონე, პუნქტუალობა და სიზუსტე.

განცხადებების ჩაბარება:

- დაინტერესებულ პირებს ვთხოვთ, დალუქულ კონვერტში წარმოადგინონ დეტალური ავტობიოგრაფია (CV), 1 ფოტოსურათი და დიპლომის ასლი შემდეგ მისამართზე:

გაერო-ს განვითარების პროგრამა, გაერო-ს სახლი, ერისთავის ქ. 9, თბილისი, 0179. გთხოვთ, კონვერტზე მიუთითოთ გამოცხადებული ვაკანსიის დასახელება. განცხადებების მიღების ბოლო ვადაა 2005 წლის 29 ივლისი 17.00 სთ.

- ტელეფონით ინფორმაცია არ გაიცემა. დავუკავშირდებით მხოლოდ წარმატებულ კანდიდატებს.


## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

________________________________________

________________________________________

________________________________________

**ა ნ კ ე ტ ა**

**სახელი, გვარი**..........

**ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი**..........

**საკონტაქტო ტელეფონი**..........

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დაწერს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპის" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

[illegible]

1. [illegible]
2. [illegible]
3. [illegible]
4. [illegible]
5. [illegible]
6. [illegible]
7. [illegible]
8. [illegible]
9. [illegible]
10. [illegible] "24 საათის" [illegible]
11. [illegible] 77 [illegible]

"24 საათის" [illegible]

# ხელისუფლება პირობას ასრულებს

## ლიცენზირებისა და ნებართვების სახეები ახალი კანონის თანახმად

*საქართველოს ხელისუფლება პირობას ასრულებს. დღეს პარლამენტი დაამტკიცებს "ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ" კანონს, რომელიც ამ დღეებში საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნდება და, შესაბამისად, კანონის ძალას შეიძენს. შეპირებისამებრ - კანონი ბიზნესის დასაწყებად აუცილებელი ნებართვებისა და ლიცენზიების რაოდენობის არსებული 909-დან 156-მდე შემცირებას ითვალისწინებს.*

*"24 საათი" უკვე წერდა იმის თაობაზე, რომ ჯერ კიდევ დარჩა ამ მიმართულებით დასარეგულირებელი გარკვეული იურიდიული დეტალები - მაგალითად, შესატანია ცვლილება ეროვნული ბანკის შესახებ ორგანულ კანონში, რადგან ამ ცვლილების გარეშე სავალუტო ჯიხურების ლიცენზირების გაუქმება ძალაში ვერ შევა.*

*ამას გარდა, "ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ" კანონპროექტი თანმდევი საკანონმდებლო ცვლილებებით პარლამენტმა მესამე მოსმენით "ვაზისა და ღვინის შესახებ" კანონპროექტის გარეშე განიხილა.*

*როგორც პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა განაცხადა, მთავრობა ღვინის ხარისხის კონტროლის ოპტიმალურ მექანიზმს ორ კვირაში შეიმუშავებს. მაჭავარიანის განმარტებით, ლიცენზირების გამარტივებიდან გამომდინარე, ბიზნესის წარმომადგენლებმა, ფალსიფიცირებისგან დაცვის მიზნით, ღვინის ხარისხზე კონტროლის გაძლიერება საჭიროდ მიიჩნიეს.*

*ლიცენზირების გამარტივების შესახებ კანონში ცვლილებების პაკეტი, რომელსაც პარლამენტი მიმდინარე კვირის ბოლოს რიგგარეშე სესიაზე განიხილავს, საზედამხედველო ორგანო "სამტრესტს" უფლებამოსილებას უზღუდავს. "სამტრესტის" წარმომადგენელმა არჩილ ლებანიძემ პრაიმ-ნიუსთან საუბარში განმარტა, რომ "სამტრესტი" ადგილწარმოშობის ღვინოების შესაბამისობის სერტიფიკატს და ლიცენზიებს მხოლოდ წარმოების საშუალებებზე გასცემს, ღვინის კონტროლი კი "საქსტანდარტის" აკრედიტებულ ლაბორატორიებში ხორციელდება.*

*მისი ინფორმაციით, სოფლის მეურნეობის სამინისტროში მუშავდება ხარისხის კონტროლისა და სერტიფიცირების ალტერნატიული მოდელი, რომელიც, სავარაუდოდ, იქნება, ნაწილობრივ, კერძო სტრუქტურა - საბჭო და მასში გაერთიანდება ბიზნესსექტორიც.*

*მაკონტროლებელ საბჭოში თანამონაწილე ბიზნესმენები ამ ორგანოს თანადამფინანსებლებიც იქნებიან.*

*მისი ინფორმაციით, ღვინის მწარმოებელთა წინააღმდეგობის მიუხედავად, მთავრობა არ შეცვლის საკანონმდებლო ცვლილებებში გათვალისწინებულ ნორმას, რომელიც სერტიფიცირების ნებაყოფლობითი სისტემის შემოღებას ითვალისწინებს.*

*სამაგიეროდ, უკვე ამოქმედდა პარლამენტის მიერ მაისის თვეში მიღებული კანონი "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ", რომელიც კავშირგაბმულობის სექტორის ლიბერალიზაციას და აღნიშნულ სფეროში რეგულირების შემცირებას ითვალისწინებს.*

*კანონით გათვალისწინებულია ბევრი სიახლე. კავშირგაბმულობაში ამჟამად არსებული 34 ლიცენზიიდან 32 გაუქმდება. დარჩება მხოლოდ 2 სახის ლიცენზირება, დანარჩენი საქმიანობები კი რეგისტრაციას დაექვემდებარება. ამა თუ იმ კომპანიამ ბიზნესის დაწყების შესახებ განცხადებით კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიას უნდა მიმართოს, რის შემდეგ საქმიანობის უფლებას ავტომატურად მოიპოვებს. კანონი ასევე ითვალისწინებს სიხშირეების განაწილებას ღია აუქციონის წესით. განაწილებიდან მიღებული შემოსავალი მარეგულირებელი კომისიის ანგარიშებზე აღარ აკუმულირდება - თანხის 80 პროცენტი სახელმწიფო ბიუჯეტში გადაირიცხება. მხოლოდ სიხშირეების განაწილებიდან წელს სახელმწიფო ბიუჯეტი დაახლოებით 15 მლნ. ლარის შემოსავალს მიიღებს. ამასთან, უახლოეს ხანში საქართველოში დამკვიდრდება სიხშირეების მეორადი ბაზარი, რაც იმას ნიშნავს, რომ სიხშირის მფლობელ კომპანიას მისი მესამე პირისთვის მიყიდვის უფლება მიეცემა. ახალი კანონის ამოქმედების შემდეგ ავტომატურად გაუქმდა კანონი "კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ". საერთო ჯამში, ყველა იურიდიული ნიუანსის მოგვარებას ხელისუფლება, დღევანდელი ინფორმაციით, საშემოდგომო სესიისთვის აპირებს. დღეს კი იმ ლიცენზიათა ჩამონათვალს გთავაზობთ, რომელიც ახალი კანონის თანახმად, საქართველოში ძალაში რჩება.*

### საქმიანობის ლიცენზიის სახეები

1. ჩვილ ბავშვთა კვების პროდუქტების წარმოება-დაფასოების ლიცენზია.

2. ბავშვთა კვების პროდუქტების წარმოება-დაფასოების ლიცენზია.

3. ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ლიცენზია;

3. ბირთვული და რადიაციული ობიექტების ექსპლუატაციის ლიცენზია

4. ბირთვული და რადიაციული ობიექტების, ბირთვული მასალების, რადიაქტიური ნივთიერებებისა და რადიაქტიური ნარჩენების გადამუშავების ლიცენზია;

5. ბირთვული და რადიაციული ობიექტების, ბირთვული მასალების, რადიაქტიური ნივთიერებებისა და რადიაქტიური ნარჩენების ტრანსპორტირების ლიცენზია;

6. სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების, რომლებიც დაკავშირებულია ბირთვულ და რადიაციულ ობიექტებთან, ბირთვულ მასალებთან, რადიაციულ ნივთიერებებთან, მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროებთან და რადიაქტიურ ნარჩენებთან, წარმოების ლიცენზია;

7. ბირთვული მასალების, რადიაქტიური ნივთიერებებისა და რადიაქტიური ნარჩენების გამოყენების ლიცენზია;

8. ბიოლოგიური პესტიციდების წარმოების ლიცენზია.

9. კონკრეტული სახეობის იარაღის წარმოების გენერალური ლიცენზია:

კონკრეტული სახეობის იარაღის შეკეთების სპეციალური ლიცენზია;

10. კონკრეტული სახეობის იარაღით ვაჭრობის ლიცენზია.

11. დაკვირვების ელექტრონული საშუალებების დამზადების, შეძენის, იმპორტის ან ექსპორტის ლიცენზია;

12. კერძო მაუწყებლობის ლიცენზია;

13. სათემო მაუწყებლობის ლიცენზია;

14. ელექტროენერგიის წარმოების ლიცენზია;

15. ელექტროენერგიის გადაცემის ლიცენზია;

16. ელექტროენერგიის დისპეტჩერიზაციის ლიცენზია;

17. ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზია;

18. ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზია.

19. ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ლიცენზია.

20. ნავთობის გადამუშავების ლიცენზია.

21. ბუნებრივი გაზის დამუშავების ლიცენზია.

22. ნავთობის ტრანსპორტირების ლიცენზია.

23. ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის (გენერალური) ლიცენზია

ა) დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის სპეციალური ლიცენზია;

ბ) საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის სპეციალური ლიცენზია;

გ) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის სპეციალური ლიცენზია;

24. დაწყებითი პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის, გარდა დამატებითი პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის, ლიცენზია;

25. საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზია;

26. მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა სააღმზრდელო საქმიანობის ლიცენზია;

27. უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზია.

28. სიცოცხლის დაზღვევის ლიცენზია;

29. დაზღვევის ლიცენზია (არასიცოცხლისა);

30. გადაზღვევის ლიცენზია;

31. საბაჟო გადამზიდველის საქმიანობის ლიცენზია;

32. საბაჟო ბროკერის საქმიანობის ლიცენზია.

33. საბანკო საქმიანობის ლიცენზია;

34. არასაბანკო-სადეპოზიტო - საკრედიტო საქმიანობის ლიცენზია.

35. ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის ლიცენზია;

36. საბროკერო საქმიანობის ლიცენზია;

37. საფონდო ბირჟის ლიცენზია;

38. ცენტრალური დეპოზიტარის ლიცენზია;

39. აქტივების მმართველის საქმიანობის ლიცენზია;

40. სპეციალიზებული დეპოზიტარის ლიცენზია.

41. აივ-ინფექციის/შიდსის მკურნალობის ლიცენზია;

42. კლინიკური იმუნოლოგიის და ალერგიულ სნეულებათა სტაციონარული მკურნალობის გენერალური ლიცენზია:

ბავშვთა კლინიკური იმუნოლოგიის და ალერგიულ სნეულებათა სტაციონარული მკურნალობის სპეციალური ლიცენზია;

მოზრდილთა კლინიკური იმუნოლოგიის და ალერგიულ სნეულებათა სტაციონარული მკურნალობის სპეციალური ლიცენზია;

43. ანგიოლოგიური საქმიანობის გენერალური ლიცენზია:

ბავშვთა ანგიოლოგიური საქმიანობის სპეციალური ლიცენზია;

მოზრდილთა ანგიოლოგიური საქმიანობის სპეციალური ლიცენზია;

44. განსაკუთრებით საშიშ ინფექციებზე საქმიანობის ლიცენზია;

45. სტაციონარული გინეკოლოგიური საქმიანობის გენერალური ლიცენზია:

ა) ბავშვთა გინეკოლოგიური სტაციონარული საქმიანობის სპეციალური ლიცენზია;

ბ) მოზრდილთა გინეკოლოგიური სტაციონარული საქმიანობის სპეციალური ლიცენზია.

46. ენდოკრინულ ავადმყოფობათა სტაციონარული მკურნალობის გენერალური ლიცენზია:

ა) ბავშვთა ენდოკრინულ ავადმყოფობათა სტაციონარული მკურნალობის სპეციალური ლიცენზია

ბ) მოზრდილთა ენდოკრინულ ავადმყოფობათა სტაციონარული მკურნალობის სპეციალური ლიცენზია

47. თერაპიული სტაციონარული საქმიანობის ლიცენზია:

ინფექციურ სნეულებათა სტაციონარული მკურნალობის გენერალური ლიცენზია:

ა) ბავშვთა ინფექციურ სნეულებათა სტაციონარული მკურნალობის გენერალური ლიცენზია;

ა.ა) ბავშვთა ინფექციურ სნეულებათა ამბოლატორიული მკურნალობის სპეციალური ლიცენზია.

ბ) მოზრდილთა ინფექციურ სნეულებათა სტაციონარული მკურნალობის გენერალური ლიცენზია;

ბ.ა) მოზრდილთა ინფექციურ სნეულებათა ამბოლატორიული მკურნალობის სპეციალური ლიცენზია.

კარდიო-რევმატოლოგიური სტაციონარული საქმიანობის გენერალური ლიცენზია:

ა) ბავშვთა კარდიო-რევმატოლოგიური სტაციონარული საქმიანობის სპეციალური ლიცენზია;

ბ) მოზრდილთა კარდიო-რევმატოლოგიური სტაციონარული საქმიანობის სპეციალური ლიცენზია.

კარდიოქირურგიული სტაციონარული საქმიანობის გენერალური ლიცენზია:

ა) ბავშვთა კარდიოქირურგიული სტაციონარული საქმიანობის სპეციალური ლიცენზია;

ბ) მოზრდილთა კარდიოქირურგიული სტაციონარული საქმიანობის სპეციალური ლიცენზია.

კლინიკურ-ტოქსიკოლოგიური სტაციონარული საქმიანობის გენერალური ლიცენზია:

ა) ბავშვთა კლინიკურ-ტოქსიკოლოგიური სტაციონარული საქმიანობის სპეციალური ლიცენზია;

ბ) მოზრდილთა კლინიკურ-ტოქსიკოლოგიური სტაციონარული საქმიანობის სპეციალური ლიცენზია.

კომბუსტიოლოგიური სტაციონარული საქმიანობის გენერალური ლიცენზია:

ა) ბავშვთა კომბუსტიოლოგიური სტაციონარული საქმიანობის სპეციალური ლიცენზია;

ბ) მოზრდილთა კომბუსტიოლოგიური სტაციონარული საქმიანობის სპეციალური ლიცენზია.

კომპიუტერულ-ტომოგრაფიული კვლევის ლიცენზია;

კრიტიკული მედიცინის სტაციონარული საქმიანობის გენერალური ლიცენზია:

ა) ბავშვთა კრიტიკული მედიცინის სტაციონარული საქმიანობის სპეციალური ლიცენზია;

ბ) მოზრდილთა კრიტიკული მედიცინის სტაციონარული საქმიანობის სპეციალური ლიცენზია.

სამეანო სტაციონარული საქმიანობის გენერალური ლიცენზია:

ა) სამეანო ამბულატორიული საქმიანობის სპეციალური ლიცენზია.

ნარკოლოგიური სტაციონარული საქმიანობის გენერალური ლიცენზია:

ა) ბავშვთა ნარკოლოგიური სტაციონარული საქმიანობის სპეციალური ლიცენზია;

ბ) მოზრდილთა ნარკოლოგიური სტაციონარული საქმიანობის სპეციალური ლიცენზია.

ნერვულ სნეულებათა სტაციონარული მკურნალობის გენერალური ლიცენზია:

ა) ბავშვთა ნერვულ სნეულებათა სტაციონარული მკურნალობის სპეციალური ლიცენზია;

ბ) მოზრდილთა ნერვულ სნეულებათა სტაციონარული მკურნალობის სპეციალური ლიცენზია.

ნეიროქირურგიული სტაციონარული საქმიანობის გენერალური ლიცენზია:

ა) ბავშვთა ნეიროქირურგიული სტაციონარული საქმიანობის სპეციალური ლიცენზია;

ბ) მოზრდილთა ნეიროქირურგიული სტაციონარული საქმიანობის სპეციალური ლიცენზია.

ნეონატოლოგიური საქმიანობის ლიცენზია;

ნეფროლოგიური სტაციონარული საქმიანობის გენერალური ლიცენზია:

ა) ბავშვთა ნეფროლოგიური სტაციონარული საქმიანობის გენერალური ლიცენზია:

ა.ა) ბავშვთა ნეფროლოგიური ამბულატორიული საქმიანობის სპეციალური ლიცენზია;

ბ) მოზრდილთა ნეფროლოგიური სტაციონარული საქმიანობის გენერალური ლიცენზია:

ბ.ა) მოზრდილთა ნეფროლოგიური ამბულატორიული საქმიანობის სპეციალური ლიცენზია.

ონკოლოგიური სტაციონარული საქმიანობის გენერალური ლიცენზია:

ა) ბავშვთა ონკოლოგიური სტაციონარული საქმიანობის გენერალური ლიცენზია:

ა.ა) ბავშვთა ონკოლოგიური ამბულატორიული საქმიანობის სპეციალური ლიცენზია;

ბ) მოზრდილთა ონკოლოგიური სტაციონარული საქმიანობის გენერალური ლიცენზია:

ბ.ა) მოზრდილთა ონკოლოგიური ამბულატორიული საქმიანობის სპეციალური ლიცენზია.

ორგანოების და ქსოვილების აღების, შენახვის, გადანერგვის ლიცენზია;

ოტორინოლარინგოლოგიური სტაციონარული საქმიანობის გენერალური ლიცენზია:

ა) ბავშვთა ოტორინოლარინგოლოგიური სტაციონარული საქმიანობის სპეციალური ლიცენზია;

ბ) მოზრდილთა ოტორინოლარინგოლოგიური სტაციონარული საქმიანობის სპეციალური ლიცენზია.

ოფთალმოლოგიური სტაციონარული საქმიანობის გენერალური ლიცენზია:

ა) ბავშვთა ოფთალმოლოგიური სტაციონარული საქმიანობის სპეციალური ლიცენზია;

ბ) მოზრდილთა ოფთალმოლოგიური სტაციონარული საქმიანობის სპეციალური ლიცენზია.

პედიატრიული სტაციონარული საქმიანობის ლიცენზია.

პროქტოლოგიური სტაციონარული საქმიანობის გენერალური ლიცენზია:

ა) ბავშვთა პროქტოლოგიური სტაციონარული საქმიანობის სპეციალური ლიცენზია;

ბ) მოზრდილთა პროქტოლოგიური სტაციონარული საქმიანობის სპეციალური ლიცენზია

რადიოლოგიური სტაციონარული დახმარების საქმიანობის ლიცენზია:

ა) ბავშვთა რადიოლოგიური სტაციონარული საქმიანობის გენერალური ლიცენზია;

ა.ა) ბავშვთა რადიოლოგიური ამბულატორიული საქმიანობის სპეციალური ლიცენზია.

ბ) მოზრდილთა რადიოლოგიური სტაციონარული საქმიანობის გენერალური ლიცენზია;

ბ.ა) მოზრდილთა რადიოლოგიური ამბულატორიული საქმიანობის სპეციალური ლიცენზია.

რადიოლოგიური დიაგნოსტიკის ლიცენზია;

რენტგენოლოგიური დიაგნოსტიკის ლიცენზია;

პარაზიტულ სნეულებათა სტაციონარული მკურნალობის გენერალური ლიცენზია:

ა) ბავშვთა პარაზიტულ სნეულებათა სტაციონარული მკურნალობის სპეციალური ლიცენზია;

ბ) მოზრდილთა პარაზიტულ სნეულებათა სტაციონარული მკურნალობის სპეციალური ლიცენზია.

სასწრაფო და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ლიცენზია;

საწარმოო ტრანსფუზიოლოგიური საქმიანობის ლიცენზია;

ქირურგიული სტომატოლოგიის სტაციონარული საქმიანობის გენერალური ლიცენზია:

ა) ბავშვთა ქირურგიული სტომატოლოგიის სტაციონარული საქმიანობის სპეციალური ლიცენზია;

ბ) მოზრდილთა ქირურგიული სტომატოლოგიის სტაციონარული საქმიანობის სპეციალური ლიცენზია.

ტრავმატოლოგიურ-ორთოპედიული სტაციონარული საქმიანობის გენერალური ლიცენზია:

ა) ბავშვთა ტრავმატოლოგიურ-ორთოპედიული სტაციონარული საქმიანობის სპეციალური ლიცენზია;

ბ) მოზრდილთა ტრავმატოლოგიურ-ორთოპედიული სტაციონარული საქმიანობის სპეციალური ლიცენზია.

უროლოგიური სტაციონარული საქმიანობის გენერალური ლიცენზია:

ა) ბავშვთა უროლოგიური სტაციონარული საქმიანობის სპეციალური ლიცენზია;

ბ) მოზრდილთა უროლოგიური სტაციონარული საქმიანობის სპეციალური ლიცენზია.

ფთიზიატრიული სტაციონარული საქმიანობის გენერალური ლიცენზია:

ა) ბავშვთა ფთიზიატრიული სტაციონარული საქმიანობის გენერალური ლიცენზია;

ა.ა) ბავშვთა ფთიზიატრიული ამბულატორიული საქმიანობის სპეციალური ლიცენზია.

ბ) მოზრდილთა ფთიზიატრიული სტაციონარული საქმიანობის გენერალური ლიცენზია;

ბ.ა) მოზრდილთა ფთიზიატრიული ამბულატორიული საქმიანობის სპეციალური ლიცენზია.

ფსიქიატრიული სტაციონარული საქმიანობის გენერალური ლიცენზია:

ა) ბავშვთა ფსიქიატრიული სტაციონარული საქმიანობის სპეციალური ლიცენზია;

ბ) მოზრდილთა ფსიქიატრიული სტაციონარული საქმიანობის სპეციალური ლიცენზია

გულმკერდის ქირურგიის სტაციონარული საქმიანობის გენერალური ლიცენზია:

ა) ბავშვთა გულმკერდის ქირურგიის სტაციონარული საქმიანობის სპეციალური ლიცენზია;

ბ) მოზრდილთა გულმკერდის ქირურგიის სტაციონარული საქმიანობის სპეციალური ლიცენზია.

ზოგადი ქირურგიის სტაციონარული დახმარების საქმიანობის ლიცენზია:

ა) ბავშვთა ზოგადი ქირურგიის სტაციონარული საქმიანობის სპეციალური ლიცენზია;

ბ) მოზრდილთა ზოგადი ქირურგიის სტაციონარული საქმიანობის სპეციალური ლიცენზია.

პლასტიკური, რეკონსტრუქციული და ესთეტიკური ქირურგიის სტაციონარული საქმიანობის გენერალური ლიცენზია:

ა) ბავშვთა პლასტიკური, რეკონსტრუქციული და ესთეტიკური ქირურგიის სტაციონარული საქმიანობის სპეციალური ლიცენზია;

ბ) მოზრდილთა პლასტიკური, რეკონსტრუქციული და ესთეტიკური ქირურგიის სტაციონარული საქმიანობის სპეციალური ლიცენზია.

სისხლძარღვთა ქირურგიის სტაციონარული საქმიანობის გენერალური ლიცენზია:

ა) ბავშვთა სისხლძარღვთა ქირურგიის სტაციონარული საქმიანობის სპეციალური ლიცენზია;

ბ) მოზრდილთა სისხლძარღვთა ქირურგიის სტაციონარული საქმიანობის სპეციალური ლიცენზია.

ჩირქოვანი ქირურგიის სტაციონარული საქმიანობის გენერალური ლიცენზია:

ა) ბავშვთა ჩირქოვანი ქირურგიის სტაციონარული საქმიანობის სპეციალური ლიცენზია;

ბ) მოზრდილთა ჩირქოვანი ქირურგიის სტაციონარული საქმიანობის სპეციალური ლიცენზია.

ჰემატოლოგიური სტაციონარული საქმიანობის გენერალური ლიცენზია:

ა) ბავშვთა ჰემატოლოგიური სტაციონარული საქმიანობის სპეციალური ლიცენზია;

ბ) მოზრდილთა ჰემატოლოგიური სტაციონარული საქმიანობის სპეციალური ლიცენზია.

### სარგებლობის ლიცენზიის სახეები

1. სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია;

2. მიწისქვეშა სივრცის გამოყენების ლიცენზია;

3. ნავთობისა და გაზის მოპოვების ლიცენზია;

4. ტყით სარგებლობის ლიცენზია (გენერალური ლიცენზია):

ა) ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზია;

ბ) სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზია;

5. თევზჭერის ლიცენზია.

6. რეგულარული საერთაშორისო საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის ლიცენზია (თუ შეზღუდვა დადგენილია საერთაშორისო ხელშეკრულებით).

ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ლიცენზია;

რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზია.



საზოგადოებრივ ტელევიზიას ერთ თვეში ახალი თავმჯდომარე ეყოლება



B3

ეროვნული სულისკვეთება კომფორტით იწყება



B5

სავსებით მისაღები სიგიჟე



B8


# ევროპას საქართველო დემოკრატიული სჭირდება

*საქართველო და ქვეყნის ხელისუფლება მთელი მონდომებით მიილტვის ევროსტრუქტურებში ინტეგრირებისკენ. მიმდინარე პროცესები, სტრუქტურული რეფორმები სწორედ ამ მიზნისკენ გადადგმულ ნაბიჯებად აღიქმება.*
*ევროპული რეფორმის ცენტრის დირექტორი, ამავდროულად ბრიტანეთის საბჭოს კოლეგიის წევრი, ეკონომისტი და ჟურნალისტი ჩარლზ გრანტი საქართველოში ვიზიტით იმყოფებოდა და საქართველოს ევროგაერთიანებასთან ურთიერთობას განიხილავდა. მის ინტერესს იწვევს ასევე ქართულ-რუსული ურთიერთდამოკიდებულება და სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთთან დაკავშირებული საკითხები.*
*ჩარლზ გრანტი სკეპტიკურად უყურებს ევროგაერთიანებაში საქართველოს სწრაფი ინტეგრირების შანსებს, მაგრამ მიაჩნია, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი არის ქვეყნის მოდერნიზაციის პროცესი და ევროპის სტანდარტებთან მიახლოება.*

ნინო გომართელი

**- სამი დღეა, რაც თბილისში იმყოფებით. რა საკითხებზე ისაუბრეთ და კონკრეტულად რა მიზანს ისახავდა თქვენი ვიზიტი?**

- თბილისში ორი მიზეზით ჩამოვედი. პირველი ის არის, რომ, როგორც ბრიტანეთის საბჭოს დირექტორს, მსურდა დეტალურად გავცნობოდი იმ პროექტებს, რაც საქართველოში ხორციელდება. მაგალითად, ვიხილე პროკურატურის სფეროს რეფორმები, გავეცანი თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლებისთვის ინგლისური ენის სწავლების პროექტს.

აუცილებლად უნდა ვთქვა, რომ ბრიტანეთის საბჭო ნამდვილად მნიშვნელოვან პროექტებს ახორციელებს, ის ეხმარება საქართველოს მოსახლეობას, კონტაქტი ჰქონდეთ ბრიტანულ უნივერსიტეტებთან, შევხვდი რამდენიმე სტუდენტსაც, რომლებიც საბჭოს დახმარებით ბრიტანეთში სასწავლებლად იყვნენ.

ვიზიტის მეორე მიზეზი კი ჩემმა მთავარმა სამუშაომ განაპირობა. მე ვხელმძღვანელობ ევროპული რეფორმების ცენტრს, რომელსაც ხანდახან ევროპის წამყვან კვლევით ცენტრადაც მოიხსენიებენ, რომელიც ევროკავშირის თემაზე და მის რეფორმირებაზე მუშაობს. როგორც ცენტრის დირექტორი, ასევე ვმუშაობ ევროკავშირის ურთიერთობებზე რუსეთთან და თვალს ვადევნებ სამეზობლო პოლიტიკას.

ნამდვილად ბედნიერი ვარ აქ ყოფნით, რადგან შესაძლებლობა მეძლევა თვალი ვადევნო, როგორ უმჯობესდება ქვეყანაში მდგომარეობა, როგორ იცვლებით. ბოლო რამდენიმე წელიწადია, რაც ევროპული რეფორმების ცენტრს ვხელმძღვანელობ და, გულახდილად რომ გითხრათ, აქამდე კავკასიას ყურადღება არ ექცეოდა. თუმცა, ახლა, ევროპის გაფართოების გამო, შეუძლებელია ამ რეგიონს გვერდი აუარო. ბულგარეთი და რუმინეთი, სავარაუდოდ, ორ-სამ წელიწადში ევროკავშირის წევრები გახდებიან. ევროკავშირის ყურადღების ცენტრში ექცევა შავი ზღვის რეგიონები. უკრაინა და საქართველო მონდომებული არიან, რომ შეძლონ ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრირება. წლების გასვლასთან ერთად ისინი მეტად და მეტად ეცდებიან უფრო ახლო და მჭიდრო ურთიერთობის დამყარებას. ეს ყველაფერი კი იმას ნიშნავს, რომ ევროკავშირს არ შეუძლია ამ ქვეყნების იგნორირება.

**- წელს საქართველო მუშაობას იწყებს ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის შემუშავებაზე. ცნობილია, რომ სამეზობლო პოლიტიკაში ჩართვა არ არის ევროკავშირში გაწევრიანების წინაპირობა. აქედან გამომდინარე, საინტერესოა, თუ რას გულისხმობს სამეზობლო პოლიტიკა და კონკრეტულად რისი მოტანა შეუძლია ამას ჩვენი ქვეყნისთვის?**

- სამეზობლო პოლიტიკა არის გზა უფრო მჭიდრო თანამშრომლობისკენ. იდეა არის ის, რომ ევროკავშირს უფრო მჭიდრო პოლიტიკური ურთიერთობა სურს მეზობელ სახელმწიფოებთან, რომლებიც არ არიან მისი წევრები, მაგრამ ახლო თუ შორეულ მომავალში მაინც გაწევრიანდებიან მასში.

რაც შეეხება სამოქმედო გეგმას, ის ყველა ქვეყნის ინდივიდუალურ ინტერესებზე დაყრდნობით არის შექმნილი და ერთმანეთისგან დამოუკიდებელია.

საქართველოს სამოქმედო გეგმით ევროკავშირი ქვეყანას, ერთი მხრივ, უსახავს მიზნებს. მაგალითად, რომ გაუმჯობესდეს სასამართლო სისტემა, სამხედრო სფერო, შეიქმნას უკეთესი პირობები ადამიანთა უფლებების დასაცავად, გაუმჯობესდეს ეკონომიკური მდგომარეობა და, მეორე მხრივ, თუ საქართველო ამ მოთხოვნებს შეასრულებს, ევროკავშირი მას გაცილებით მეტს შესთავაზებს. იქნება ახალი დაფინანსებები, ახალი პერსპექტივები.

ერთი სიტყვით, თუ თქვენ გააკეთებთ იმას, რაც, ჩვენი აზრით, ჯობს, გააკეთოთ, ეს საქართველოსთვისვე იქნება უკეთესი და მოგებულიც დარჩება. სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის იდეაც სწორედ ეს არის.

**- აშკარაა, რომ ბოლო პერიოდში ევროპა დიდ ყურადღებას აქცევს საქართველოს და ხედავს პრობლემებსაც. რომელი სფეროები საჭიროებს გამოსწორებას, რათა ჩვენი ქვეყანა ევროპულ სტანდარტებს უფრო მიუახლოვდეს?**

- პირველ რიგში აუცილებლად უნდა გითხრათ, რომ საქართველოს საკითხებში ექსპერტი არ ვარ, თუმცა, არის რამდენიმე აშკარა და ნამდვილად პრობლემური საკითხი.

ნათელია, რომ საქართველოს ხელისუფლების ყველაზე დიდი და დრამატული პრობლემა არის კორუფცია.

ჩემზე დადებით შთაბეჭდილებას ახდენს ის, რომ ხელისუფლების პირველი პირები ნამდვილად ცდილობენ ვითარების გამოსწორებას. მაგალითად, მე შევხვდი გენერალურ პროკურორს ზურაბ ადეიშვილს, რომელიც აშკარად ცდილობს თავის სფეროში, თავის სისტემაში ვითარების გამოსწორებას.

დარწმუნებული ვარ, ხელისუფლების პირველი პირები სუფთანი არიან, ესე იგი, არ არიან ჩართული კორუფციაში, მაგრამ სხვები ამას აკეთებენ და მათი რიცხვი საკმაოდ დიდია. კორუფციის აღმოფხვრას დიდი დრო სჭირდება. მიმაჩნია, რომ თქვენი მთავრობა ნამდვილად ცდილობს ვითარების გამოსწორებას და სწორი გზითაც მიდის.

ეს ერთი პრობლემა.

და კიდევ, თბილისში ყოფნისას ბევრ ჟურნალისტს ვესაუბრე. მათგან მოვისმინე ფრაზა, რომ ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს პრესა გაცილებით თავისუფალი იყო, ვიდრე დღეს. მე თავად დავაკვირდი და ვნახე, რომ თქვენი ტელეკომპანიები არ აკრიტიკებენ პრეზიდენტს. არ ვიცი, ეს რას მივაწერო - თვითცენზურას თუ ბიზნესდაჯგუფებებს, რომლებიც ხელმძღვანელობენ ამ ტელევიზიებს და რომლებიც ფიქრობენ, რომ უმჯობესი იქნება, თუ არ გააკრიტიკებენ ხელისუფლებას.

იცით, მე ძალიან კარგად ვიცნობ რუსეთის პოლიტიკას და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რაც ყოველთვის უკმაყოფილებას იწვევს ჩემში, ის არის, რომ რუსული ტელეარხები არ აკრიტიკებენ პრეზიდენტ პუტინს. როდესაც იგი სიტყვით გამოდის ან პრესკონფერენციას მართავს, ყველა ტელეარხი ამას პირდაპირ ეთერში გადმოსცემს.

სამწუხაროდ, საქართველოშიც იგივე ხდება, ეს კი ნამდვილად არ არის დემოკრატიის ნაწილი. დემოკრატიულ ქვეყანაში ტელევიზია ყოველთვის არ აჩვენებს პრეზიდენტის გამოსვლებს და ისინი საკუთარ თავს მისი კრიტიკის უფლებასაც აძლევენ.



თუ საქართველოს სურს, ნამდვილად დემოკრატიულ ქვეყნად აღიქვან, თქვენ გჭირდებათ თავისუფალი მედია, მეტი პლურალიზმი, აზრის მეტი მრავალფეროვნება.

საააკაშვილი არის ქარიზმატული, დინამიკური, იმპულსური. იგი ბუნებით არის ასეთი, მაგრამ მისი მუშაობა, მისი დამოკიდებულება აუცილებლად მოახდენს გავლენას რუსეთის პოლიტიკაზე საქართველოს მიმართ.

ამით ნამდვილად არ მსურს საქართველოში არსებული რეჟიმი რუსეთის რეალობას შევადარო, არ მინდა ვთქვა, რომ ის ისეთივე ცუდია, როგორც რუსეთში. უბრალოდ, მსურს აღვნიშნო, რომ თუ საქართველოს სურს, ნამდვილად დემოკრატიულ ქვეყნად აღიქვან, მას სჭირდება თავისუფალი მედია, მეტი პლურალიზმი, აზრის მეტი მრავალფეროვნება. მე ასევე მაწუხებს ოპოზიციის საკითხი, რომელიც ძალზე სუსტია.

მესმის, რომ თქვენთან იყო რევოლუცია და მიხეილ სააკაშვილი დღეს ძალიან პოპულარული პრეზიდენტია. ეს კარგია და დარწმუნებული ვარ, მას საქართველო სწორი მიმართულებით მიჰყავს, მაგრამ საპარლამენტო ოპოზიცია სუსტია, ასევე სუსტები არიან ოპოზიციური არასამთავრობო ორგანიზაციები. ამასთან, ტელევიზია არცთუ თავისუფალია. იცით, ბრიუსელში ამით ნამდვილად შეწუხებული არიან.

და კიდევ ერთი სპეციფიკური პრობლემა - თქვენ გსურთ ნატო-ში გაწევრიანება. მიმაჩნია, რომ ეს სავსებით რეალურია. დეკადის დასასრულისთვის, შესაძლოა, ეს მოახერხოთ კიდეც, მაგრამ ისიც ვიცი, რომ ნატო-ს რიგი საკითხები აშფოთებს.

საქართველოს ჰქონდა ნატოსთან შეთანხმება და თქვენ არ შეგისრულებიათ ყველა ის მოთხოვნა, რაც ინდივიდუალური პარტნიორობის გეგმაში იყო.

თქვენ არ ჩამოგიყალიბებიათ ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია, რაც უნდა გაგეკეთებინათ.

ბრიუსელში შეშფოთებული არიან საქართველოს მიერ იარაღის შესყიდვის პროცესით. თქვენ იარაღს ყიდულობთ საიდუმლო, უცნობი ფონდებით, თავდაცვის სფეროს რეფორმირების პროცესი კი არ არის გამჭვირვალე.

ამასთან, გულახდილად მინდა გითხრათ ჩემი აზრი, რომ თქვენს თავდაცვის მინისტრს არცთუ მჭიდრო და კარგი ურთიერთობა აქვს ნატო-სთან, რაც ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში უკმაყოფილებას იწვევს.

ერთი სიტყვით, საქართველოს ყველაზე დიდი პრობლემები არის კორუფცია, პრესის თავისუფლება და ნატოს-თან ურთიერთობა, თავდაცვის სტრუქტურის მოდერნიზაცია.

**- რაც შეეხება საქართველოში დღეს არსებულ პოლიტიკურ ვითარებას. საინტერესოა, რა იყო ევროპის მოლოდინი ახალი ხელისუფლებისგან და რა არის დღეს შედეგი?**

- არ მინდა უხეშად გამომივიდეს, თუმცა, მაინც უნდა ვთქვა, რომ ევროპის მოსახლეობის უმეტესობამ არც კი იცის, სად არის საქართველო. დასავლეთ ევროპის ქვეყნები უფრო ახლოს არიან ევროპასთან, ისინი, შესაძლოა, ევროკავშირის წევრებიც გახდნენ, მაგრამ საქართველო აქედან ძალიან შორსაა. "ვარდების რევოლუციაზე" ხალხმა შეიტყო, მაგრამ ახლა ეს მათ უკვე დავიწყებული აქვთ.

რაც შეეხება ევროკავშირის მაღალჩინოსნებს და პირველ პირებს, წევრი სახელმწიფოების მეთაურებს, მათ იციან, სადაც არის საქართველო და მასზე ფიქრობენ კიდეც. ევროპისთვის ძალზე კარგი და ამიტომაც მნიშვნელოვანია საქართველოს დემოკრატიულობა. მათ ესმით, რომ ეს არის ქვეყანა, რომელსაც ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლების დროს უამრავი პრობლემა ჰქონდა და დემოკრატიულ სახელმწიფოდ გადაქცევას ის ორიოდე წელიწადში ვერ შეძლებს, მაგრამ ევროპა ნამდვილად მოხიბლულია საქართველოს პრეზიდენტით. მიხეილ სააკაშვილი ძალზე შთამბეჭდავი ორატორია, არაჩვეულებრივად საუბრობს უცხო ენებზე. მიმაჩნია, რომ რამდენიმე მინისტრიც საკმაოდ კარგია. მაგალითად, ბედნიერი ვარ, რომ ვიცნობ სახელმწიფო მინისტრს კახა ბენდუქიძეს, ასევე საგარეო საქმეთა მინისტრს სალომე ზურაბიშვილს. ამით იმის თქმა მსურს, რომ მთავრობა შთამბეჭდავი გუნდია, მაგრამ, როგორც უკვე ვთქვი, არის რიგი პრობლემები და წუხილის საბაბი.

ყველამ იცის, როგორიც არის რევოლუციური ხანა, ეიფორია, რევოლუციური გუნდი, მაგრამ უკვე გავიდა ორი წელი და უკვე ახალი, კარგი და სწორი სისტემის ჩამოყალიბების დროა. საქართველოში კი ჯერ ისევ რევოლუციური ვითარება სუფევს. თქვენ ჯერ კიდევ არ აგიმოქმედებიათ რეფორმების ადმინისტრაციული სისტემა. ამაზე ნამდვილად სერიოზული მუშაობა გჭირდებათ.

**- თქვენ აღნიშნეთ, რომ კარგად იცნობთ რუსეთის ფედერაციის პოლიტიკას. რას ფიქრობთ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე, როგორ აფასებთ კრემლის პოლიტიკას საქართველოსთან მიმართებაში და რა აზრის ხართ ქვეყანაში არსებულ კონფლიქტურ ვითარებებზე (იგულისხმება აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი)?**

- რუსეთის ფედერაციის იმ მოსახლეობას, რომელსაც მჭიდრო კავშირი აქვს კრემლთან, მიხეილ სააკაშვილი ნამდვილად არ მოსწონს. მას, როგორც სახიფათო ადამიანს და როგორც ცოტათი არაპროგნოზირებად პიროვნებას, ისე აღიქვამენ.

ჩემი აზრით, კონფლიქტების მოგვარება სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში გარკვეულწილად რუსეთის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული. ნამდვილად არ მსურს, ქვეყნის შიგნით არსებულ კონფლიქტებში საქართველოს ხელისუფლებას ბრალი დავდო, მაგრამ ის, რაც გასულ ზაფხულს მოხდა (ვგულისხმობ სამხრეთ ოსეთის სამხედრო გზით დაბრუნების მცდელობას), შეცდომა იყო. სხვათა შორის, ეს ითქვა კიდეც (ამერიკის მხრიდან).

სამხედრო ბაზებზე შეთანხმება რუსეთსა და საქართველოს შორის ნამდვილად კარგი ფაქტორია და ეს სწორედ რუსეთის კეთილი ნების გამო მოხდა. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ქართველების ხედვა, რომ ამერიკასა და ევროპას ბევრი რამის გაკეთება შეუძლია კონფლიქტების დარეგულირების თვალსაზრისით, ნამდვილად სიმართლეს შეესაბამება.

პირადად მე რუსეთის საგარეო პოლიტიკაზე ასე ვფიქრობ: ყველა პრობლემისა და ამერიკის ძალაუფლების ზრდის შიშის მიუხედავად, რუსეთის საგარეო პოლიტიკაში არის რეალობის ნიშნებიც. როდესაც უკანასკნელად ვიყავი მოსკოვში, ვისმენდი ხალხის საუბარს: რუსეთმა დაკარგა საქართველო, დაკარგა მოლდოვა, უკრაინა, მაგრამ ჩვენ არ დაგვიკარგავს ბელარუსი და მას არ დავთმობთ.

საქართველოსთან მიმართებაში რუსეთი ჩაჭიდებულია იმ ორ რუკას, რაც მას ხელში უჭირავს - ეს არის სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის რუკები. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ დიდია რუსეთის ინტერესი, კარგი ურთიერთობა ჰქონდეს საქართველოსთან. ამავდროულად, მას სურს იყოს კონსტრუქციული სამხრე ოსეთსა და აფხაზეთის კონფლიქტებთან დაკავშირებით. რუსეთში ზოგიერთებს ამის მნიშვნელობა ესმით, ასე რომ, არის უკეთესობის იმედიც.

ჩემი აზრით, თქვენ რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებას უნდა ეცადოთ. მე მოვისმინე მიხეილ სააკაშვილის გამოსვლა კიევში, სადაც მან ასეთი ფრაზა წარმოთქვა: "ბელარუსის ხელისუფლებამ თავისუფლება უნდა მოიპოვოს". თუ შენ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხისადმი რუსეთის მხრიდან კონსტრუქციული დამოკიდებულება გსურს, მაშინ რამდენად ჭკვიანურია საკუთარი პოზიციისა და აზრის ასეთი ტერმინოლოგიით გამოხატვა?! მე არ ვაკრიტიკებ სააკაშვილის მოსაზრებას, მაგრამ აღნიშვნის ღირსია ის ტერმინები, რასაც იგი მის გასამჟღავნებლად იყენებს.

პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი არის ქარიზმატული, დინამიკური, იმპულსური. იგი ბუნებით არის ასეთი, მაგრამ მისი მუშაობა, მისი დამოკიდებულება აუცილებლად იქონიებს გავლენას რუსეთის პოლიტიკაზე საქართველოს მიმართ.

**- დღევანდელ ევროპაში ყველაზე აქტუალური არის ევროპის ახალი კონსტიტუციის თემა. საფრანგეთსა და ჰოლანდიაში ჩატარებულ რეფერენდუმზე მოსახლეობამ უარყოფითი პოზიცია დააფიქსირა. როგორ გესახებათ ევროკონსტიტუციის მომავალი?**

- ფაქტია, რომ კონსტიტუცია მოკვდა, რადგან მასზე თანხმობა ყველა ქვეყანას უნდა გაეცხადებინა. ეს სამწუხაროა პირადად ჩემთვის და ისეთი ხალხისთვის, ვისაც სურს, რომ ევროგაერთიანება გაცილებით ეფექტური იყოს.

კონსტიტუციის დასასრული კი ნიშნავს გაღრმავების, ინტეგრაციის ოცწლიანი პროცესის დასრულებას, რაც გავლენას მოახდენს სამომავლო გაფართოებაზე. ვფიქრობ, გაფართოება დასრულდა.

ბულგარეთი და რუმინეთი, სავარაუდოდ, ევროკავშირის წევრები გახდებიან, მაგრამ საკმაოდ დიდხანს ევროკავშირი მეტად აღარ გაფართოვდება. უნდა გავითვალისწინოთ, რომ რიგ ქვეყნებს სწორედ გაფართოება არ სურთ.

საფრანგეთსა და ჰოლანდიაში ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ხალხმა რეფერენდუმზე უარყოფითი პოზიცია დააფიქსირა, ის იყო, რომ ევროკავშირში თურქეთის სამომავლო გაწევრიანების წინააღმდეგი არიან. რასაკვირველია, თურქეთი დაიწყებს მოლაპარაკებებს გაწევრიანების თაობაზე, მაგრამ ეს პროცესი ძალზე ნელა წაიწევს წინ. ბოლოს, რაც შეეხება სხვა ქვეყნებს, შესაძლოა, მათთან მოლაპარაკებები არც დაიწყოს. უკრაინა, საქართველო და მოლდოვა კი, ვწუხვარ, მაგრამ ამ ყველაფრისგან ძალიან შორს არიან. თუმცა, მაინც მინდა ვთქვა, რომ ამას არც აქვს დიდი მნიშვნელობა. მნიშვნელოვანი არის ევროპაში ინტეგრაცია, ევროპულ სტანდარტებთან მიახლოება. თქვენ ევროპულ სტანდარტებს უნდა მიუახლოოთ თქვენი სასამართლო სისტემა, ადამიანის უფლებების დაცვა, ეკონომიკა, თქვენი დემოკრატია. თუ ამ ყველაფერს გააკეთებთ და ევროპაში ინტეგრაციას საკუთარი წინსვლისთვის გამოიყენებთ, ეს თავად საქართველოსთვის იქნება კარგი. ამის შემდეგ კი თუ ევროკავშირის წევრობა გენდომებათ, მაშინ არავის ექნება უფლება, უარი გითხრათ.

ასე რომ, მინდა დაგამშვიდოთ, არა უშავს, თუ ევროგაერთიანების გაფართოების პროცესი შეწყდა. ეს არ არის მთავარი. მთავარია წინსვლის პროცესი.

თუ თქვენ შეხედავთ თურქეთის მაგალითს, დარწმუნდებით, რომ იქ მთავრობამ ძალიან სერიოზული და კარგი რეფორმები განახორციელა, ქვეყანა გაცილებით დემოკრატიული გახდა, ადამიანთა უფლებები გაცილებით უფრო დაცულია. ეს ევროპისკენ სვლის პროცესის გამო მოხდა.

**- დაბოლოს, როგორია ევროკავშირის პოლიტიკა საქართველოსთან მიმართებაში?**

- ვფიქრობ, ევროპას საქართველოში სტრატეგიულობის ელემენტების დანერგვა სჭირდება. ეს სტრუქტურა ბევრ ფულს დებს საქართველოში. მაგრამ არის სტრატეგიის ნაკლებობა. თქვენ გჭირდებათ ნათელი მიზნები, რათა ეს თანხა სწორედ ამ მიზნებისკენ იყოს მიმართული.

საქართველოში ვიზიტის შემდეგ ევროკავშირში მეგობრებისადმი ჩემი მესიჯი იქნება ის, რომ მათ გაცილებით სტრატეგიულად იფიქრონ საქართველოზე, მეტი გააკეთონ კონფლიქტებთან მიმართებაში, დაეხმარონ საქართველოს რუსეთთან ურთიერთობაში. ევროკავშირის პირველი პირები ჯეროვნად არ ფიქრობენ კავკასიაზე.

ამერიკისკენ თქვენი სწრაფვა ძალიან კარგია, მაგრამ, გულახდილად რომ ვთქვათ, თქვენ ხომ ვერ შეხვალთ ამერიკის შემადგენლობაში?! თქვენ უნდა იყოთ მომთმენნი, ისწავლოთ, თუ როგორ მუშაობს ევროკავშირი, ჩაერთოთ ევროპის ცხოვრების სტილში და ამაში ევროგაერთიანებამაც უნდა შეგიწყოთ ხელი.




## თეატრები

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
კიტა ბუაჩიძე
"მკაცრი ქალიშვილები"
რეჟისორი: გოგი ქავთარაძე
დას: 20:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
ლევან წულაძე
"სხვა მთვარე"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.

**პანტომიმის თეატრი**
უილიამ შექსპირი
"ტიტუსი"
რეჟისორი: დავით შალიკაშვილი
დას: 19:00 სთ.

## კინოთეატრები

**კინოს სახლი**
"მარნი"
(1964)
რეჟისორი: ალფრედ ჰიჩკოკი
ფასი: 1 ლარი
დას: 18:00 სთ.

**ამირანი**
"ბეტმენი"
დას: 12:00; 15:00; 17:30; 20:00 სთ.

"მისტერ და მისის სმიტები"
დას: 22:00 სთ.

## გამოფენები

**ბავშვთა სურათების გალერეა**
ცისანა ბაღდავაძის (12 წლის) ნამუშევრების
პერსონალური გამოფენა

**ვერნისაჟი**
70-იანი წლების ქართველ ავანგარდისტთა ნამუშევართა ჯგუფური გამოფენა
"რეპრესირებული ხელოვნება 17 წლის შემდეგ.
კოლაჟი, ობიექტი"

**ბაიას გალერეა**
მაია ზაალიშვილის ფოტონამუშევართა გამოფენა

**უნივერსი**
თვითნასწავლ მხატვარ ქალთა მხატვრული ნამუშევრების
გამოფენა "ცისარტყელა"

**ჰობი**
"საუკეთესო ანტინარკოტიკული პლაკატი"

**ქარვასლა**
გამოფენა "სპეციალურად მარტივი/ალტერნატიული პროდუქციის კულტურის წარმოქმნა"
(ახალი გერმანული დიზაინის თვალსაჩინო მაგალითი; 122 ექსპონატი; აქცენტი გაკეთებულია ავეჯზე, განათებასა და საცხოვრებელ ობიექტებზე)

**TMS**
სანდრო ანთაძის ნამუშევართა გამოფენა
(ფერწერა)

**ბავშვთა სურათების გალერეა**
თათა ჯანაშიას ნამუშევრების გამოფენა

**ეთნოგრაფიული მუზეუმი კუს ტბაზე**
**რეწვის ფესტივალი "არტ-გენი"**
სტუმრები რაჭიდან
დას: 20:00 სთ.

ჯაზის საღამო. თამაზ ყურაშვილი და მეგობრები
დას: 22:00 სთ.

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე:* culture@24hours.ge






# მეგობრებთან ერთად

### ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი იწყებს...

ვერა ნეფარიძე

*"სათქმელად ცოტა ძნელია, რამდენად მნიშვნელოვანი საქმე იწყება დღეიდან. მსურველი რომ ვერ ისმენს, ზოგიერთი ჩანაწერი აღარც არსებობს, ამით ტრადიციები იკარგება. ქართული სიმღერა მარტო ის კი არაა, რომ მოისმენ და გეამება. ის ღმერთისმიერია, ადამიანის სულიერად ჩამომყალიბებელი. მისი აღდგენა და გაცოცხლება ბევრს ნიშნავს", - ოთარ ბერძენიშვილი, უნიკალური გურული სიმღერების ჩანაწერების ერთ-ერთი შემსრულებელი პირველია, ვინც ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ახალ ინიციატივას გემო გაუსინჯა. გუშინ "თი ბი სი ბანკის" სათავო ოფისში ქართული ფოლკლორის მეგობრების სიმრავლე, იმედია, ნიშნავს იმასაც, რომ ცენტრის მიერ წამოწყებული მნიშვნელოვანი და გრძელვადიანი საქმეები ისევე ლამაზად გაგრძელდება, როგორც გუშინდელი საღამო.*

ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის აუდიოჩანაწერების სერია "გურიამ" გახსნა; პირველი დისკი კი "ბერძენიშვილებია". ასეთი არჩევანი ალბათ იმანაც განაპირობა, რომ, როგორც ცენტრის ხელმძღვანელმა აგვიმხილა, ეს ჩანაწერები მისი სამაგიდო დისკი ყოფილა. "ეს ვარიანტები გამოირჩევა ბერძენიშვილების გვარის შესრულების მანერით", - გვითხრა უშიკიშვილმა, რომელმაც გუშინდელ პრეზენტაციაზე დისკში შესული სიმღერების ერთ-ერთ შემსრულებელთან ოთარ ბერძენიშვილთან ერთად იმღერა რამდენიმე ნიმუში.

ამ უნიკალური ჩანაწერების შემსრულებელი ბერძენიშვილები ჩოხატაურის რაიონის სოფელ გოგოლის უბნიდან არიან. ეს იყო ანსამბლი, რომელშიც მამა-შვილ ლადიმე და ოთარ ბერძენიშვილებთან ერთად მათი მეგობრები და ახლობლებიც


*ბერძენიშვილის უნიკალური სიმღერების ცოცხალი შესრულება.*

მღეროდნენ. ლადიმე ბერძენიშვილი ერთხანს თურმე თბილისშიც მოღვაწეობდა. ანსამბლის წევრებიდან გუშინდელ საღამოს მხოლოდ ბატონი ოთარი დაესწრო. ორგანიზატორების საქებრად უნდა ვთქვა, რომ საპატიო სტუმრის დარბაზში სიმღერით შემოსვლა (ანსამბლ "ლაშართან" ერთად) იყო გუშინდელი საღამოს ალბათ ყველაზე ამაღელვებელი ეპიზოდი, რომელიც გულგრილს ვერ დატოვებდა ადამიანს. "ეს არის უაღრესად დიდი ეროვნული საქმე. ამ ხალხს სიცოცხლის ბოლომდე გვერდში დავუდგები", - განაცხადა მომღერალმა საზოგადოებასთან მისალმებისას.

"უაღრესად ეროვნული საქმე" სამართლიანად ეწოდა წამოწყებას, რომელსაც ათეული წლების განმავლობაში ელოდნენ ქართული სიმღერის გულშემატკივრები. საქმე ეხება უნიკალური ჩანაწერების გაცოცხლება-გამოცემას. თუმცა, იმას, რომ დღემდე ეს საქმე ვერ კეთდებოდა, სრულიად გასაგები მიზეზები ჰქონდა: ჩვენში არ არსებობდა აპარატურა, რომელიც ამ ჩანაწერებს თანამედროვე ტექნოლოგიის ფორმით შემოგვთავაზებდა; არ ჩანდა საჭირო თანხა, რომ ეს უცხოეთში გაკეთებულიყო და, როგორც ეტყობა, არ არსებობდა ინიციატორიც, რომელიც ისევე მოახერხებდა ამ საქმის ირგვლივ მეგობრების გაერთიანებას, როგორც ეს გიორგი უშიკიშვილმა შეძლო. ამიტომ პრეზენტაციაზე კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ თამარ ქვარიანმა თავის ხანმოკლე გამოსვლაში მხოლოდ ის აღნიშნა, რომ: "სულ ექვსი თვეა, რაც გიორგი ცენტრს ხელმძღვანელობს, მაგრამ წარმოუდგენლად დიდი საქმეა წამოწყებული".

ამ პროექტების დაწყებას ნამდვილად ვერ შეძლებდნენ, რომ არა იმ საქმოსნებისა თუ კომპანიების მხარდაჭერა, რომლებიც ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის გვერდით დგანან. გუშინდელი პრეზენტაციის მასპინძელი "თი ბი სი ბანკი" აპირებს, ცენტრთან ერთად განახორციელოს გრძელვადიანი პროექტები (უნიკალური ჩანაწერების გაცოცხლება-გამოცემა ხუთწლიანი პროექტის "21-ე საუკუნის ოქროს ფონდის" შემადგენელი ნაწილია; ასევე იგეგმება ფოლკლორის ეროვნული ფესტივალ-დათვალიერების ორგანიზება). "ცენტრ პოინტმა" (რომელმაც თამარ ქვარიანის კომპლიმენტიც მიიღო: "თქვენ გააკეთეთ ის, რაც ჩვენ ვერ შევძელით") კი შეიძინა აპარატურა, რაც ცენტრს საშუალებას აძლევს, თავად გამოსცეს ჩანაწერები. "ამით ვზოგავთ თანხას, ეს კი გვეხმარება, რომ საავტორო უფლებების წილი გავზარდოთ. "ამ ყველაფრის მიზანია, რომ ეს ჩანაწერები არ იყოს თაროზე შემოდებული; გვსურს მათ მივცეთ კომერციული დატვირთვა; ცენტრი, მგონი პირველად საქართველოს ისტორიაში, გადაიხდის პირდაპირი თუ მომიჯნავე უფლების თანხას გაყიდული დისკებიდან; ამ თანხას მიიღებენ გარდაცვლილი შემსრულებლების შთამომავლები", - გვითხრა გიორგი უშიკიშვილმა. პირველ დისკში - "ბერძენიშვილები" 25 სიმღერაა შესული. მათი ნაწილი რადიოს ოქროს ფონდსა და ცენტრალურ არქივში მოიძიეს; უმეტესი ნაწილი ბატონი ოთარის არქივიდანაა. მომავალში სერია საქართველოს ყველა კუთხეს მოიცავს. მომავალში კი დაგეგმილია გამოიცეს "თელაველები", 1930-40-იანი წლების უნიკალური კახური სიმღერებით.

პრეზენტაცია "თი ბი სი ბანკის" საპრეზენტაციო დარბაზში ამირან არაბულის კოლექციის ფონზე გაიმართა. როგორც გავიგეთ, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრს ამ ფოტოების კატალოგში თავმოყრაც აქვს განზრახული. რაც შეეხება გუშინდელ საღამოს, ის "ლაშარის" მიერ ცოცხლად შესრულებული ხალხური სიმღერების ფონზე კიდევ უფრო შთამბეჭდავი და სასიამოვნო გამოვიდა.

# თბილისში პატივი მიაგეს ბულგარული კინოს სიმბოლოს

### ბულგარელები საქართველოში კულტურული პროგრამის გააქტიურებას გეგმავენ

*გუშინ კინოს სახლში გაიხსენეს 60-70-იანი წლების ბულგარული კინოს სიმბოლო ნევენა კოკანოვა. მხატვრული ფილმის "ატმის ქურდის" სანახავად ბულგარეთის საელჩოს, საკონსულოსა და თბილისში მცხოვრები ბულგარელების გარდა, ქართველი კინომოყვარულებიც მივიდნენ.*

საღამოს ინიციატორი იყო კინომცოდნე დალი ოქროპირიძე. ბულგარელმა დიპლომატებმა (საელჩო, საკონსულო) კი ღონისძიების ორგანიზება აიღეს საკუთარ თავზე. ამასთან, გუშინდელი ჩვენება იყო პირველი კულტურული ღონისძიება, რომელიც თბილისში ბულგარეთის საელჩომ მოაწყო. კონსულ ივან რაიჩევის თქმით, საქართველოში თავიანთ მოღვაწეობას ბულგარელები აქტიურად დატვირთავენ საინტერესო კულტურული პროგრამით.

"ბულგარეთის საელჩო საქართველოში 2003 წლიდან არსებობს. ჩვენთვის დიდი პატივია საქართველოში საქმიანობა, რასაც უდიდესი პასუხისმგებლობით ვეკიდებით. ძალიან მიხარია, რომ ამ საღამოს ინიციატივა ქართულ მხარეს, კერძოდ, ქალბატონ დალი ოქროპირიძეს ეკუთვნის", - გვითხრა კონსულმა. რაც შეეხება ქართველი კინომცოდნის ინიციატივას, ბულგარელი მსახიობის გახსენება შემთხვევითი არ ყოფილა. დალი ოქროპირიძის სადიპლომო ნაშრომი ნევენა კოკანოვას შემოქმედებასა და ბულგარულ კინემატოგრაფს შეეხებოდა; ბულგარეთთან კონტაქტი დალი ოქროპირიძემ ამ ქვეყანაში ყოფნისას, კინოს აკადემიაში სტაჟირებისას გააღრმავა. სწორედ მან მიმართა ბულგარეთის საელჩოს წინადადებით, ცნობილი მსახიობის გარდაცვალებიდან ორი წლის შემდეგ გამართულიყო ნევენა კოკანოვას შემოქმედების, მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო. წინადადება სიამოვნებით მიიღეს, განახორციელეს და, როგორც გუშინდელ ღონისძიებაზე აღმოჩნდა, იდეამ ქართველი კინომოყვარულები და კინოს სპეციალისტებიც დააინტერესა.


*ბულგარეთის ელჩი ნევენა კოკანოვას იხსენებს.*

ნევენა კოკანოვას შემოქმედებაზე ისაუბრა რეჟისორმა ელდარ შენგელაიამ; ელჩმა ივაიო ბრზიცოვმა კი აგვიხსნა, თუ რატომ მოუხდა ამ მსახიობზე სევდიანი საუბარი: "ნევენა ჩემი ახალგაზრდობის დროინდელი ბულგარული კინოს ნამდვილი სიმბოლო იყო".

მსახიობის გასახსენებლად რეჟისორ ვილო რადევის ფილმი "ატმის ქურდი" შეარჩიეს. არც ეს არჩევანი ყოფილა შემთხვევითი: ფილმმა 1964 წელს ვენეციის ფესტივალზე დიდი აღიარება მოიპოვა და მას ბულგარული კინოს ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად მოიხსენიებენ.

# მთიხვის ოთხკუთხა ბეწვი

### ინფრაწითელი კოტე მინდაძის ამავე ფერის შოუ

ია ვეკუა

თქვენ დარბაისელი ქართველი ხართ, კარგი მსმელი, მომლხენი, "კამპანიის" გული და სული. უცებ ოჯახის ბიუჯეტში ზედმეტი 700 დოლარი აღმოაჩინეთ და დაიწყეთ ფიქრი - ამ ფულით სასადილო ოთახისთვის მაგიდა და სკამები იყიდოთ (ქეიფი ხომ გინდათ!) თუ ცოლის საამებლად იმავე ოთახის ინტერიერის გასალამაზებელი ნივთი შეიძინოთ. მერწმუნეთ, თუ მართლა აკმაყოფილებთ ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებს, აუცილებლად ავეჯის უახლოეს მაღაზიაში გაიქცევით. ეს პირველი დასკვნის შესავალი იყო: ხელოვნება, რომელსაც კოტე მინდაძე ქმნის, საქართველოში მანამდე არ დასჭირდებათ, სანამ ყველა ოჯახში მაგიდასა და სკამებს არ იყიდიან.

არადა, ეს ხელოვანი არაფერს ქმნის ისეთს, ოჯახში რომ ვერ შეიტან. ეს არის ინტერიერის შესავსები, გასალამაზებელი, გნებავთ, გასამდიდრებელი ხელოვნება. მას არა აქვს პრაქტიკული გამოყენება ანუ, როგორც კოტე მინდაძე ამბობს, ვერც ჩაიცვამ და ვერც მოწველი. ხელოვნების ამ დარგის ნიმუშები ნაკლებად ატარებს კონკრეტული კონცეფციის ფორმას და მხოლოდ ესთეტიკური და ორიგინალური ფორმის თვალსაზრისითაა საინტერესო.

კოტე მინდაძის ნამუშევრების გამოფენა სახელწოდებით "ინფრაწითელი შოუ", რომელიც კავშირ "ნიუ არტში" გაიხსნა, ნაკლებად ატარებდა შოუს სახეს, სამაგიეროდ ნამდვილად წითელი (თუნდაც ინფრა) იყო. ეს ფერი მინდაძის მუზაა და ცდილობს, რომ ამ მისწრაფებას თითქმის ყველა ნამუშევარში გაუსვას ხაზი. "წითელი 2005 წლის მთავარი ფერია, იგი უნიკალურია და ჩემს წარმოსახვაში ტოვებს განგაშის, ცდუნების, მისტერიის, უცხოობის, კმაყოფილებისა და კულმინაციის შთაბეჭდილებასა და შეგრძნებას", - წერს ავტორი გამოფენის კონცეფციაში.

თუმცა, ხანდახან წითლის გარეშეც იოლად გადის და სრულიად კონტრასტულ ფერებს მიმართავს. საერთოდ, ამ ხელოვნებისთვის დამახასიათებელია ვრცელი, თითქმის შეუზღუდავი ფერთა გამა, რაც, სავარაუდოდ, იმითაცაა განპირობებული, რომ ნებისმიერი გემოვნების ადამიანის მოთხოვნილების დაკმაყოფილება შეძლოს. ნამუშევრებსაც ფერთა სახელწოდებების მიხედვით ასათაურებს: "მწვანე კუბური უჯრედები", "წითელი და ყავისფერი კუბური უჯრედები" (ამ და წინა შემთხვევაშიც იგულისხმება გეომეტრიული კუბი და არა გეოგრაფიული კუბა), "წითელი თავსატეხი", "იისფერი სფეროები", "კარმინისფერი ზიგზაგი (უხეში სპექტრული აცდენა)" და ა.შ.

ასევე მრავალფეროვანია მასალა და ფორმა. მაგალითად, ბანალური ქაღალდის გვერდით მინდაძე



ბამბუკისგან ხელით ნაკეთ ქაღალდსაც იყენებს, ფერებს კი ზეთის საღებავით სხვადასხვა სახის პიგმენტებს ადებს. რამდენიმე შემთხვევაში კოტე მინდაძე მინის ჭრის ხელობასაც მიმართავს, ერთგან კი ოდესღაც ცოცხალი ცხოველის ბეწვით გამზადებული ოთხკუთხა პანო წარმოადგინა.

ამ უკანასკნელს საკმაოდ საინტერესო სახელწოდება აქვს: "რამდენიმე ტყავის ნიმუში უთვალავი უსახელო არსებიდან, დიდის თუ პატარის". ნამუშევარი ასევე გაუგებარი და თითქმის მარტივია და თურმე მთიხვის ბეწვისგან ყოფილა გაკეთებული, მთიხვი კი "ნორკის" ქართული შესატყვისია. მთავარი სხვა რამეა - თუ ცხოველების მოყვარული და ხანდახან მათი აქტიური დამცველიც ხართ, ასეთ გამოფენაზე აუცილებლად საღებავით შეიარაღებული მიხვალთ და მხოლოდ ექსპონატს კი არა, ალბათ, მის ავტორსაც გააფერადებთ. თუმცა, კოტე მინდაძეს ეს არ ემუქრება, რადგან ეს ყველაფერი საქართველოში ხდება, სადაც ზედმეტი 800 დოლარის პატრონი (სწორედ ამდენი ღირს მთიხვის ოთხკუთხად ქცეული ბეწვი. ფასი კი, სავარაუდოდ, არა ნამუშევარს, არამედ ბეწვს ადევს) მას კედელზე კი არა, ცოლს მხრებზე მოარგებს. ესეც მეორე დასკვნა (რომელიც პირველს ამყარებს): ჩვენს ქვეყანაში არც მინდაძის "ბეწვეული" სჭირდებათ.

სამწუხაროდ, კოტე მინდაძეს რამდენიმე წელი მოუწევს მოცდა, ვიდრე ჩვენი საზოგადოების ცნობიერება და, რაც მთავარია, ჯიბე იმ დასკვნამდე მივა, რომ სასტუმრო ოთახში განთავსებული როკოკოს ლარნაკი ან რომელიმე ნაკლებად ცნობილი ავტორის ასევე ნაკლებად ცნობილი ნამუშევრის უნიათო რეპროდუქცია, მარტივად რომ ვთქვათ, გოიმობაა. მანამდე კოტე მინდაძე მეტ ფერსა და ფორმას გადასინჯავს, მისი ხელოვნება მხოლოდ უცხოელთათვის არ იქნება საინტერესო და ოდესმე ჩვენი საზოგადოების გემოვნების პირდაპირპროპორციული გახდება. თუმცა, ერთადერთი, რაც მინდაძეს არასდროს ეპატიება, საბრალო მთიხვების გატყავება და მათი ბეწვის ოთხკუთხა ჩარჩოში ჩასმაა.

# საზოგადოებრივ ტელევიზიას ერთ თვეში ახალი თავმჯდომარე ეყოლება

ნინია კაკაბაძე

პირველ არხს უკვე დიდი ხანია, საზოგადოებრივი ტელევიზია ჰქვია, უფრო სწორად კი, უკვე დიდი ხანია, თავს საზოგადოებრივ ტელევიზიად ასაღებს. სინამდვილეში კი პირველი არხის პროფესიონალიზმის დონე ყოველდღიურად კლებულობს და ყოველდღიურად იზრდება მისი მეგობრული კავშირი ხელისუფლებასთან. თუმცა, დღევანდელ დღემდე და კიდევ ცოტა ხანს, ალბათ, ტელემედიის სივრცეში მისი კვალიფიკაციის სერიოზული განხილვა დღის წესრიგიდან ამოვარდნილი იქნება.


სამეურნეო საბჭო მუშაობს.

რა არის ამის მიზეზი? დაახლოებით ორი-სამი კვირის წინ პარლამენტმა მომავალი საზოგადოებრივი ტელევიზიის სამეთვალყურეო საბჭოსთვის საქართველოს პრეზიდენტის მიერ დასახელებული კანდიდატები აირჩია. კანდიდატურების უმრავლესობა, ბუნებრივია, როგორც ყველა კომისიაში, საბჭოში თუ ბორდში (ყველა კრებით ადგილას, სადაც კენჭისყრით წყდება სტრატეგიული საკითხები) ერთმნიშვნელოვნად პრეზიდენტს ექვემდებარება (ბუნებრივია, უმრავლესობას ვგულისხმობ) და სამწუხაროდ დამოუკიდებელ ორგანოს არ წარმოადგენს. აქაც, ანუ საზოგადოებრივი ტელევიზიის სამეთვალყურეო საბჭოში სწორედ სააკაშვილის ფავორიტები მოხვდნენ, ამიტომ სამი თუ ოთხი ადამიანი (თამარ კინწურაშვილი, გია ნოდია და ლევან თარხნიშვილი), ვინც საბჭოს დემოკრატიულობის ილუზიას ქმნის, ცხადია, ოპტიმიზმის საშუალებას არ იძლევა. მაგრამ ფაქტებს წინ არ გავასწრებთ და მომავალი ახალი სტრატეგიის მიხედვით განვსჯით მათ კეთილსინდისიერებას. პესიმიზმის საბაბს ის ფაქტიც იძლევა, რომ დღევანდელ დღემდე სახელმწიფო ტელევიზიის თავმჯდომარე ბატონი ზაზა შენგელიაა. საზოგადოებაში სკეპტიციზმის ზღვარმა იქამდეც მიაღწია, რომ დღეს ვერავინ გამორიცხავს, რომ შენგელია შესაძლებელია, მომავალშიც ხელმეორედ გახდეს თავმჯდომარე. დღეს, ისევე როგორც ყველა მთვარობის, ასევე დღევანდელი ხელისუფლების სამსახურში ყველაზე ერთგულად, კიდევ ერთ დამოუკიდებელ "გამარჯვებული ხალხის ტელევიზიასთან" ერთად, სწორედ მისი ტელევიზია მსახურობს. მაგრამ არც მომავალ თავმჯდომარესთან დაკავშირებით ვიჩქარებთ დასკვნების კეთებას, ამისთვის ჩვენ ზუსტად ერთი თვე გვაქვს.

გუშინ საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლობის სამეურვეო საბჭომ საზოგადოებრივი მაუწყებლობის გენერალური დირექტორის თანამდებობაზე კონკურსის პირობები გამოაცხადა. მოთხოვნები არცთუ ისე მკაცრია. ბუნებრივია, უმაღლესი განათლება, რომელსაც ფრჩხილებში მინიშნებული აქვს (სასურველია საზოგადოებრივ, მეცნიერებების, ჟურნალისტიკის ან მენეჯმენტის დარგში). მეორე - სულ მცირე ხუთწლიანი სამუშაო გამოცდილება. შემდეგი ოდნავ საკამათოა: სასურველია საერთაშორისო ორგანიზაციებთან მუშაობის გამოცდილება. ვინაიდან ამ პუნქტს წინ ახლავს სიტყვა სასურველია, ამიტომ თავს შევიკავებთ შეფასებისგან, თუმცა ე.წ. NGO-ში მუშაობა რატომ გახდა პრიორიტეტი, ოდნავ გაუგებარია. მეოთხე და უკანასკნელი: სასურველია უცხო ენების ცოდნა.

ასეთია მოკლედ საზოგადოებრივი ტელევიზიის გენერალური დირექტორის თანამდებობაზე გამოცხადებული კონკურსის პირობები. დღეისათვის, როდესაც საბჭო მოხლოდ რამდენჯერმე შეიკრიბა კონკრეტულ სტრატეგიაზე, ჯერ ვერ საუბრობს. მხოლოდ ერთი გახდა ნათელი, იმ გადაცემების კონტრაქტები, რომელიც დღეს ეთერში გადის, მხოლოდ აგვისტოს თვემდეა ძალაში. როგორი იქნება მომავალში საზოგადოებრივი ტელევიზიის გადაცემების ნუსხა, ამის შესახებ მას შემდეგ შევიტყობთ, როდესაც არჩეული იქნება ახალი ხელმძღვანელი და გამოცხადდება ახალი ტენდერი, ახალი საბჭოს და თავმჯდომარის პირობებში.

# "ფექ-მენი" წარმატების მწვერვალზე


"ფექ-მენს" ყველგან თამაშობენ.

25 წელი... მშვენიერი ასაკია, თითქოს ბევრიც არის და წინ კიდევ რამდენია გასავლელი. "ფექ-მენიც" ასე ფიქრობს. დიახ, "ფექ-მენი" სასაცილო მოჩვენებების - ინქი, ბლინქი, ფინქი და ქლაიდის ოთხეული. ისინი წელს 25 წლის გახდნენ და, სხვა კომპიუტერული თამაშებისგან განსხვავებით, თავს მოხუცებად სულაც არ გრძნობენ. არც პოსტთინეიჯერულ კრიზისს განიცდიან. პირიქით, 25 წლის ასაკში "ფექ-მენი" მეორედ დაიბადა და მობილური ტელეფონების საყვარელ თამაშად იქცა. წელს მას გინესის მსოფლიო რეკორდების წიგნშიც ყველა დროის ნომერ პირველ ავტომატის თამაშად შეიტანენ. ჩიკაგოს მეცნიერებისა და ინდუსტრიის მუზეუმში კი მას სექტემბრამდე გამოფენასაც მიუძღვნიან, სათაურით "თამაში დაიწყო". ზაფხულის ბოლოს კი კომპანია Namco - პირველი "ფექ-მენის" დისტრიბუტორი 3-განზომილებიან სივრცეში გაკეთებულ "ფექ-მანიას" გამოუშვებს. კომპანიის გენერალური მენეჯერი სკოტ რუბინი "ფექ-მენს" დიდხანს სიცოცხლეს უსურვებს და მისი წარმატების საიდუმლოს ასე ხსნის:

"შეიძლება, ვერც გაიაზროთ, მაგრამ "ფექ-მენი" ყველგანაა. ამიტომაც არის ის შეუცვლელი". და მართლაც, "ფექ-მენი" ამერიკაში აბსოლუტურად ყველგან და ყველასთვისაა - გოგონებისთვისაც და ბიჭებისთვისაც, კაცებისთვისაც და ქალებისთვისაც, ყველასთვის 5-იდან 95 წლამდე. არის პატარა ქალაქ კლარენდონის პერიფერიულ კაფეშიც - ავტომატის თამაშის სახით და არის ვაშინგტონის რესტორანშიც - იგივე ფორმით.

"ფექ-მენის" მოკლე ისტორია ასეთია: ის 1980 წლის ივნისში, იაპონიაში დაიბადა, შემდეგ ამერიკაში იმოგზაურა. მისი ავტორი კლასიკური თამაშის "გალაქსიანის" შემქმნელი ტორუ ივატანი გახლავთ. "ფექ-მენის" შესაქმნელად მას "გასტრონომიული მუხტი" ჰქონდა: დაინახა მრგვალი პიცა, რომელსაც ერთი ნაჭერი აკლდა და იდეაც ასე გაჩნდა. სიტყვა Puck Man იაპონური ფრაზიდან - paku-paku (პირის გაღებას და დახურვას ნიშნავს) - ასე უწოდეს პირველად თამაშს, მაგრამ შემდეგ, უხერხული ლექსიკური ცვლილებები რომ არ გამოეწვია (Puck ბოროტ სულსაც ნიშნავს), Puck Pac-ად გადააკეთეს.

ამერიკაში ჩასვლის დღიდანვე paku-paku ნამდვილი ჰიტი გახდა. მან ყველა სხვა თამაში უკან ჩამოიტოვა: "სფეის ინვეიდერსიც", "ასტეროიდსიც" და "გალაგაც". "ფექ-მენს" ქალბატონი "ფექ-მენი" მოჰყვა. დღეს ისინი კვლავ ცოლ-ქმარი არიან, კვლავაც ერთად. ამერიკელები, იაპონელები და დანარჩენები კი დღემდე სიამოვნებით ხარჯავენ წლებს "ფექ-მენის" თამაშზე, ყიდულობენ "ფექ-მენის" გამოსახულებიან ბანქოს, მიირთმევენ "ფექ-მენის" თემატიკით დამზადებულ დილის ფაფებს, კითხულობენ ბესტსელერ წიგნებს: "დავხელოვნდეთ ფექ-მენში", "როგორ გავიმარჯვოთ ფექ-მენში".

არსებობენ "ფექ-მენის" მანიით შეპყრობილებიც. მაგალითად, 29 წლის ამერიკელი ბრენდონ მაქელიფი. ის ფლორიდის შტატში, ფორტ უოლტონ ბიჩის სკოლაში სწავლობდა. გაკვეთილების შემდეგ პირდაპირ პიცერიაში მიდიოდა და "ფექ-მენს" ავტომატის თამაშზე საათობით თამაშობდა. დღეს ის რესტორან "უანდერლენდის" მენეჯერია და იგივე ცხოვრების წესი აქვს. "ერთხელ აქ შეყვარებულიც მოვიყვანე პაემანზე. ვითამაშეთ. ცხადია, იმ დღეს მას გავამარჯვებინე, თორემ..."

ეს თამაში მოთმინებაზეა, - განმარტავს მაქელიფი, - შენ ჭამ კოპლებს ისე სწრაფად, როგორც შეგიძლია, მაგრამ თან ელოდები მოჩვენებებსაც და ითმენ, სანამ სხვა მიმართულებით არ წავლენ. "პარალელურად ბონუსების "შეჭმაც" უნდა შეგეძლოს. ალუბალზე 100 ქულაა, მარწყვზე - 200 ქულა, ფორთოხალზე - 500 ქულა და ა.შ. ანუ თამაში ასეთია - სტარტი, ჭამა, ჯდომა, მოთმინება. შემდეგ ყველაფერი თავიდან. ცხოვრებაც ასე არ არის?" - ფილოსოფოსობს მაქელიფი და თან ჟურნალისტების წინაშე თამაშობს. პირველ ეტაპზე ქულების მაქსიმუმს აგროვებს - 14.600, მეორე ეტაპზე - 252 ათასს, მაგრამ ეს რეკორდთან ახლოსაც ვერ მიდის, ამიტომ სირცხვილისგან წითლდება და აზრს აგრძელებს: "აბა, რა გითხრათ? 30 წელს მივუკაკუნე, მაქვს ფილოსოფოსის დიპლომი და ძალიან ბევრი რამ ვიცი "ფექ-მენის" შესახებ".

სხვები მაქელიფზე უკეთეს შედეგსაც აჩვენებენ. 39 წლის ფლორიდელმა ბილი მიტჩელმა 1999 წლის ივლისში "ფექ-მენი" ექვსი საათის განმავლობაში ითამაშა. გაიარა ყველა - 256-ივე ეტაპი, "შეჭამა" აბსოლუტურად ყველა ბონუს-პრიზი, გაანადგურა ყველა მოჩვენება და დააგროვა 3.333.360 ქულა.

"ნამდვილად დიდი გამარჯვებაა", - ასეთია უოლტერ დეის შეფასება, რომელიც ვიდეოთამაშების რეკორდების წიგნს უკვე 25 წელია, რედაქტორობს. დეი ერთ რომანტიზებულ შედარებასაც აკეთებს და ამბობს: "ჩემთვის "ფექ-მენი" ვიდეოთამაშების ეპოქის აბრაამ ლინკოლნია. თავად განსაჯეთ: ლინკოლნი გახლავთ იმის საუკეთესო მაგალითი, თუ როგორ შეძლო ერთმა ინდივიდუალისტმა მოკრძალებული, შეუმჩნეველი სტარტიდან წარმატების მწვერვალზე მოქცეულიყო. "ფექ-მენიც" ასეთივე ინდივიდუალისტი მოთამაშეა. მასზე ფიქრობდნენ, რომ ერთი რიგითი თამაში იყო, არადა, უკვე 25 წლისაა და დღევანდელი წარმატებებითაც ყველას უმტკიცებს, რომ გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე ჩვეულებრივი და რიგითი".

ასე რომ, "ფექ-მენი" 25 წლისაა, ჯერაც ახალგაზრდა, ამავე დროს ვიდეოთამაშების ნათლია და ბევრის მაგალითი.

სამეფო უბნის თეატრი
თბილისის I კლასიკური გიმნაზიის საბალეტო სტუდია
საინვესტიციო კომპანია A WORD წარმოგიდგენთ
გენერალური სპონსორი
25-26 ივნისი
საძაგელი იხვის ჭუჭული
სტუდიის ხელმძღვანელი – მაკა მახარაძე

დასაწყისი 17 და 19 სთ-ზე
მისამართი: გია აბესაძის №10
ტელ.: 92 38 70
თანადგომისთვის მადლობას ვუხდით სპონსორებს
პიკოვიტი Pikovit
KRKA კრკა
PSP ჯგუფი GMP

ნინია კაკაბაძის სვეტი

# ტაში დიდ ბელადს!



ხალხის მიერ არჩეული მერი, ვინც არ უნდა იყოს ის, სერიოზული მეტოქე იქნება საქართველოს პრეზიდენტის, ამიტომ საკვირველი არ არის, რომ დღევანდელი ხელისუფლება და მათ შორის პრეზიდენტიც ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ ეს არ მოხდეს. თუმცა, არა მგონია, მხოლოდ ეს იყოს ატეხილი დებატების საბაბი, ვინაიდან ვერაფრით ვიტყვი, რომ დღევანდელი მთავრობა არჩევნებს ვერ ან არ გააყალბებს და თბილისის მერის პოსტზე საკუთარ კანდიდატურას არ დასვამს. საკითხი მეტად მნიშვნელოვანი და ხელისუფლებისათვის პრობლემატურია, ვინაიდან საქართველოში იმის გამოცდილებაც არსებობს, თუ როგორ შეიძლება გახდეს პრეზიდენტის ფავორიტი მისი დაუძინებელი მტერი. შორს რომ არ წავიდეთ, ისიც საკმარისია, შევარდნაძე-სააკაშვილის ახლო ისტორია გავიხსენოთ. ამიტომ ასეა თუ ისე არჩეული მერი დღეს ხელისუფლებას არ უნდა, მაგრამ უნდა ოპოზიციას და უნდა ხალხს. არ ვიცი, რამდენად რეალურია დღეს ხალხის ქუჩაში გამოსვლა, მაშინ როდესაც მხოლოდ წელიწადნახევარი გავიდა ნოემბრის რევოლუციის შემდეგ და ხალხი მიუხედავად ცხოვრების კიდევ უფრო რთული პირობებისა, ემოციებისგან დაცლილი, ფრუსტრირებულ მდგომარეობაში იმყოფება. ფაქტი ერთია, თუკი ვინმე გაბედავს და რეფერენდუმს ჩაატარებს საკითხზე - მერი თბილისის მოსახლეობამ უნდა აირჩიოს თუ, სიტყვაზე, მიხეილ მაჭავარიანმა, შედეგი წინასწარ არის ცნობილი და ეს ისეთი შედეგი იქნება, რომლის გაყალბებასაც ხელისუფლება ვერაფრით მოახერხებს. ამ შემთხვევაში მათ ახალი ბიულეტენების თავიდან, საკუთარი ხელით შევსება მოუხდებათ.

მოდელი, რომელსაც ასე დიდსულოვნად გვაწოდებს და თანაც გვაყვედრის უმრავლესობა, რასაკვირველია, ხელისუფლების მომავალ გარანტიებზე მიგვითითებს, რომელსაც ისინი კიდევ ოთხი წლით მიიღებენ დედაქალაქში. ერთ-ერთ ტელედებატებში დავით ბერძენიშვილმა ძალიან მარტივად განმარტა ის, რასაც მე პირველ პირში მოგახსენებთ. თუკი მე, როგორც ამ შემთხვევაში ამ ქალაქის რიგითმა მოქალაქემ, წარმოდგენილ სიებში ხმა მივეცი, მაგალითად, კონსერვატორებს და ჩემთან ერთად მათ ხმა მისცა 30 პროცენტმა, მაგრამ ნაციონალურმა მოძრაობამ მოიპოვა 31 პროცენტი (რომელიც გაყალბებისას კიდევ უფრო ადვილი მისაღები იქნება, ერთი პროცენტის წამატება ყოველთვის უფრო ადვილია), მე ვრჩები თამაშგარე მდგომარეობაში, ჩემი ხმა გაუქმებულია და ჩემთან ერთად იმ რამდენიმე ათასი ადამიანის, ანუ მთელი 30 პორცენტის. ეს პირობები არა მგონია, დემოკრატიული იყოს. ეს რაც შეეხება საკრებულოს არჩევნებს. ახლა რაც შეეხება დემოკრატიას.

უმრავლესობის აქტივისტები მერის არჩევითობის საკითხზე საუბრისას ძირითადად ამ ფრაზას წარმოთქვამენ: ასე არის სხვადასხვა დემოკრატიულ ქვეყნებში. პირველ რიგში მინდა აღვნიშნო, რომ საქართველო სამწუხაროდ ჯერ არ არის დემოკრატიული ქვეყანა. ამიტომ მუდმივად პარალელების გავლებას, სჯობს, მეტად დემოკრატიული ნაბიჯები გადავდგათ. მეორე - ჩავთვალოთ, რომ ქვეყანა დემოკრატიულია, მერის არჩევნები არა მგონია, ჩვენ დემოკრატიულ მიზანსწრაფვებს გზას ულობავდეს და ხელს უშლიდეს. ვარდების რევოლუციის დღეებში არავინ ფიქრობდა, რომ ქვეყანა ერთ წელიწადში აშენდებოდა, მაგრამ, მგონი, არც არავინ ფიქრობდა, რომ იმჟამინდელი ოპოზიცია ასე თავგამოდებით იბრძოლებდა მერის არჩევითობის წინააღმდეგ. მე ვფიქრობ, ეს მართალც საგანგაშოა. როდემდე შეიძლება, მუდმივად ხმას ვაძლევდეთ რაღაც გაუგებარ სიებს, სადაც კანდიდატების შესახებ, გარდა გვარ-სახელისა, არავითარ ინფორმაციას ხალხი არ ფლობს. ახალი პოლიტიკური სახის გამოჩენა, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, საქართველოს პრეზიდენტის პირდაპირ კონკურენტად გვევლინება. ოთხმილიონიანი ქვეყნის ქალაქში, სადაც მილიონზე მეტია მოსახლეობა, ბუნებრივია, ამ ქალაქის მერი შთამბეჭდავ ბერკეტს იღებს ხელში და მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებშიც რეალური შანსებით სარგებლობს; სხვადასხვა დემოკრატიულ ქვეყნებში ამის გამოცდილებაც არსებობს. მაგრამ ისევ გავიხსენოთ, რომ ჩვენ არ ვცხოვრობთ დემოკრატიულ ქვეყანაში, ჩვენ იმ ქვეყანაში ვცხოვრობთ, სადაც დეპუტატი გიორგი არველაძე "ჭეშმარიტებებს" ქადაგებს: "ჩვენ არ ავირჩევთ მერს რამდენიმე წლით, გარანტირებულად, ჩვენ ყოველთვის გვექნება მისი გადაყენების უფლება". ბატონ არველაძეს საუბარში ეპარება პირის პირველი ნიშანი - ჩვენ, რაც იმას ნიშნავს, რომ მაშინ, როდესაც პრეზიდენტს და უმრავლესობას არ მოეწონება მერის ქმედება, სწორედ ისინი, კანონის მეშვეობით, სასწრაფოდ გადააყენებენ მას. ისევ ისინი მიიღებენ გადაწყვეტილებას ჩვენს ნაცვლად.

საქართველოს გმირები უყვარს, დღევანდელ გმირსაც უყვარს გმირის ამპლუაში ყოფნა. მიუხედავად მომწიფებული პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ოპოზიციისა, ჩვენი ქვეყნის გმირი პოზიციებს ასე მარტივად არ დათმობს და ჩვენი დროის გმირად მხოლოდ კირკიტაძეს და მსგავს ანტიგმირებს გამოაცხადებს. სამწუხაროდ, უშიშარი და უკომპრომისო მიხეილ სააკაშვილისგან სულ რაღაც წელიწადნახევარში ჩვენ მშიშარა პრეზიდენტი მივიღეთ. თავისუფლებისა და დემოკრატიული ქვეყნის მოსურნე ხალხმა კი ავტოკრატიული ქვეყანა მიიღო, სადაც დღეს და კიდევ რამდენიმე წლის განმავლობაში ხალხი არც არჩევანს გააკეთებს და არც პასუხს აგებს საკუთარ არჩევანზე.

ამგვარი განცხადებების საბაბს უამრავი ფაქტი იძლევა. სამწუხაროდ, პარლამენტში უფერულ უმრავლესობას, რომელიც ასევე უფერულ "სპიკერებს" მხოლოდ ტაშს უკრავს, ერთადერთი მოვალეობა აკისრია - გაახმოვანოს პრეზიდენტის პოზიცია, შემდეგ მის სასარგებლოდ მიიღოს გადაწყვეტილება და ბოლოს, რაც ყველაზე შთამბეჭდავია - მქუხარე ტაში, ტაში დიდ ბელადს.

ინფოთეკა

### მარადონა "ბოკა ხუნიორსში" დაბრუნდა

"როიტერსის" ცნობით, მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდამ დიეგო მარადონამ თანხმობა განაცხადა, დაიკავოს არგენტინული გუნდის "ბოკა ხუნიორსის" ვიცე-პრეზიდენტის პოსტი. კლუბის პრეზიდენტის მაურისიო მარკის განცხადებით, მარადონა, რომელსაც ადრე ახალგაზრდული გუნდის მწვრთნელობას სთავაზობდნენ, ახალ თანამდებობაზე მოვალეობის შესრულებას წლეულს, პირველი აგვისტოდან შეუდგება.

"მარადონას აზრით, მას შეუძლია მნიშვნელოვნად დაეხმაროს პროფესიონალურ გუნდს. ის ასევე მონაწილეობას მიიღებს მთავარი მწვრთნელის არჩევნებში", - განაცხადა მარკიმ.

მარადონას მოვალეობებში შევა სატრანსფერო ოპერაციების ხელმძღვანელობა, საზღვარგარეთ ახალი ფეხბურთელების მოძიება, ასევე ახალი მთავარი მწვთნელის ყოველმხრივ მხარდაჭერა, მწვრთნელისა, რომელიც "ბოკას" ჯერჯერობით არ ჰყავს. შეგახსენებთ, გასულ კვირას გუნდის თავკაცმა ხორხე ბენიტესმა თანადებობა დატოვა.

როგორც ამბობებ, მარადონას ხელმძღვანელად მოყვანის ერთ-ერთი მიზეზი გახდა ის, რომ კლუბის ასი წლის იუბილეზე "ბოკა ხუნიორსმა" ლიბერტადორესის თასის ნახევარფინალშიც კი ვერ მოახერხა მოხვედრა.

44 წლის მარადონამ არცთუ ისე დიდი ხნის წინათ ჭარბწონიანობის გამო კუჭის ოპერაცია გაიკეთა და შედეგად, 33 კილოგრამი დაიკლო.

1986 წლის მსოფლიო ჩემპიონი ჯერ კიდევ ბავშვობაში გულშემატკივრობდა "ბოკა ხუნიორსს", შემდეგ კი თავად იცავდა ამ გუნდის ღირსებას. 1979 წელს ტოკიოში გამართულ ახალგაზრდულ მსოფლიო ჩემპიონატზე ის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს. მარადონა დაეხმარა თავის გუნდს ოქროს მედლის მოპოვებაში. ორი წლის შემდეგ "ბოკა ხუნიორსის" შემადგენლობაში მან არგენტინის ჩემპიონობა მოიპოვა.

ამგვარად, მარადონა თავის საყვარელ გუნდს კვლავაც დაუბრუნდა.

### "ჩელსიმ" "მილანს" შევჩენკოსთვის გამაოგნებელი თანხა შესთავაზა

ბრიტანული პრესის ცნობით, იმ დროს, როცა "მილანში" "ჩელსის" არგენტინელი ფეხბურთელის ერნან კრესპოს მომავალთან დაკავშირებით კვლავაც მიმდინარეობს მოლაპარაკება, ინგლისური კლუბის წარმომადგენლებმა იტალიელებს აცნობეს, რომ "ჩელსის" მფლობელი რომან აბრამოვიჩი მზადაა, რეკორდული თანხა გადაიხადოს "მილანის" უკრაინელი ფორვარდის ანდრეი შევჩენკოსთვის - საუბარია 57 მილიონ გირვანქა სტერლინგზე. ფეხბურთელის პირადი კონტრაქტის პირობების მიხედვით, წელიწადში შვიდი მილიონი გირვანქა სტერლინგის მიღებას, თავად კონტრაქტის ვადად კი ხუთ წელს ვარაუდობენ.

თავიდან იტყობინებოდნენ, რომ იტალიური კლუბის ხელმძღვანელობა დააბნია ასეთმა შეთავაზებამ, თუმცა, მოგვიანებით, Mirror-ის ცნობით, "მილანის" ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ ამ საქმე წერტილი დაუსვა: "ჩელსიმ" მართლაც შემოგვთავაზა შევჩენკოს გაყიდვა, მაგრამ ჩვენ უარი ვუთხარით. ყველამ უნდა გაიგოს, რომ შევა არ იყიდება".

### სერხიო რამოსი "სევილიის" დატოვებას არ აპირებს... ჯერჯერობით

"სევილიის" მცველმა სერხიო რამოსმა კიდევ ერთხელ აღიარა, რომ ძალიან ბედნიერი იქნებოდა ეთამაშა ისეთ დიდებულ კლუბში, როგორიც მადრიდის "რეალია", თუმცა, ისიც თქვა, რომ თავისი ამჟამინდელი გუნდის დატოვებას ჯერჯერობით არ აპირებს.

"თავს მშვიდად ვგრძნობ. ამ გუნდში ასრულდა ჩემი ოცნებები, იმედი მაქვს, აქ კვლავაც დავიხვეწები, როგორც ფეხბურთელი", - განაცხადა რამოსმა Radio Marca-სთან საუბრისას.

როგორც ჩანს, ფეხბურთელი "სევილიაში" ყოფნით მართლაც კმაყოფილია, თუმცა, სამომავლოდ სულ სხვა გეგმები აქვს - ძალების მოსინჯვა "სამეფო კლუბშიც" უნდა: "არ მეგულება ერთი ფეხბურთელიც კი, რომელმაც შეიძლება უარი თქვას "რეალში" გადასვლაზე. ჯერჯერობით არაფერი გამიგია იმაზე, რომ ამ დიდებულ გუნდს ჩემი შეძენა უნდა, არც არავინ დამკავშირებია", - აღნიშნა 19 წლის მცველმა.

# ვე... სბალღელები



# საქართველოს დღეს თექვსმეტგუნდიანი ჩემპიონატის რესურსი არ გააჩნია

რუბრიკას უძღვება
ნინო სვანიძე

*ჩვენი სტუმრები - თემურ ღაღანიძე და დავით ჭელიძე ფეხბურთის ფედერაციაში მომხდარ ცვლილებებსა და ქართული ფეხბურთის სავარაუდო მომავალზე მსჯელობენ.*

**დავით ჭელიძე:** "ფედერაციის პრეზიდენტის არჩევის პროცესი, რასაკვირველია, განსაკუთრებული დემოკრატიულობით გამორჩეული არ ყოფილა, მაგრამ თუ დანარჩენმა კანდიდატებმა და ფეხბურთის სხვა მესვეურებმა ასე მიიჩნიეს საჭიროდ და თუ ეს რაიმე დადებით შედეგს მოიტანს, ამაზე ხმის ამომღები არავინ იქნება"...

**თემურ ღაღანიძე:** "ყოველთვის მიმაჩნდა და ახლაც ასე ვფიქრობ: ფეხბურთს ფეხბურთელები თამაშობენ და არა ჩინოვნიკები; რა თქმა უნდა, ჩინოვნიკებზეა დამოკიდებული, რომ ფეხბურთელებს სათანადო პირობები შეუქმნან და ზედმეტი პრობლემები მოუხსნან, მაგრამ ის, რაც ჩვენ ყველას ძალიან გვინდა - ნამდვილი, ლამაზი, წარმატებული ქართული ფეხბურთი, ისევ და ისევ ფეხბურთელების ნიჭიერებასა და უნარზეა დამოკიდებული.

რაც შეეხება ფედერაციის ახალ პრეზიდენტს, მიუხედავად იმისა, რომ მას ამ სფეროში მუშაობის დიდი გამოცდილება არა აქვს, არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ ქვეყნის მთავრობამ სწორედ მას გამოუცხადა ასეთი ნდობა და, ალბათ, ეს ნდობაა ყველაზე მნიშვნელოვანი - ვგულისხმობ ფედერაციის თანხების განკარგვის უნარსაც და იმასაც, რომ თუ სახელმწიფო გადაწყვეტს ფეხბურთისთვის ფინანსურ მხარდაჭერას, ვფიქრობ, ნოდარ ახალკაცი ის კანდიდატია, რომელსაც ამ მხრივ თამამად ენდობიან.

**დავით ჭელიძე:** "ერთი სიტყვით, მომავალი გვიჩვენებს. თუმცა, ქართულ ფეხბურთს რომ ეშველოს, მთლიანად სისტემა უნდა აეწყოს და არა ერთი რომელიმე სფერო. უნდა გადავწყვიტოთ, ვაპირებთ თუ არა, გავხდეთ საფეხბურთო ქვეყანა. ჩემი აზრით, საქართველო არც არასოდეს ყოფილა საფეხბურთო ქვეყანა. ის, რომ ამ ქვეყანაში უნიჭიერესი ფეხბურთელები დაიბადნენ - მესხი, ყიფიანი, პაიჭაძე - სულაც არ ნიშნავს, რომ საფეხბურთო სისტემა ოდესმე მოგვარებული გვქონდა. ამ სისტემის მოგვარება ბევრ რამეს გულისხმობს - ბავშვთა ფეხბურთით დაწყებული და ნიჭიერი ტელეკომენტატორებით, ჟურნალისტებითა და მიმომხილველებით დამთავრებული. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, დაფინანსებაზეა დამოკიდებული; ფეხბურთი ხომ ძალიან ძვირი სიამოვნებაა. მხოლოდ სახელმწიფოს შემწეობის იმედად ფეხბურთი ვერ იარსებებს - მდიდარი ადამიანებიც უნდა ჩაერიონ მისი აღორძინების საქმეში"...

**თემურ ღაღანიძე:** "სად ჰყავს საქართველოს იმდენი და ისეთი მდიდარი ბიზნესმენები, რომ ფეხბურთის რჩენა შეძლონ; აღარაფერს ვამბობ ბიუჯეტზე... უამრავი ქვეყანაა ჩვენზე ასჯერ დიდი ბიუჯეტით, მაგრამ საფეხბურთო ქვეყნები მაინც არ არიან. ახლა ძალიან ძნელია ამაზე მსჯელობა"...

**დავით ჭელიძე:** "ლიტვის ბიუჯეტი საქართველოსას არც ისე მნიშვნელოვნად აღემატება, მაგრამ ლიტვა ოდითგანვე იყო და ახლაც არის საკალათბურთო ქვეყანა, იმიტომ, რომ სპორტის ეს სახეობა ნამდვილად უყვართ ამ ქვეყანაში. ბრაზილია რა, მდიდარია? უამრავი ადამიანი შიმშილობს, მაგრამ ფეხბურთი ძალიან უყვართ და უვლიან კიდეც"...

**თემურ ღაღანიძე:** "რა თქმა უნდა, ამ პირობებშიც შეიძლება, რომ ასე თუ ისე მიხედო ამ საქმეს. პირველ რიგში, მინდა ჩემი მოსაზრება გამოვთქვა 16-გუნდიანი ჩემპიონატის შესახებ, რაც ჯერჯერობით პროექტის დონეზეა, მაგრამ, შესაძლოა, რეალურადაც მოინდომონ მისი განხორციელება. პირადად მე დარწმუნებული ვარ, რომ საამისოდ საქართველოს დღეს არც მატერიალური რესურსი გააჩნია და არც სპორტული. ბუნებრივია, ყველას (მათ შორის მეც) გაეხარდება, თუ საქართველოს ჩემპიონატში სოხუმისა და ცხინვალის გუნდები მიიღებენ მონაწილეობას, მაგრამ, ჩემი აზრით, იმას, რომ სოხუმის გუნდი ფორმალურად არსებობდეს და სინამდვილეში თბილისში თამაშობდეს, ცხინვალის გუნდი კი - გორში, ვფიქრობ, რეალურად არსებული და თუნდაც ექვსგუნდიანი ჩემპიონატის გამართვა აჯობებდა"...

**დავით ჭელიძე:** "ალბათ, თექვსმეტგუნდიანი ჩემპიონატის გამართვასაც შევძლებდით, ანაზღაურების გამო უცხოეთის დაბალი რანგის გუნდებში მოთამაშე ყველა ქართველი ფეხბურთელის გამოხმობა და მათთვის ნორმალური ანაზღაურების შეთავაზება რომ მოგვეხერხებინა"...

**თემურ ღაღანიძე:** "რა თქმა უნდა, აქ კალაძეზე, არველაძესა და კობიაშვილზე არ არის ლაპარაკი; ისეთ ფეხბურთელებს ვგულისხმობ, რომლებიც ოდნავ მაღალი ხელფასისთვის დაბალი რანგის უცხოურ გუნდებში არიან გადახვეწილი, სინამდვილეში კი საქართველოს ჩემპიონატის დონეს მშვენივრად გაართმევდნენ თავს და ქვეყანას გამოადგებოდნენ; ოღონდ ნურავინ იფიქრებს, რომ 100 და 200-ლარიანი ხელფასით დააინტერესებენ ამ ფეხბურთელებს"...

**დავით ჭელიძე:** "ალბათ, სულ ცოტა, 2000 ლარი მაინც უნდა შესთავაზონ თვეში"...

**თემურ ღაღანიძე:** "ყოველ შემთხვევაში, იმდენი, რომ ოჯახის რჩენა პრობლემად არ ექცეთ და ელემენტარული მოთხოვნების დაკმაყოფილება შეეძლოთ".

**დავით ჭელიძე:** "ამის მოხერხება არც ისე ძნელია, თუ სახელმწიფოს სურვილიც იქნება და შესაბამისი რგოლებიც მოინდომებენ"...

**თემურ ღაღანიძე:** "თანაც, ყველანაირი დაფინანსება, ალბათ, უფრო ჭკვიანურად და პრაქტიკულად უნდა მოხდეს. მაგალითად, ქუთაისის "ტორპედოს" და მის მწვრთნელს გაბელიას არაჩვეულებრივი მიღწევები ჰქონდათ. შემდეგ ამ გუნდს დაფინანსება შეუწყვიტეს და, იმის ნაცვლად, რომ უკვე არსებული ამ კარგი გუნდისთვის მიეხედათ, იქვე, ორმოცდაათ კილომეტრში მდებარე ზესტაფონში ვითომ ახალი გუნდი შექმნეს. ასევე შეუწყდა დაფინანსება ფოთის "კოლხეთსაც", არადა, ახალი და გაუგებარი გუნდები იქმნება. ეს ყველაფერი, რასაკვირველია, სერიოზულ დაფიქრებას და ზრუნვას საჭიროებს".

**დავით ჭელიძე:** "არ ვიცი, ჩვენს ქვეყანაში რამდენად რეალურია ამის განხორციელება, რადგან ეს ისევ ფინანსებთანაა დაკავშირებული, მაგრამ, საერთოდ, ძალიან კარგი იდეაა საქართველოში სათადარიგო ნაკრები გუნდის შექმნა, რომელშიც ლეგიონერები კი არა, ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელები გაერთიანდებიან"...

**თემურ ღაღანიძე:** "დიდი ხანია ეს იდეა აქვს ყოფილ ფეხბურთელს ვაჟა ჟვანიას და ამაზე ბევრი გვისაუბრია. რა თქმა უნდა, ძალიან კარგი იქნება ასეთი სათადარიგო ნაკრები გუნდის არსებობა, რომელიც გარკვეულ საერთაშორისო გამოცდილებას ამხანაგური მატჩებისა და სხვა შასაბამისი შეხვედრების ხარჯზე მიიღებდა. მაგალითად, გერმანიაში ასეთი გამოცდილება არსებობს - ლეგიონერ ფეხბურთელთა ნაკრები ცალკე, და ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეთა ნაკრები ცალკე; ამ გუნდებს ხშირად ერთმანეთს აჯიბრებენ და ეს გამოცდილება ძალიან ამართლებს. ასეთი რამ ქართველ ფეხბურთელებსაც წაადგებოდათ, თუნდაც იმის გამო, რომ ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელები საერთაშორისო გამოცდილებას შეიძენდნენ, რაც ასეთი აუცილებელია მათთვის. თუნდაც იმის აღნიშვნაც კმარა, რომ საერთაშორისო მატჩების დროს საქართველოს ნაკრებში მოთამაშე ფეხბურთელებიდან გოლები ყოველთვის ლეგიონერებს გააქვთ; წლების განმავლობაში არ ყოფილა შემთხვევა, რომ მეტოქის კარში არალეგიონერ ქართველ ფეხბურთელს გაეტანოს გოლი".

ფორმულა 1

# BMW "ზაუბერს" დაქოქავს

*გერმანულმა ავტოკონცერნმა BMW-მ ფორმულა 1-ის ბინადრის "ზაუბერის" საჯინიბოს შესყიდვის თაობაზე ოფიციალურად განაცხადა და სამეფო რბოლებისკენ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა. მომავალი სეზონიდან BMW-ს ფორმულა 1-ში საკუთარი გუნდი ეყოლება, გუნდი, რომელიც "ზაუბერთან" ერთად შეიქმნება.*



"ბმვ"-მ "უილიამსს" ზურგი შეაქცია.

რამდენიმე კვირით ადრე ცნობილი იყო, რომ 2006 წლიდან გერმანული ავტოკონცერნი "ზაუბერს" საკუთარი ძრავებით მოამარაგებდა. ამ თემასთან დაკავშირებით არაერთგვაროვანი მოსაზრებები ისმოდა. ოთხშაბათს, BMW-ს მმართველთა სხდომაზე ვითარება გაირკვა: გერმანულმა ავტოკონცერნმა "ზაუბერის" აქციები შეისყიდა და ფორმულა 1-ში საკუთარი გუნდის მეპატრონედ მოგვევლინა. მხარეთა დუმილის გამო უცნობია შეთანხმების ფინანსური პირობები. თუმცა, ზოგიერთები დაახლოებით თანხას მაინც ასახელებენ - 200 მილიონ ევროს! ამასთან, გაურკვეველი რჩება ისიც, თავისთან წაიყვანენ თუ არა გერმანელები უილიამსელ ნიკ ჰაიდფელდს.

ამასობაში "უილიამსმა" BMW-ს ერთადერთი კლიენტის სტატუსი დაკარგა. თუმცა, ამბობენ, შესაძლოა, უილიამსელებმა კვლავაც მიიღონ გერმანული ავტოკონცერნისგან ძრავებიო. და კიდევ, იმ შემთხვევაში, თუ BMW-სა და "უილიამსს" შორის თანამშრომლობა გაგრძელდა, იგი, უწინდელისგან განსხვავებით, ისეთი მჭიდრო აღარ იქნება - საჯინიბოს ხელმძღვანელი ფრენკ უილიამსი, ალბათ უფრო ახალი პარტნიორის - ძრავებით მომმარაგებლის ძებნას შეუდგება.

ფრენკ უილიამსს ძრავების მოსამარაგებლად მოლაპარაკება უკვე გაუჩაღებია "ჰონდასთან", რომელთან მუშაობის გამოცდილებაც აქვთ უილიამსელებს. უილიამსელთა ადრეული, 80-იან წლებში მოპოვებული წარმატებები სწორედ "ჰონდასთან" თანამშრომლობის შედეგია.

"BMW-სთან პარტნიორობა "ზაუბერისთვის" იდეალური გადაწყვეტილებაა, - აღნიშნავს პეტერ ზაუბერი, - როდესაც ვამბობ "ზაუბერს", მხედველობაში მაქვს არა მარტო გუნდი, არამედ საკუთარი თავიც. ჩემთვის არაერთხელ უკითხავთ მემკვიდრის თაობაზე. ახლა ეს პრობლემა მოგვარებულია. ბედნიერი ვარ იმით, რომ შემიძლია გუნდი საიმედო ხელს გადავცე. წლის ბოლოს გერმანულ ავტოკონცერნს მმართველობასაც გადავცემ, მაგრამ გუნდში მაინც დავრჩები როგორც კონსულტანტი".

BMW-Motosport-ის დირექტორი მარიო ტეისენის თქმით, ზაუბერელებთან საქმის დაჭერის თაობაზე საქმის კურსში იყო ფრენკ უილიამსიც: "ამგვარ გადაწყვეტილებზე გასული სეზონის ბოლოდან ვფიქრობდით. გადაწყვეტილებისთვის ორი მიზეზი გვქონდა. პირველი: ძრავის ზეგავლენა სრულ პაკეტზე უმნიშვნელო გახდა. მანქანა, საბურავები და მრბოლები ახლა უფრო დიდ როლს ასრულებენ, ვიდრე ადრე. მეორე: წარმატების მიღწევა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც სრული პაკეტი ოპტიმალურია.

...თავდაპირველად ჩვენს შორის საუბარი მხოლოდ ძრავებით მომარაგებაზე მიმდინარეობდა. მერე მოლაპარაკებებმა მასშტაბები შეიძინა. ბევრი საერთო ვიპოვეთ. "ზაუბერში" ვნახეთ ბოლიდის განვითარების სოლიდური საფუძველი.

თანამშრომლობას 2006 წლის 1 იანვრიდან შევუდგებით.

რაც შეეხება "უილიამსს", მართალია, მათთან ერთად გვიზეიმია წარმატებები, მაგრამ ეს ადრე იყო. წლეულს კი ჩვენი მოლოდინი არ გამართლდა. მოხარული ვიქნებით, თუ გაისად "უილიამსი" სამეფო რბოლებში კვლავაც BMW-ს ძრავებით გამოვა, რომელთან დაკავშირებითაც მოლაპარაკებები უკვე მიმდინარეობს".

ინფოთეკა

### ტომასონი - "ლივერპულისა" და "არსენალის" ინტერესის ობიექტი

იტალიური წყაროები იტყობინებიან, რომ "მილანის" დანიელი თავდამსხმელის იონ დალ ტომასონის მიმართ დიდ ინტერესს იჩენს ორი ინგლისური კლუბი - "ლივერპული" და "არსენალი". იმასაც ამბობენ, რომ, შესაძლოა, იტალიური გუნდის მთავარმა მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ ტომასონს "სან-სიროს" დატოვების ნება მისცეს, განსაკუთრებით მაშინ, თუ ერნან კრესპო მათთან დარჩება. იტალიური პრესის ცნობით, მოცემულ მომენტში დანიელი ფორვარდი ათ მილიონ ევროდაა შეფასებული.

### ანდრადეს "ნიუკასლში" გადასვლა არ უნდა

პორტუგალიის ეროვნული ნაკრებისა და "დეპორტივოს" მცველმა ჟორჟი ანდრადემ უარი განაცხადა "ნიუკასლში" გადასვლაზე. 27 ფეხბურთელს მხოლოდ "მანჩესტერ იუნაიტედში" სურს თამაში: "ინგლისში თამაში მინდა, მაგრამ არა "ნიუკასლში", არამედ "მანჩესტერ იუნაიტედში". ძალიან მინდა სერ ალექს ფერგიუსონის ხელმძღვანელობით ვითამაშო. თუ მანკუნიანელები ჩემით დაინტერესდებიან, დიდი სიამოვნებით დავთანხმდები. "ნიუკასლი" კი არ მხიბლავს. იქ გადასვლას ისევ "დეპორტივოში" ყოფნა მირჩევნია", - განაცხადა ანდრადემ.

**მოამზადა ნინო ტიკარაძემ**

TV სპორტი

### პარასკევი. 24 ივნისი

**НТВ+ФУТБОЛ**
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 ლიბერტადორესის თასი. ნახევარფინალი. "ატლეტიკო პარანენსე" (ბრაზილია) - "გვადალაჰარა" (მექსიკა). პირველი მატჩი
14:00 მსოფლიო ჩემპიონატი ახალგაზრდულ გუნდებს შორის. 1/8 ფინალი. ნიგერია - უკრაინა
15:45 თავისუფალი დარტყმა
16:00 მსოფლიო ჩემპიონატი ახალგაზრდულ გუნდებს შორის. 1/8 ფინალი. ჰოლანდია - ჩილე
18:00 ბრაზილიის თასი. მატჩების მიმოხილვა
18:30 "FUTBOL MUNDIAL"
19:00 თავისუფალი დარტყმა
19:15 სახვალიო ტელეპროგრამა
19:25 მსოფლიო ჩემპიონატი ახალგაზრდულ გუნდებს შორის. მეოთხედფინალი. მაროკო - იტალია. პირდაპირი ტრანსლაცია
21:25 "საფეხბურთო კლუბი"
22:25 მსოფლიო ჩემპიონატი ახალგაზრდულ გუნდებს შორის. მეოთხედფინალი. გერმანია - ბრაზილია. პირდაპირი ტრანსლაცია
00:25 ლიბერტადორესის თასი. ნახევარფინალი. "ატლეტიკო პარანენსე" (ბრაზილია) - "გვადალაჰარა" (მექსიკა). პირველი მატჩი

**НТВ+ПЛЮС**
10:00, 15:45, 18:30 პრესცენტრი
10:20, 18:45 "ქრონიკა"
10:25 "ჰარმონიის ფორმულა"
11:30 ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი. შესვენებისას (13:00) - პრესცენტრი
13:45 ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი. შედეგები
14:15 აფროსნობა. "ამერიკის თასი". მეოთხე აქტი ვალენსიაში
14:45 NBA-ს საკალათბურთო მიმოხილვა
15:15 "სპორტის აკვატორია"
16:55 ცურვა. რუსეთის ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია
18:55 სახვალიო ტელეპროგრამა
19:00 კალათბურთი. NBA-ს ჩემპიონატი. ფინალი. "SAN ANTONIO SPURS" - "DETROIT PISTONS". მე-7 მატჩი
21:00 NBA-ს ფინალი. "ექო"
21:30 ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი. პირდაპირი ტრანსლაცია ინგლისიდან
00:00 ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი. შედეგები
00:30 ახალი ამბები
00:45 კეკუსინკაი კარატე-დო. რუსეთის ჩემპიონატი

**EUROSPORT**
10:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. "აკროპოლისის რალი"
11:00 მულტისპორტი - აი, მესმის!
11:30 ფრენბურთი. მსოფლიო დიდი პრიზი იაპონიაში. ბრაზილია - კორეა
13:00 ფრენბურთი. მსოფლიო დიდი პრიზი იაპონიაში. იაპონია - პოლონეთი. პირდაპირი ტრანსლაცია
14:45 მოტოსპორტი. ჰოლანდიის დიდი პრიზი. პირდაპირი ტრანსლაცია
18:00 კანოე. ევროპის ჩემპიონატი სლოვენიაში. პირდაპირი ტრანსლაცია
19:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში. პირდაპირი ტრანსლაცია
21:00 ფრენბურთი. მსოფლიო დიდი პრიზი იაპონიაში. იაპონია - პოლონეთი
22:00 ფეხბურთი. კონფედერაციის თასი გერმანიაში
22:30 მსოფლიოს უძლიერესი ადამიანები. შვედეთი
23:30 მსოფლიოს უძლიერესი ადამიანები. ფინეთი
00:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. "აკროპოლისის რალი"
01:00 ფეხბურთი. კონფედერაციის თასი გერმანიაში. მიმოხილვა
01:30 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
02:00 ახალი ამბები
02:15 თავგადასავალი
02:45 ფეხბურთი. კონფედერაციის თასი გერმანიაში
03:15 ახალი ამბები

ფეხბურთი

# ეროვნული სულისკვეთება კომფორტით იწყება

## ფედერაცია ცვლას ამზადებს



სფფ-ის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი პრესკონფერენციაზე.

მიხეილ აბაიშვილი

სანაკრებო დონეზე ქართულ ფეხბურთს, შეიძლება ითქვას, ერთი მეტ-ნაკლებად სერიოზული მიღწევა აქვს. ეს მოხდა 1997 წელს, როდესაც საქართველოს 17 წლამდელთა ნაკრებმა ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალში გაიმარჯვა. არც მანამდე, არც მას შემდეგ, ეროვნული დროშის ქვეშ მოასპარეზე ქართველ ფეხბურთელებს ამასთან მიახლოებული მიღწევაც არა აქვთ. სულ მოკლე ხანში 17 წლამდე ასაკის ქართველ ფეხბურთელებს იგივე წარმატების გამეორების შანსი ეძლევათ. 2-დან 9 ივლისამდე იტალიის საკურორტო ქალაქ ინიანოში გაიმართება ევროპის მე-10 ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი, რომელშიც ქართველი ფეხბურთელებიც მიიღებენ მონაწილეობას. ამასთან დაკავშირებით გუშინ დიდ დიღომში მდებარე საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდების ტექნიკურ ცენტრში პრესკონფერენცია გამართეს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა, ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალში მონაწილე გუნდის მთავარმა მწვრთნელმა კობა ჟორჟიკაშვილმა და საქართველოს ოლიმპიური დელეგაციის ხელმძღვანელმა კოტე ღლონტმა.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ და მისმა ახალმა პრეზიდენტმა ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ 17 წლამდელთა ნაკრები ისეთ პირობებში მომზადებულიყო, როგორშიც ქვეყნის პირველი გუნდი - ეროვნული ნაკრები გადის საწვრთნელ შეკრებას.

"გუნდი სრული შემადგენლობით 19 ივნისს, ტექნიკურ ცენტრ "ბასაში" შეიკრიბა. ფედერაციამ ყველაფერი გააკეთა, რომ ფეხბურთელებს კომფორტულად ეგრძნოთ თავი. ამისთვის ისეთ ნიუანსებსაც კი ვაქცევთ ყურადღებას, როგორიცაა ავტობუსით გადაადგილება. 17 წლამდელები ეროვნული ნაკრების "მერსედესის" ავტობუსით გადაადგილდებიან. ტექნიკურ ცენტრში ჯერ მაღალი ხარისხის მოედანი არ არის, რის გამოც საწვრთნელი პროცესი დიღომში, "დინამოს" სავარჯიშო მოედანზე მიმდინარეობს. დიდ მადლობას ვუხდი თბილისის "დინამოს" ხელმძღვანელობას, რომელმაც დაგვითმო საკუთარი ბაზა", - აღნიშნა ნოდარ ახალკაცმა.

პირობები პირობებად, თუმცა, იყო ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომლის გადაწყვეტაც ბოლო მომენტში, ოლიმპიური კომიტეტის ჩარევით გახდა შესაძლებელი.

"ოლიმპიურ ფესტივალში დაშვებული იყვნენ 1988 წელს დაბადებულები, მაგრამ ფედერაციის წინა ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ გამოეყვანა 1989 წელს დაბადებული ფეხბურთელებით დაკომპლექტებული გუნდი. მიზეზად ის დასახელდა, რომ 1988 წელს დაბადებულებს წელს არც ერთი მნიშვნელოვანი ტურნირი არა აქვთ, ხოლო 89-იანებს შემოდგომაზე ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი ელით, ოლიმიური ფესტივალი კი მათთვის გამოცდილების შეძენის კარგი საშუალება იქნებოდა. ამ მოსაზრებას კატეგორიულად არ ვეთანხმები. საქართველოს ყველა ასაკობრივი ნაკრები გუნდის მთავარი მიზანია, ეროვნული ნაკრებისთვის მოამზადოს მაღალი კლასის ფეხბურთელები. ჩვენ ასეთი სტრატეგია გვაქვს არჩეული. ასე რომ, ამ სტრატეგიიდან არც 1988 წელს დაბადებული ფეხბურთელები უნდა ამოვარდნენ. დიდი შრომა დაგვჭირდა იმისთვის, რომ ოლიმპიური ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტში სფფ-ს წინა ხელმძღვანელობის მიერ წარდგენილი განაცხადი შეგვეცვალა. საბედნიეროდ, ამას ნაწილობრივ მივაღწიეთ. იტალიაში გასამგზავრებელი გუნდის 10 ფეხბურთელი 1988 წელს არის დაბადებული, 6 - 1989 წელს. ის კომფორტი, რომელზეც ვსაუბრობდი, იმ მიზნით შევუქმენით ნორჩ ფეხბურთელებს, რომ მათ იგრძნონ ის ატმოსფერო, რომელიც ეროვნულ გუნდშია შექმნილი. მეტიც - ყველა ასაკობრივ ნაკრებში უნდა დაინერგოს ეროვნული სულისკვეთება. გუშინ ეს გუნდი ეროვნულ მუზეუმში იყო და ეცნობოდა, თუ რა დიდი კულტურისა და ტრადიციების შემცველი ერის წარმომადგენლები ვართ", - აღნიშნა ფედერაციის პრეზიდენტმა.

ჩვენი ნაკრები იტალიაში 1 ივლისს გაემგზავრება და სამგუნდიანი ქვეჯგუფიდან შეეცდება ჯგუფური ბარიერის წარმატებით გადალახვას. საქართველოსთან ერთად ქვეჯგუფში მოხვდნენ ლატვიის და შვეიცარიის ნაკრები გუნდები. 4 ივლისს სწორედ ეს გუნდები დაუპირისპირდებიან ერთმანეთს, ხოლო 5 ივლისს წყვილში დამარცხებული საქართველოს ეთამაშება. ბოლო ჯგუფურ შეხვედრას ჩვენი ფეხბურთელები 6 ივლისს ჩაატარებენ.

კობა ჟორჟიკაშვილმა იტალიაში გასამგზავრებლად შეარჩია: მეკარეები - რევაზ თევდორაძე ("თბილისი 3"), ლუკა დაუთაშვილი ("ოლიმპიკი"); დაცვა - გიორგი ხუმარაშვილი ("თბილისი"), გულვერდი თომაშვილი ("დინამო 2"), გიორგი ხიდეშელი ("ოლიმპი"), ზურაბ გვაძაბია ("ამერი"), ირაკლი შარანგია ("თბილისი"), გიორგი ელბაქიძე ("ამერი"); ნახევარდაცვა - ალექსი ბენაშვილი ("თბილისი"), მურთაზ დაუშვილი ("დინამო"), ნუკრი გოგოხია ("ოლიმპი"), მირზა ბჟალავა ("ამერი"), გიორგი ნიკოლაიშვილი ("ამერი"), ირაკლი ძარია ("კოლხეთი"); თავდამსხმელები - დავით ჯანელიძე ("თბილისი"), ლადო ლაფერაშვილი ("ნიურნბერგი", გერმანია), რატი წინამძღვრიშვილი ("ამერი").

საფეხბურთო გალერეა

# იურგენ კლინსმანი - კალიფორნიელი მეოცნებე

ლაშა გოდუაძე



გერმანიის ნაკრები ფიფას კონფედერაციათა თასის მიმდინარე გათამაშების ერთ-ერთი ფავორიტია.

ბუნდესნაკრების თავკაცი იურგენ კლინსმანი, გუნდის წარმატებული თამაშის მიუხედავად, არაერთხელ გაუკრიტიკებიათ, უპირველეს ყოვლისა კი, იმის გამო, რომ ამერიკიდან აბარგებას და სამშობლოში დაბრუნებას არ აპირებს. შეგახსენებთ, რომ კლინსმანი ყოველი სანაკრებო შეკრების შემდეგ ამერიკაში ბრუნდება ოჯახთან ერთად.

მსოფლიოს სამგზის ჩემპიონების მწვრთნელს ინგლისური ჟურნალის "უორლდ სოკერის" ჟურნალისტი კირ რედნიჯი შეხვდა და გაესაუბრა. დღეს სწორედ ამ ინტერვიუს გთავაზობთ.

**- ბოლოს და ბოლოს, გაგვარკვიეთ: როგორ იწოდება თქვენი თანამდებობა?**

- ბუნდესნაკრების მწვრთნელი გახლავართ. მაგალითად, ფრანც ბეკენბაუერი და რუდი ფიოლერი, რომლებსაც მწვრთნელის ლიცენზია არ გააჩნდათ, გუნდის მენეჯერებად იწოდებოდნენ, მე კი ყველა ბიუროკრატიულ მოთხოვნას ვაკმაყოფილებ და ამიტომაც ნაკრების მწვრთნელი მქვია.

**- ფეხბურთელობისას არაერთხელ გითქვამთ, რომ მწვრთნელად ვერ წარმოგედგინათ თავი. ახლა ქვეყნის პირველი გუნდის თავკაცი ბრძანდებით. რა მოხდა?**

- სამწვრთნელო საქმიანობისადმი ინტერესი მაშინ გიჩნდება, როცა მოთამაშის კარიერას ამთავრებ. ჩემს შემთხვევაშიც ასე მოხდა, თუმცა, იმასაც ვგრძნობდი, რომ მოთამაშის კარიერის დასრულების შემდეგ აუცილებლად უნდა დამესვენა. სწორედ ამიტომ გადავედი ამერიკაში საცხოვრებლად - მინდოდა, ჩემს გარშემო ყველაფერი შეცვლილიყო, არა მარტო ცხოვრების სტილი, ხალხიც, გარემოც... დასვენების შემდეგ სხვადასხვა საქმიანობით დავინტერესდი, შევისწავლე კომპიუტერი და უცხო ენებთან დაკავშირებული საგნები, მენეჯმენტი... მოგვიანებით ორი პიროვნება გავიცანი, რომლებიც სპორტულ კომპანიას მართავდნენ. მოკლე ხანში ორგანიზაციის მესამე ხელმძღვანელი გავხდი და ლოს ანჯელესში საფეხბურთო აკადემია დავაარსეთ. ნელ-ნელა სამწვრთნელო სკოლაში დავიწყე სწავლა და ლიცენზიაც მოვიპოვე. ეს 2000 წელს მოხდა.

**- როგორ შეცვალეთ რუდი ფიოლერი გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე?**

- ყველაფერი უცნაურად მოხდა, თვალის დახამხამებაში. ერთ მშვენიერ დღეს ბერტი ფოგთსმა დამირეკა და მითხრა, მე და ჩემი ვაჟი კალიფორნიაში ვართ და აქაურ მობილურ ტელეფონებს ვერაფერი გავუგეთო. უმალ შინ მივიპატიჟე და ერთად ვივახშმეთ. ნელ-ნელა საუბარი ფეხბურთს შეეხო და ევროპის ბოლო ჩემპიონატზე განცდილ ფიასკოზე ვიკამათეთ. იმ დროისთვის გერმანიის ფეხბურთის კავშირს უკვე შეეთავაზებინა მწვრთნელის თანამდებობა ოტმარ ჰიცფელდისთვის, თუმცა, მას წინადადებისგან შორს დაეჭირა თავი - "ბაიერნში" გატარებული ექვსი წლის შემდეგ დასვენება მჭირდებაო... ოტო რეჰაგელსაც უარი ეთქვა - საბერძნეთიდან რომ წამოვიდე, ბერძნები არ მაპატიებენო... უცბად ბერტიმ მკითხა: "შენ რას იტყვი, იმუშავებ?" მაშინდელი საუბრისთვის სერიოზული ყურადღება არ მიმიქცევია და ხუმრობით დავთანხმდი. მან კი ისევ სერიოზულად გააგრძელა საუბარი, წინააღმდეგი ხომ არ იქნები, ფეხბურთის კავშირის ხელმძღვანელებს რომ გავესაუბროო...

**- შემდეგ რა მოხდა?**

- ფოგთსი სამშობლოში დაბრუნდა, ორი დღის შემდეგ კი გერმანიის ფეხბურთის კავშირის გენერალური მდივანი ჰორსტ შმიდტი მირეკავს და შეხვედრას მთხოვს. მივხვდი, რომ საქმე სერიოზულად იყო. ნიუ იორკში შეხვედრაზე შევთანხმდით. იმ დროისთვის ყველაფერი გავიაზრე და მივხვდი, რომ მშვენიერი იქნებოდა ნაკრების მთავარი მწვრთნელობა, ასე რომ, ნიუ ორკში სრულიად მომზადებული ჩავედი. შმიდტი და კავშირის პრეზიდენტი გერჰარდ მაიერ-ვორფელდერი შემხვდნენ. მცირე ხანს ვისაუბრეთ და უცბად ორივე მეუბნება, 1998 წლის შემდეგ ძალიან შეცვლილხარო - ბოლოს ისინი იმ წლის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ვნახე... საბოლოოდ სიტყვიერად შევთანხმდით, მოგვიანებით კი ტელეფონით შემეხმიანნენ და გერმანიაში ჩასვლა მთხოვეს კონტრაქტის ოფიციალურად გასაფორმებლად.

**- ცნობილია, რომ გერმანიის ფეხბურთის კავშირის ხელმძღვანელებს არაერთი მოთხოვნა წაუყენეთ, რომლებიც მათ სრულად დააკმაყოფილეს. რას ითხოვდით?**

- გუნდის სრული კონტროლი მსურდა! მოვითხოვე, რომ ჩემს თანაშემწეებად დაენიშნათ იოახიმ ლოუ, ოლივერ ბირჰოფი, ანდერას კეპკე, ასევე ნაცნობი ამერიკელი სპორტული ფსიქოლოგი და ფიზმომზადების მწვრთნელი. მათ ავუხსენი, რატომ ვითხოვდი ამას და ისინიც დამთანხმდნენ. ოფიციალურად პირველად იოახიმ ლოუს დანიშვნის შესახებ გაცხადდა, თუმცა, ოლივერ ბირჰოფს კარგა ხნით ადრე შევთავაზე თანამშრომლობა და ისიც დამთანხმდა. ნელ-ნელა თანამოაზრეები შემოვიკრიბე და მუშაობაც დავიწყეთ.

**- რა მოიმოქმედეთ ფეხბურთელებთან პირველი შეხვედრისას, რა თემაზე ესაუბრეთ მათ?**

- ბიჭებს ავუხსენი, რომ ბევრი რამის შეცვლა მოგვიწევდა საერთო მიზნის მისაღწევად. ვუთხარი, რომ ჩვენ ვერ ვითამაშებდით ბრაზილიელებივით, იმიტომ რომ მათ დარად ტექნიკურები არ ვართ, რომ ვერ დაველოდებოდით იტალიელებივით ერთ შანსს, ვერ მივბაძავდით ფრანგებს, არგენტინელებს და ასე შემდეგ... ერთი სიტყვით, უნდა გვეპოვა საკუთარი სტილი, რომელსაც ყველაზე უკეთ მოვერგებოდით. მოგვიანებით გუნდის ლიდერები მივიწვიე: კაპიტანი მიხაელ ბალაკი, ოლივერ კანი, იენს ლემანი, ბერნდ შნაიდერი, ტორსტენ ფრინგსი და ვუთხარი, რომ სწორედ მათ გარშემო უნდა ამეგო გუნდი.

**- თქვენი აზრით, ფეხბურთელებმა თქვენი სურვილი და მოთხოვნა გაითავისეს?**

- დარწმუნებული ვარ, რომ ასეა. ისინი გაგებით მოეკიდნენ იმასაც, რომ გუნდში კონკურენცია გაიზრდებოდა. სწორედ ამიტომ დავნიშნეთ ახალგაზრდული ნაკრების თავკაცად დიტერ აილტსი. მას იმთავითვე ავუხსენით, რომ ეროვნული გუნდისთვის ფეხბურთელები სათანადოდ მოემზადებინა. სწორედ მისი ჩინებული მუშაობის შედეგია, რომ ნაკრებში იმედისმომცემი ფეხბურთელები გამოჩნდნენ, მაგალითად, რობერტ ჰუტი, თომას ჰიცლშპერგერი, ლუკას პოდოლსკი, ფილიპ ლამი, ანდრეას ჰინკელი. ერთ მშვენიერ დღეს აღმოვაჩინეთ, რომ ახალგაზრდულ გუნდში 10-12 იმედისმომცემი მოთამაშე იზრდება, რომელთა ნახევარი საგაისო მსოფლიო ჩემპიონატისთვის, სავარაუდოდ, სრულიად მზად იქნება. ამან, ცხადია, ძალიან გაგვახარა.

**- მწვრთნელად თქვენი დანიშვნის შემდეგ ნაკრების პირველი მეკარის სახელისთვის ბრძოლა უფრო გამძაფრდა...**

ჩვენ მსოფლიო დონის ორი მეკარე გვყავს და ასეც უნდა ყოფილიყო. პირადად მე ვერ ვხედავ სხვა გუნდს, რომელსაც ორი ასეთი ჩინებული მეკარე ჰყავს. ვფიქრობ, რომ მონაცვლეობითი თამაში ოლივერ კანსაც წაადგება და იენს ლემანსაც. როცა ამ უკანასკნელის გუნდმა ორმოცდაათამდე მატჩი ჩაატარა წაუგებლად, მივხვდი, რომ მისთვის აუცილებლად უნდა მიმეცა თავის გამოჩენის შანსი. კანისთვის, ეს, ცხადია ძნელი იყო, თუმცა, მოგვიანებით ყველაფერს შეეჩვია. ახლა ისინი ვარჯიშებზე ერთმანეთს ამხნევებენ. ასეთი რამ ადრე არათუ არ ხდებოდა, წარმოუდგენელიც კი იყო. ამ ნაბიჯით ჩვენ ნაკრებში მეკარის პრობლემა მოვხსენით!

**- თანაშემწეები როგორ გეხმარებიან?**

- ჩვენ ერთ გუნდს წარმოვადგენთ, რომლის სათავეში მე ვდგავარ. მინდა ყველამ იცოდეს, რომ ბუნდესნაკრების წარმატებაში არანაკლები წვლილი მიუძღვით ჩემს თანაშემწეებს: იოახიმ ლოუს, რომელიც ფეხბურთელთა ტაქტიკურ მომზადებაში მეხმარება, ანდრეას კეპკეს - მეკარეთა მწვრთნელს, ოლივერ ბირჰოფს - ჩვენი გუნდის მენეჯერს, რომელიც მედიასთან ურთიერთობას საგრძნობლად მიმსუბუქებს, ასევე ფსიქოლოგს და ფიზმომზადების მწვრთნელს.

**- თქვენი აზრით, გულშემატკივრები თუ შეეგუებიან იმ ფაქტს, რომ ნაკრების მთავარი მწვრთნელი გერმანიაში არ ცხოვრობს?**

- თავდაპირველად ამის თაობაზე არათუ ქომაგები, ფეხბურთელებიც საუბრობდნენ - ვერ წარმოედგინათ, როგორ შევძლებდი მუშაობას, თუმცა, თითქმის ერთი წელიწადი გავიდა და, როგორც ხედავთ, ეს პრობლემა აღარ არსებობს, ყოველ შემთხვევაში, მის შესახებ ჩემთან არავის უსაუბრია. მთავარი ის კი არაა, თუ სად ცხოვრობს ადამიანი, არამედ ის, თუ როგორ ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას!

**- როგორ ახერხებთ ამერიკაში ცხოვრებას და ნაკრების ხელმძღვანელობას?**

- შედარებით დიდ დროს ოჯახთან ვატარებ, თუმცა, თვეში ორჯერ სამშობლოში ვბრუნდები დაახლოებით რვა დღით. ვაგვარებ გარკვეულ საკითხებს და თუ თამაში არ გველის, ლოს ანჯელესში ვბრუნდები. სხვა მხრივ, ყოველდღიური კავშირი მაქვს იოახიმ ლოუსთან, რომელიც გერმანიაში ცხოვრობს.

**- გერმანულ საკლუბო ფეხბურთს თუ ადევნებთ თვალს?**

- სატელიტური ანტენების საშუალებით ბუნდესლიგის ყველა თამაშის მიმოხილვას ვუყურებ, ხოლო თვეში ოთხ-ხუთ მატჩს პირდაპირ ეთერში ვადევნებ თვალს. ამას გარდა, ვნახულობ პრემიერლიგისა და სერია ა-ს რამდენიმე თამაშს, ასე რომ, ამ მხრივ პრობლემა არ მაქვს.

**- დაბოლოს, როგორ ფიქრობთ, შეძლებთ მსოფლიო ჩემპიონატის მოგებას?**

- ყოველივე იმის შემდეგ, რაც გითხარით, მგონი, პრობლემა არ უნდა შეგვექმნას!


სახელი
გვარი
ასაკი
სიმაღლე
მისამართი
საკონტაქტო ტელეფონის ნომერი

1 ოჯახური მდგომარეობა :
დაქორწინებული
დაუქორწინებელი
გაყრილი
ქვრივი

2 შვილები: (თუ გყავთ)

3 პროფესია :

4 სამუშაო ადგილი (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

5 ადრე სად მუშაობდით? (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

6 სხვა რომელ ტელეშოუებში გაქვთ მონაწილეობა მიღებული, სად და როდის?

7 სხვა რომელ არასატელევიზიო კონკურსებში და შეჯიბრებებში მიგიღიათ მონაწილეობა სად და როდის?

8 თქვენი ინტერესები

9 თქვენი ჰობი

10 თქვენი საყვარელი გადაცემა და ტელეშოუები ?

11 როგორ დახარჯავდით 8000 ლარს ერთ დღეში ? (პასუხი: ერთ დღეში ვერ დახარჯავ არ მიიღება)

12 როგორ გრძნობთ თავს ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ? (ახსენით პასუხი)

13 როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი თავი გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაშის დროს ? (ახსენით პასუხი)

ჩემი ხელმოწერით ვადასტურებ, რომ მოწოდებული ინფორმაცია არის ზუსტი და რომ არც მე და არც ჩემი ოჯახის წევრი არ მუშაობს სატელევიზიო კომპანია "რუსთავი 2"-ში.

ხელმოწერა ____________ თარიღი ________

ანკეტა ხელმოწერის გარეშე არ მიიღება !



გადაცემა
სუსტი რგოლი

მოთამაშის ანკეტა

თქვენი ფოტოსურათი

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ახალქალაქის რაიონის გამგეობა (ქ. ახალქალაქი, ჩარენცის ქ. №11) აცხადებს ღია ტენდერს ქ. ახალქალაქის თავისუფლების ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. სამუშაოების შესრულების ვადა - მხარეებს შორის შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად.

დაინტერესებულ პირებს გასაწევი სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაციის მიღება შეეძლებათ ახალქალაქის რაიონის გამგეობის მიერ შექმნილ სატენდერო კომისიაში.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დალუქული პაკეტით 2005 წლის 11 ივლისის 10 საათიდან 2005 წლის 12 ივლისის 12 საათამდე ორ ეგზემპლარად შემდეგ მისამართზე: ახალქალაქის რაიონის გამგეობა, სატენდერო კომისია.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1. ცნობები:

4.1.1. იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობას სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობას შს სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

დ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან ან ცნობა სასამართლოდან წარმოდგენილი უფლებამოსილების მქონე პირის შესახებ;

ე) ხელის მოწერისთანავე გაცემული მინდობილობა, იმ შემთხვევაში, თუ ხელის მომწერი პირის არ არის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი.

4.1.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას შესაბამისი უფლებამოსილი ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

გ) ცნობას შს სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ იგი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

4.1.3. როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიული პირისათვის:

- ცნობას სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა-მექანიზმების შესახებ. მონაწილეს ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად უნდა გააჩნდეს საკუთარი ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ნებადართული ან აუკრძალავი ნებისმიერი ფორმით (იჯარა, ერთობლივი საქმიანობა, თხოვნა და ა.შ.) შემდეგი მანქანა-მექანიზმები:

| № | მანქანა-მექანიზმების დასახელება | რაოდენობა (ცალი) |
|---|---|---|
| 1. | ავტოგრეიდერი სიმძლავრე 79 კვტ. სიმძლავრე 1 | 1 |
| 2. | ასფალტდამგები | 1 |
| 3. | ბულდოზერი | 1 |
| 4. | ავტოგუდრონატორი 7000 ლ. | 1 |
| 5. | კომპრესორი 5-6 მ³/წთ. | 2 |
| 6. | სატკეპნი ბაქნები | 4 |
| 7. | სატკეპნი გლუვი 5ტ. 10ტ. 18 ტ. | 3 |
| 8. | ქვის წყობისთვის ცემენტსხსნარმრევი | 1 |
| 9. | მოსარწყავი მანქანა 6000 ლ. | 1 |
| 10. | ექსკავატორი ციცხვის მოც. 0,25 მ³. | 1 |
| 11. | საგზაო ფრეზი | 1 |
| 12. | ბორტიანი მანქანა ტვირთამწეობით 6 ტ. | 1 |
| 13. | ავტოთვითმცლელები 8-10 ტ. | 6 |
| 14. | ამწე კრანი 3 ტ. | 1 |
| 15. | მარკირების მანქანა | 1 |
| 16. | ბიტუმის გამაცხელებელი ქვაბი | 1 |

ცნობა წარმოადგინეთ ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად

| № | მანქანა-მექანიზმის დასახელება | აღწერილობა, მოდელი, ტიპი, მარკა და ასაკი | რაოდენობა | მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მოძველებული) | საკუთრება: მფლობელობის ან სარგებლობის ფორმა |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | | | | | |
| 2. | | | | | |

- იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მანქანა-მექანიზმები იმყოფება მის კანონიერ მფლობელობაში ან სარგებლობაში, წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები, ხოლო თუ იმყოფება საკუთრებაში, წარმოდგენილი უნდა იქნეს მონაწილის ბალანსი, სადაც აღრიცხული იქნება შესაბამისი მანქანა-მექანიზმები.

ცნობას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ. ცნობა წარმოადგინეთ ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად. დაურთეთ ბიოგრაფიული მონაცემები.

| № | თანამდებობა სპეციალობა | გვარი, სახელი | მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი) | ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება (წელი) |
|---|---|---|---|---|
| 1. | | | | |
| 2. | | | | |

ცნობას სუბ-კონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში, სუბ-კონტრაქტორის მიერ განსახორციელებელი მიწოდების შესახებ. ცნობა წარმოადგინეთ ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| № | შესასრულებელი სამუშაოს სახე | სუბ-კონტრაქტორი (დასახელება, მისამართი) | სუბ-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება |
|---|---|---|---|
| 1. | | | |
| 2. | | | |

4.2. ინფორმაცია (მონაწილის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს წერილობითი სახით):

ინფორმაცია იურიდიული სტატუსის შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს: ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას, რეგისტრაციის ადგილს, სახელწოდებას, საქმიანობის ფაქტობრივ ადგილს;

ინფორმაცია იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ განხორციელებული ანალოგიური სახის სამუშაოების გამოცდილების შესახებ.

5. მონაწილის მიერ წარმოდგენილი ცნობები და ინფორმაცია დეპარტამენტის სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით შეიძლება იქნას გადამოწმებული ინდივიდუალურად.

6. მონაწილე ზემოთ ჩამოთვლილ საკვალიფიკაციო მონაცემებსა და ინფორმაციაზე თავისი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით ადასტურებს, რომ იგი შეესაბამება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ ყველა წინასაკვალიფიკაციო მოთხოვნას.

7. საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასებას სატენდერო კომისია ახდენს საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენი ფიზიკური და იურიდიული პირების მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით.

8. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ვერ დააკმაყოფილებს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

9. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება (ქართულ ენაზე) ტენდერში დაშვებულ პრეტენდენტებს შეეძლებათ 2005 წლის 14 ივლისის 10 საათიდან 2005 წლის 15 ივლისის 17 საათამდე 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ მისამართზე: ქ. ახალქალაქი, ჩარენცის ქ. №11, სატენდერო კომისია.

გამარჯვებულმა იურიდიულმა ან ფიზიკურმა პირმა ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით უნდა წარმოადგინოს ბანკის ან სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული საბანკო გარანტია. საგარანტიო თანხის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების არანაკლებ 5% ოდენობით.

10. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ ახალქალაქის რაიონის გამგეობაში მოქმედ სატენდერო კომისიაში მისამართზე: ქ. ახალქალაქი, ჩარენცის ქ. №11, ახალქალაქის რაიონული გამგეობა. საკონტაქტო ტელეფონი - 8(262) 2-30-70. შირეან შირინიანი.

*სატენდერო კომისიის თავმჯდომარე შ. შირინიანი*

# განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მის: ქ. თბილისი კოსტავას ქ. N41 ტელეფონი (995 32) 990619, ფაქსი (95 32) 931997, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს ღია ტენდერს 35 ერთეული მაღალი გამავლობის მსუბუქი ავტომობილის, გამოშვების თარიღი 2005წ. ძრავის მოცულობა 1,6-1,7კუბ/სმ. შესყიდვაზე და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს.

შესასყიდი საქონლის შესახებ დეტალური ინფორმაცია მითითებული იქნება სატენდერო დოკუმენტაციაში.

2. ზემოაღნიშნული საქონელი მოწოდებული უნდა იქნეს შემდეგ მისამართზე: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მის: ქ. თბილისი კოსტავას ქ. N41, DDP პირობით, (დანიშნულების პუნქტამდე ყველა გადასახადის გათვალისწინებით: ტრანსპორტირების, დაზღვევის, საბაჟო გადასახადების, მოსაკრებელების და სხვა, ასევე ადგილობრი გადასახადები.)

3. საქონლის მიწოდების სასურველი ვადაა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 1 თვის განმავლობაში.

4. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 11 ივლისიდან 15 ივლისის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მის: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. N41 (მე-3 სართული, ოთახი N311).

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

5.1. **იურიდიული პირებისათვის**:

ა) ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება ტენდერში მონაწილე პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია, მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;

ბ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ ტენდერში მონაწილე პირის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ ტენდერში მონაწილე პირის ხელმძღვანელი ან ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

დ) ცნობა იურიდიული პირის რეგისტრაციის შესახებ.

5.2 **ფიზიკური პირებისათვის:**

ა) ცნობა სასამართლოდან, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედუნარიანობა;

ბ) ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

გ) ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ იგი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

5.3. **როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:**

ა) ცნობა, საგადასახადო ორგანოდან, რომ ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ გააჩნიათ.

6. ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასების კრიტერიუმს წარმოადგენს მათი შესაბამისობა მოთხოვნილ დოკუმენტაციებთან. ტენდერში მონაწილე ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი მე-5 პუნქტში დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ყველა ცნობასა და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

7. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მითითებულ შესაბამის ანგარიშზე გადახდის შემდეგ შეეძლებათ 25 ივლისიდან 27 ივლისის 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მის: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. N41 (მე-3 სართული, ოთახი N?).

8. ტენდერის შედეგად გამოვლენილი იქნება ერთი გამარჯვებული.

9. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ სატენდერო კომისიის აპარატში: მიხეილ ჯიქურაშვილი, ნათია ურუშაძე, მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. N41 საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, (მე-3 სართული, ოთახი N311, ტელ: 990619)

*საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს*
*სატენდერო კომისია*

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. სსიპ "საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი" (ქ. თბილისი, 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. N23, II კორპუსი, მე-5 სართული, ტელ: 3311839, 3311939, ფაქსი.: 331934, E-mail: globalfund@caucasus.net) აცხადებს ღია ერთეტაპიან ტენდერს "გლობალური ფონდის" პროექტის "*აივ/შიდსის პრევენციისა და კონტროლის ეფექტური განხორციელების მიზნით არსებული ეროვნული რეაგირების გაძლიერება საქართველოში 2003-2007 წლებში*" პროგრამის ფარგლებში (II კომპონენტი - "ინტრავენური ნარკოტიკების მომხმარებლებში აივ/შიდსის გავრცელების პრევენცია") მეტადონის ჰიდროქლორიდის შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. დაფინანსების წყარო: საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახსრები ("გლობალური ფონდის" პროექტი).

3. შესყიდვის ობიექტია:

| N | დასახელება | გამოშვების ფორმა, დოზა | რაოდენობა (ლ, ბოთლი) |
|---|---|---|---|
| 1 | მეტადონის ჰიდროქლორიდი | 0,1%-იანი დასალევი ხსნარი (სიროფი), 1 ლიტრიან ბოთლში | 2200ლ |

4. მიწოდების სასურველი ვადაა: ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 თვის განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს - 2005 წლის 15 სექტემბერი.

5. მიწოდების პირობაა: "DDP - თბილისი", შემსყიდველის მიერ მითითებულ მისამართზე;

6. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები, ქართულ ენაზე 3 ეგზემპლიარად (1 ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი, 2 ასლი) უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 11 ივლისის 14:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. N23 II კორპუსი, მე-5 სართული.

7. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

*7.1 იურიდიული პირისათვის:*

ა) ცნობები სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე (მასზე რეგისტრირებული ქონების არსებობის შემთხვევაში) არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა შსს-დან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

*7.2 ფიზიკური პირისათვის:*

ა) ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობა შსს-დან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებულ დანაშაულისათვის;

გ) ცნობა რაიონული სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

*7.3. იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის*

ა) იურიდიული /ფიზიკური პირის რეკვიზიტები (მის., ტელ/ფაქს., საბანკო რეკვიზ.);

ბ) სატენდერო დოკუმენტაციაზე ხელის მომწერისათვის გაცემული მინდობილობა (საჭიროების შემთხვევაში);

გ) ინფორმაცია მსგავს შესყიდვებში მონაწილეობის შესახებ;

დ) ინფორმაცია მედიკამენტის საქართველოში რეგისტრაციის შესახებ;

ე) ვალდებულებას, რომ სპეცკონტროლს დაქვემდებარებული მედიკამენტის საქართველოში რეგისტრაციის არ არსებობის შემთხვევაში განახორციელებს მისი რეგისტრაცია, არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

ვ) ვალდებულებას, რომ ტენდერში გამარჯვების შემთხვევაში სრულად უზრუნველყოფს სპეცკონტროლს დაქვემდებარებული მედიკამენტების მიწოდებასთან დაკავშირებით კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნას;

ზ) ნებართვა სპეცკონტროლს დაქვემდებარებული მედიკამენტების ბრუნვაზე (ლიცენზია, ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი);

თ) ლიცენზია ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ (ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი);

8. ტენდერში მონაწილეობის მსურველს უფლება აქვს მიიღოს ტენდერში მონაწილეობა ქვეკონტრაქტორთან ერთად, იმ პირობით, რომ ქვეკონტრაქტორიც გაივლის საკვალიფიკაციო შეფასებას მე-7 მუხლში აღნიშნული მოთხოვნების გათვალისწინებით.

9. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზევით დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-7 მუხლში მოცემული ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

10. ხელშეკრულება შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებით გაფორმდება ტენდერში გამარჯვებულ (მიმწოდებელი) პირსა და სსიპ "საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრს" (შემსყიდველი) შორის.

11. ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების დროს გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების გარანტირების მექანიზმი საბანკო გარანტიის სახით.

12. საკვალიფიკაციო მონაცემების შერჩევა მოხდება 2005 წლის 11 ივლისის 17:00 საათზე.

13. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ 15 ივლისის 17:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. N23, II კორპუსი, მე-5 სართული.

სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

14. სატენდერო წინადადებები პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს 4 ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი, 3 ასლი), დახურული და დალუქული კონვერტებით, ქართულ ენაზე, 2005 წლის 22 ივლისის 11:00 საათიდან 2005 წლის 25 ივლისის 15:00 საათამდე. წინადადებების გახსნა მოხდება 2005 წლის ივლისის 15:00 საათზე მე-6 პუნქტში მითითებულ მისამართზე.

15. ალტერნატიული სატენდერო წინადადებების წარმოდგენა მიუღებელია.

16. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: დავით აბდუშელიშვილი, აკაკი ლოჩოშვილი მისამართზე ქ. თბილისი, 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. N23 II კორპუსი, მე-5 სართული, ტელეფონი 331839, 331939.

## ორშაბათი 27.06

### რუსთავი - 2

**07.30** დილა **08.00** ლუი **10.00** სერიალი "ოცნების კოშკები" **11.00** ღამის შოუ **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 02.00** კურიერი **12.20** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **13.30** მხ. ფილმი "წმინდა ინგლისური მკვლელობები" (გ) **15.25** უიმბლდონის მიმოხილვა **16.30** სერიალი "ოცნების კოშკები" **17.25** ლუი **18.30** პატრული **19.00** პაგო-პაგოს საგანძური **19.50** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **22.00** სუსტი რგოლი **23.00** სერიალი "უცნობი" **00.00** მხ. ფილმი "გაიხსენე ყველაფერი" (18) (ა. შვარცენეგერი) **02.20** პატრული

### 1

**08.00** ადრე **10.00** სერიალი "დანაშაული" **11.00** სერიალი "მოგზაურობა" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმაციური ფილმი "ტენტენის თავგადასავლი" **12.45** ანიმ. სერიალი "პატარა კენგურუები" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერ. "მაქსიმო ჩემი სიყვარული" **15.00** "მთავარი" აფხაზურ ენაზე **15.20** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.30** ბიოგრაფიული პორტრეტები -ლიზა მარია პრესლი, მელისა ესერიჯი. **16.30** დოკ. ფილმი "მემკვიდრეობის დამცველნი" **17.30** "ვაკანსია" **18.00** "მთავარი" -რეგიონებიდან **18.30** დოკ. სერიალი "სკოლის შემდეგ" 1-2ს. **19.00** დოკ. ფილმი "სიჩქარე" **19.30** გზაჯვარედინი **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** დოკ. ფილმი "მოგზაურობა" **22.00** დოკ. ფილმი "დღეები, რომლებმაც მსოფლიო შეძრა" **23.00** მრწამსი - ლუთერანები **23.30** მხ. ფილმი "დიდი გარიგება" (გ) **01.45** საინფ. გამოშვება

### მზე

**08.30** მუსიკა მზეზე **09.00** "გეპატიჟებათ ბ. ვულფი" **09.30** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **10.30** მხ. ფილმი "ყვითელი ოთახის საიდუმლო" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **12.30** ტელეჟურნალი "ჰოლივუდი დღეს" **13.05** სერიალი "დიელი და პასკო" **14.15** არჩევანის ზღვარზე **15.10** შემეცნ. პროგრამა "სამყაროს უთვალავი ფერი" **16.05** "ველური მთვარე" **17.00, 19.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** სერიალი "დიუნის შვილები" **18.20** "გეპატიჟებათ ბ. ვულფი" **19.05** სერ. "ჩენტო ვეტრინე" **21.00** სერიალი "კარაბინერები" **21.45** არჩევანის ზღვარზე **22.45** საფესტივალო ჩვენება: "უბილეთო მგზავრი" **23.45** მხ. ფილმი "შურისმაძიებელი" (გ) (ჯონი ლი მილერი)

### მეორე არხი

**19.00** სერიალი "ცხელი ზაფხული" **19.50** "ბაბილინა" **20.00** დოკ. სერიალი "გადაადგილების საშუალებები" **20.30** დოკ. სერიალი "ექსცენტრიკოსები" **20.55** დოკ. ფილმი "დაზვერვის ცენტრალური ბიურო" **21.45** კონცერტი **22.35** კინოსეანსი "თუში მეცხვარე" 1-ლი ს.

### იმედი

**07.00** დოკ. სერიალი "მშვიდობით მე-20 საუკუნევ" **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.10** ანიმაც. ფილმი "მარკოსა და ჯინას თავგადასავლები" 1-ლი ს. **08.40** იმედის დილა **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** დროება **12.30, 02.25** იმედის მელოდიები **12.40, 16.40, 01.50** ტვ-მარკეტი **13.15** ქართული მხ. ფილმი "თხუნელა" **15.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 01.40** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **17.10** დოკ. სერიალი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" **17.25** ვაკაჭი-ნიუსი **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.55** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** სერიალი "დრონგო" **22.55** "ნიკა ქავთარაძის შოუ" **23.55** სპ. პროგრამა "გოლი" **00.25** ნადიმი ჯ. კაშიასთან ერთად

### აჭარა

**08.00** მუსიკა **08.30** საინფ. დაიჯესტი **09.00** სერიალი "ჩემი სამი და" **10.00** "პროექტი მომავალი" **10.45** კომედია "პიპლ" **12.35** ფანტასტიკა "მორიელების მეფე" **14.30, 17.30, 20.30** "ახალი ამბები" **15.05** ბოევიკი "ცეცხლის ხაზზე" **17.55** მულტფილმი **18.30** "ნოვოსტი" **19.30** სერიალი "ჩემი სამი და" **21.00** თრილერი "პირველი ხარისხის მკვლელობა" **22.40** "პროექცია" **23.00** დოკუმენტური ფილმი **00.00** საინფ. დაიჯესტი **00.20** მისტიკა "შეპყრობილობის ეპიდემია" **02.00** გერმანული ტალღის ახალი ამბები

### ОРТ

**06.00** "Доброе утро". **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20** Антонио Бандерас в фильме **"ДЕТИ ШПИОНОВ-3-D: ИГРА ОКОНЧЕНА". 10.50** Иронический детектив **"ВИОЛА ТАРАКАНОВА. В МИРЕ ПРЕСТУПНЫХ СТРАСТЕЙ". 12.20** Александр Домогаров в фильме **"ОГНЕМ И МЕЧОМ". 1**-я серия. **13.10** Евгений Сидихин в фильме **"КАК БЫ НЕ ТАК". 15.20** "Угадай мелодию" **16.20** Детективный сериал **"СЫЩИКИ". 16.50** Сериал **"ХОЗЯЙКА СУДЬБЫ". 18.10** Вне закона. **18.40** "Пять вечеров". **19.50** Жди меня. **21.00** Время. **21.30** Сериал **"ВРЕМЯ ЖЕСТОКИХ". 22.30** Док. фильм "Карельская история корейского "Боинга". **23.20** Гвинет Пэлтроу в романтическом фильме **"ЧУЖОЙ БИЛЕТ".** В канун Рождества разыгралась непогода. В аэропорту из-за задержки рейсов собралось много людей. Владельцу рекламного агентства Бадди Эмаралу приглянулась белокурая красавица, и он любезно уступил свой билет попутчику, спешащему на праздники к семье. И ... самолет разбился. Больше года Бадди не мог прийти в себя от потрясения. Спустя время, он решил все же навестить вдову погибшего Эбби и оказать ей посильную помощь. И впервые в жизни влюбился по-настоящему. Но как рассказать Эбби правду? **01.20** Том Скерритн в остросюжетном фильме **"ПОСЛЕ ШОКА: ЗЕМЛЕТРЯСЕНИЕ В НЬЮ-ЙОРКЕ".** Мэр Нью-Йорка Брюс Линкольн и Начальник пожарной охраны Томас Ахерн - давние политические конкуренты - вынуждены отложить в сторону свои амбиции и приступить к активным совместным действиям. Ужасное землетрясение обрушилось на город, Нью-Йорк объявлен зоной бедствия: гибнут люди, рушатся небоскребы, горят дома, тысячи несчастных оказались в ловушке подземки. Чтобы спасти уцелевших, федеральные власти должны действовать быстро и решительно... **04.00** Зелда Харрис в комедии **"КРУКЛИН".**

### НТВ

**06.00** "Сегодня утром". **09.00** Совершенно секретно. Информация к размышлению. **10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00** "Сегодня" **10.20** Чрезвычайное происшествие. Обзор за неделю. **10.55** Кулинарный поединок. **11.55** Квартирный вопрос. **13.35** Юрий Кузнецов в сериале **"ОПЕРА. ХРОНИКИ УБОЙНОГО ОТДЕЛА: КОЛЛЕКЦИОНЕР". 15.35** Игры разума. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.25** Ирина Малышева в сериале **"ОСОБЫЙ СЛУЧАЙ". 18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Александр Балуев в сериале **"ГРАФ КРЕСТОВСКИЙ". 20.45** Сериал **"ПОЛНЫЙ ВПЕРЕД!" 21.50** Чрезвычайное происшествие. **22.40** Сериал **"СЕКС В БОЛЬШОМ ГОРОДЕ". 00.15** Сериал **"ГРАФ КРЕСТОВСКИЙ". 01.15** Короткометражные фильмы **"ЛЕТНЕЕ ПЛАТЬЕ". "МАЛЕНЬКАЯ СМЕРТЬ". "УВИДЕТЬ МОРЕ" 03.10** Сериал **"КИН ЭДДИ". 04.15** Сериал **"ДЖЕЙК 2.0". 05.10** Сериал **"ЗАПАДНОЕ КРЫЛО".**

## სამშაბათი 28.05

### რუსთავი - 2

**07.30** დილა **08.00** ლუი **10.00** სერიალი "ოცნების კოშკები" **11.00** სუსტი რგოლი **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 02.50** კურიერი **12.20** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **13.30** მხ. ფილმი "100 დღე ბავშვობის შემდეგ" (გ) **15.25** უიმბლდონის მიმოხილვა **16.30** სერიალი "ოცნების კოშკები" **17.25** ლუი **18.30** პატრული **19.00** პაგო-პაგოს საგანძური **19.50** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **22.00** ღამის შოუ **23.00** სერიალი "უცნობი" **00.45** მხ. ფილმი "მაგდალინელი დები" (18) (ჯ. მაკეევანი) **03.10** პატრული

### 1

**08.00** "ადრე" **10.00** დოკ. ფილმი "დღეები, რომლებმაც მსოფლიო შეძრა" **11.00** დოკ. ფილმი "მოგზაურობა" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმაციური ფილმი "ტენტენის თავგადასავლი" **12.45** ანიმ. სერიალი "პატარა კენგურუები" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერ. "მაქსიმო ჩემი სიყვარული" **15.00** "მთავარი" ოსურ ენაზე **15.20** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.30** დოკ. ფილმი "ქარაგმა", "ვან-გოგის ყური" **16.15** სიცილის ოთახი **16.30** დოკ. ფილმი "მოგზაურობა" **17.30** დოკ. ფილმი "მითხარი როგორ" **18.00** "მთავარი" -რეგიონებიდან **18.30** დოკ. სერიალი "სკოლის შემდეგ" 3-4ს. **19.00** "ჰოლმარკი" - "ნოეს კიდობანი" **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** დოკ. ფილმი "მოგზაურობა" **22.00** დოკ. ფილმი "აინშტაინის დაუსრულებელი სიმფონია" **23.00** პროფესიონალი - ლოცმანი **23.30** მხ. ფილმი "აშიკ-ქერიბი" (გ) **01.10** საინფ. გამოშვება

### მზე

**08.30** მუსიკა მზეზე **09.00** "გეპატიჟებათ ბ. ვულფი" **09.30** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **10.30** მხ. ფილმი "შურისმაძიებელი" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **12.30** ტელეჟურნალი "სცენა" **13.05** "დიელი და პასკო" **14.15** არჩევანის ზღვარზე **15.10** შემეცნ. პროგრამა "სამყაროს უთვალავი ფერი" **16.05** "ველური მთვარე" **17.00, 19.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** სერიალი "დიუნის შვილები" **18.20** "გეპატიჟებათ ბ. ვულფი" **19.05** სერ. "ჩენტო ვეტრინე" **20.45** სერიალი "კარაბინერები" **21.45** არჩევანის ზღვარზე **22.45** საფესტივალო ჩვენება: "ვალი", "გაფრენა", "ტიბეტი" **00.00** მხ. ფილმი "მე ანა მქვია" (გ) (პეტი დიუკი)

### მეორე არხი

**19.00** სერიალი "მკვლელობათა ძიების განყოფილება" 1ს. **19.50** "ბაბილინა" **20.00** დოკ. სერიალი "გადაადგილების საშუალებები" **20.30** დოკ. სერიალი "ექსცენტრიკოსები" **20.55** დოკ. ფილმი "დაზვერვის ცენტრალური ბიურო" **21.45** კინოსეანსი "თუში მეცხვარე" მე-2ს.

### იმედი

**07.00** დოკ. სერიალი "მშვიდობით მე-20 საუკუნევ" **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.10** ანიმაც. ფილმი "მარკოსა და ჯინას თავგადასავლები" მე-2 ს. **08.40** იმედის დილა **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** სერიალი "დრონგო" **12.20, 13.15, 17.10, 02.05** იმედის მელოდიები **12.40, 16.25, 01.30** ტვ-მარკეტი **13.40** "ნიკა ქავთარაძის შოუ" **15.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 01.20** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.40** დოკ. სერიალი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" **17.25** სპ. პროგრამა "გოლი" **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.55** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** სერიალი "თენდება გვიან" 1-ლი ს. **22.40** პირველები **23.30** მხ. ფილმი "მეფე ცეკვავს" (15) (ბ. მაჟიმელი)

### აჭარა

**08.00** მუსიკა **08.30** საინფ. დაიჯესტი **09.00** სერიალი "ჩემი სამი და" **10.00** "პროექტი მომავალი" **10.35** კომედია "მარსი იქსი" **12.25** ფანტასტიკა "დინოკროკი" **14.30, 17.30, 20.30** "ახალი ამბები" **15.05** მხ. ფილმი "უნდა მოკვდეს დედაბერი" **17.55** მულტფილმი **18.30** "ნოვოსტი" **19.15** "წკიპურტები" **19.30** სერიალი "ჩემი სამი და" **21.00** ბოევიკი "მძევლები 2" **22.50** "მოგზაური" **23.30** "სტარტი" **00.00** საინფ. დაიჯესტი **00.25** მელოდრამა "გუვერნანტი"

### ОРТ

**06.00** "Доброе утро". **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20** Сериал **"ВРЕМЯ ЖЕСТОКИХ". 10.20** Сериал **"ВИОЛА ТАРАКАНОВА. В МИРЕ ПРЕСТУПНЫХ СТРАСТЕЙ". 11.30** Дисней-клуб: "Чип и Дейл спешат на помощь". **12.20** Александр Домогаров в фильме **"ОГНЕМ И МЕЧОМ". 13.30** Борис Хмельницкий в фильме **"КАРАВАН СМЕРТИ" 15.20** "Угадай мелодию" **15.40** Детективный сериал **"СЫЩИКИ". 16.50** Сериал **"ХОЗЯЙКА СУДЬБЫ". 18.10** Вне закона. **18.40** "Пять вечеров". **19.50** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 21.00** Время. **21.30** Сериал **"ВРЕМЯ ЖЕСТОКИХ". 22.30** Кремль-9. "Мавзолей". **23.30** Дастин Хоффман в остросюжетном фильме **"ЭПИДЕМИЯ". 01.40** Джефф Голдблюм в триллере **"ОТЦЫ И СЫНОВЬЯ".** Нью-Джерси. У вдовца Макса Фиша, обожающего книги и бег трусцой, сложные отношения с сыном-подростком. Макс ищет уединения и тишины, а у Эда на уме одни вечеринки, девочки и дискотеки. Однажды, во время очередной пробежки, на пирсе Макс знакомится с экстрасенсом. С этого момента жизнь Фиша и его сына превращается в настоящий кошмар... **03.40** фильм Бертрана Тавернье **"ЭТО НАЧИНАЕТСЯ СЕГОДНЯ".** Даниэль Лефебр работает старшим воспитателем детского сада в маленьком шахтерском городке около Валенсьенна на севере Франции. Местная экономика, полностью зависящая от угольного производства, пребывает в затяжном кризисе. Все шахты закрыты, безработица. Люди проживают последние гроши, пьют, впадают в глубокую депрессию. Социальная помощь отсутствует. Но больше всего от этого кошмара страдают дети - маленькие подопечные Даниэля. Он, чувствуя себя ответственным за все происходящее, решает бороться, чтобы вернуть свой поселок к нормальной жизни...

### НТВ

**06.00** "Сегодня утром". **09.00** Сериал **"ПАРАЛЛЕЛЬНО ЛЮБВИ". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00** "Сегодня" **10.20** Чистосердечное признание. **10.50** Сериал **"ПОЛНЫЙ ВПЕРЕД!". 11.55** Сериал **"ГРАФ КРЕСТОВСКИЙ". 13.30** Николай Добрынин в боевике **"ВСЕ ТО, О ЧЕМ МЫ ТАК ДОЛГО МЕЧТАЛИ". 15.35** Игры разума. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.25** Сериал **"ОСОБЫЙ СЛУЧАЙ". 18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Сериал **"ГРАФ КРЕСТОВСКИЙ". 20.45** Сериал **"ПОЛНЫЙ ВПЕРЕД!" 21.50** Чрезвычайное происшествие. **22.40** Сериал **"СЕКС В БОЛЬШОМ ГОРОДЕ". 00.15** Сериал **"ГРАФ КРЕСТОВСКИЙ". 01.20** Сериал **"КЛИЕНТ ВСЕГДА МЕРТВ". 02.35** Бильярд. **03.10** Сериал **"КИН ЭДДИ". 04.15** Сериал **"ДЖЕЙК 2.0". 05.05** Сериал **"ЗАПАДНОЕ КРЫЛО".**

## ოთხშაბათი 29.06

### რუსთავი - 2

**07.30** დილა **08.00** რეინჯერები **10.00** სერიალი "ოცნების კოშკები" **11.00** ღამის შოუ **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 02.50** კურიერი **12.20** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **13.30** მხ. ფილმი "ექიმი ზღვაზე" (გ) **15.25** უიმბლდონის მიმოხილვა **16.30** სერიალი "ოცნების კოშკები" **17.25** რეინჯერები **18.30** პატრული **19.00** ხალხის პირისპირ **19.50** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **22.00** სერიალი "სასოწარკვეთილი დიასახლისები" **22.45** კონფედერაციის თასი. ფინალი. **00.45** მხ. ფილმი "ამელი" (18) (ოდრი ტოტუ) **03.10** პატრული

### 1

